

ქეთევან ჩოგახაშვილი
სალღმე ოსეფაშვილი

მართლმსაჯულების
წინააღმდეგ
მიმართული დანაშაულები



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

2017

ქეთევან ჩომახაშვილი

სალომე ოსეფაშვილი

მართლმსაჯულების
წინააღმდეგ მიმართული
დანაშაულები

თბილისი

2017 წელი

სარჩევი

თავი 1. შესავალი	3
თავი 2. კვლევის მეთოდოლოგია.....	4
თავი 3. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მუხლებისა და მათი აკადემიური კომენტარების ანალიზი.....	5
3.1. შესავალი	5
3.2. მუხლი 368 - მტკიცებულებათა განადგურება	7
3.3. მუხლი 369 ¹ - მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია.....	8
3.4. მუხლი 370 - ცრუ ინფორმაცია, ცრუ ჩვენება, ყალბი დასკვნა ან არასწორი თარგმანი	9
3.5. მუხლი 371 - მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა	11
3.6. მუხლი 371 ¹ - ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა.....	12
3.7. მუხლი 372 - ზემოქმედების განხორციელება გამოსაკითხ პირზე, მოწმეზე, დაზარალებულზე, ექსპერტზე ან თარჯიმანზე.....	14
3.8. მუხლი 373 - ცრუ დასმენა	15
3.9. მუხლი 375 - დანაშაულის დაფარვა	16
3.10. მუხლი 376 - დანაშაულის შეუტყობინებლობა	19
თავი 4. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების ანალიზი	21
თავი 5. არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშების ანალიზი	25
თავი 6. პროკურორის დადგენილებების ანალიზი სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და არდაწყების თაობაზე.....	27
თავი 7. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი	32
7.1. შესავალი	32
7.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა.....	33
7.3. საქართველოს სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკა	42
7.4. პირველი ინსტანციის სასამართლოების პრაქტიკა.....	50
თავი 8. ჩადრმავებული ინტერვიუების ანალიზი	85
თავი 9. დასკვნები და რეკომენდაციები	88

თავი 1. შესავალი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე თავი აქვს დათმობილი დანაშაულებს მტკიცებულებათა მოპოვებისა და საპროცესო წესების წინააღმდეგ, ისევე როგორც დანაშაულებს რომელიც დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ არის მიმართული.

ამ დანაშაულებზე დროული და ეფექტური რეაგირება, ასევე ერთიანი სისხლის სამართლის პოლიტიკის არსებობა მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყანაში არსებული სამართალდამცავი და მართმსაჯულების ორგანოების ეფექტურად ფუნქციონირებას, თუმცა საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებლობა და ამ დანაშაულებთან დაკავშირებული ნორმების ზოგადი და არაგანჭვრეტადი ხასიათი, ასევე ამ მიმართულებით არსებული აკადემიური ნაშრომების სიმცირე, მნიშვნელოვნად აფერხებს ამ პროცესის ეფექტურად წარმოებას.

არსებული ვითარების დეტალურად შესწავლისა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადების მიზნით, ჩატარებულ იქნა კვლევა, რომლის მიზანი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების და მისი აკადემიური კომენტარების სიღრმისეული ანალიზი, ასევე საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის გაანალიზება, მისი დახვეწის გზების შემოთავაზება და ფართო საზოგადოებისათვის მიწოდება გახლდათ, მით უმეტეს, რომ ბოლო პერიოდში ცალკეული სისხლის სამართლის საქმეზე სახელმწიფოს მხრიდან მიღებულმა გადაწყვეტილებებმა (გიორგი ოქროპირიძის საქმე) და კანონმდებლობაში ამ მიმართულებით განხორციელებულმა ცვლილებებმა იურიდიულ წრეებში მნიშვნელოვანი ბუნდოვანება გამოიწვია.

ზემოთხსენებული მიზნების მისაღწევად, კვლევის პროცესში შესწავლილ იქნა როგორც საქართველოს კანონმდებლობა და მათი აკადემიური კომენტარები, ასევე საქართველოს სახალხო დამცველისა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები. კვლევის მნიშვნელოვან ნაწილს კი სასამართლო პრაქტიკის ანალიზი წარმოადგენს შესაბამისი დასკვნებითა და რეკომენდაციებით, რამაც, ერთობლიობაში, ჩვენი აზრით, ხელი უნდა შეუწყოს საქართველოში ამ მიმართულებით ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებასა და მომავალში განსახორციელებელი საგამოძიებო თუ სასამართლო მოქმედებების ეფექტურობას.

თავი 2. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის სრულყოფილად ჩატარებისა და სათანადო რეკომენდაციების მომზადების მიზნით, კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი კვლევის მეთოდი. საკვლევი ინფორმაციის შეგროვება მოხდა სხვადასხვა წყაროებიდან და საბოლოოდ დასახული მიზნის მისაღწევად პასუხი გაეცა შემდეგ კითხვებს:

- როგორია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლების შინაარსი, რომელიც მტკიცებულებათა მოპოვებისა და საპროცესო წესების წინააღმდეგ დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ არის მიმართული;
- არსებობს თუ არა სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების კომენტარები, როგორია მათი შინაარსი და რამდენად ეფექტურია ისინი საპროკურორო და სასამართლო პრაქტიკაში;
- არსებობს თუ არა საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ 2013-2016 წლებში მომზადებული კვლევები და ანგარიშები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ზემოაღნიშნულ მუხლებზე და როგორია მათი შინაარსი;
- მოიცავს თუ არა საქართველოს სახალხო დამცველის 2013-2016 წლების ანგარიშები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 368-ე, 369¹-ე, 370-ე, 371-ე, 371¹-ე, 372-ე, 373-ე, 375-ე და 376-ე მუხლების იმპლემენტაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს;
- როგორია 2013-2016 წლების საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოების პრაქტიკა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 368-ე, 369¹-ე, 370-ე, 371-ე, 371¹-ე, 372-ე, 373-ე, 375-ე და 376-ე მუხლებზე;

კვლევის მიზნებიდან და სახელმწიფო დაწესებულებებში უკვე არსებული ინფორმაციის შინაარსიდან გამომდინარე, კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა თვისობრივი კვლევის მეთოდი, ხოლო საკვლევი ინფორმაციის შეგროვება მოხდა ისეთი წყაროდან, როგორცაა პირველი ინსტანციის სასამართლოები, სააპელაციო სასამართლოები, საქართველოს უზენაესი სასამართლო და საქართველოს მთავარი პროკურატურა.

აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოდან ინფორმაციის მიღება სრულყოფილად ვერ მოხერხდა, ვინაიდან სასამართლოს საჯარო ინფორმაციის

გაცემაზე პასუხისმგებელმა პირმა ჯერ უარი გვითხრა ინფორმაციის გაცემაზე, დროის უქონლობის გამო, ხოლო მოგვიანებით, ჩვენი საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელმა პირმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2013-2016 წლებში მიღებული მხოლოდ 24 განაჩენი გადმოგვცა.

გარდა ამისა, კვლევის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის შესწავლისა და განალიზების შემდეგ მომზადდა ჩაღრმავებული ინტერვიუს კითხვარი და გამოიკითხა 5 პროკურორი და 5 ადვოკატი. მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ვერ მოხერხდა მოსამართლეთა გამოკითხვა და ვერც მიზეზი იქნა გარკვეული, თუ რატომ განაცხადეს უარი მოსამართლეებმა ინტერვიუებში მონაწილეობაზე, ვინაიდან ჩვენი მხრიდან გაგზავნილ ოფიციალურ წერილებზე პასუხიც კი არ მიგვიღია.

სწორედ აღნიშნული გარემოება შეიძლება ჩაითვალოს არსებული კვლევის ნაკლოვანებად, ვინაიდან კვლევის შედეგებში, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ იქნა ასახული მართმსაჯულების განხორციელებაში ყველა მნიშვნელოვანი მონაწილეების - მოსამართლეების მოსაზრებები, მაშინ როცა მათი პოზიცია სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობის არის.

თავი 3. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მუხლებისა და მათი აკადემიური კომენტარების ანალიზი

3.1. შესავალი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XLII და XLIII თავები სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებებად განსაზღვავს ისეთი ხასიათის დანაშაულებს, რომელიც ჩადენილია მტკიცებულებათა მოპოვების საპროცესო წესის, დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ. ესენია: მტკიცებულებათა განადგურება (სისხლის სამართლის კოდექსის 368-ე მუხლი); სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია (სისხლის სამართლის კოდექსის 369-ე მუხლი); ცრუ ინფორმაცია, ცრუ ჩვენება, ყალბი დასკვნა, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობა და არასწორი თარგმანი (სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლი); მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა (სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლი); ზემოქმედების განხორციელება გამოსაკითხ პირზე, მოწმეზე, დაზარალებულზე, ექსპერტზე ან თარჯიმანზე

(სისხლის სამართლის კოდექსის 372-ე მუხლი); ცრუ დასმენა (სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლი); დანაშაულის დაფარვა (სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლი) და დანაშაულის შეუწყობინებლობა (სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლი)

კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე, ჩვენი მიზანია გაანალიზდეს თითოეული მუხლი და მათი აკადემიური კომენტარი, ასევე ამ თემაზე მომზადებული სამეცნიერო სტატიები, შემდეგ კი არსებული საკანონმდებლო ბაზა და მასთან დაკავშირებული თეორიული მასალა შედარდეს საპროკურორი და სასამართლო პრაქტიკას, რის შედეგადაც, შევძლებთ თვალნათლივ დავინახოთ ამ მიმართულებით პრაქტიკაში არსებული პრობლემები და ვიმსჯელოთ მათი გამოსწორების გზებზე.

იმის გათვალისწინებით, რომ სისხლის სამართლის კოდექსი უკვე ორ ათეულ წელს ითვლის, ამასთან ბოლო წლებში ძირეულად შეიცვალა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ჩადენილი დანაშაულების ფორმულირებამაც განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები. სწორედ ამის გათვალისწინებით, კვლევის პროცესში მიღებულ იქნა გადაწყვეტლება შესწავლილიყო არა მხოლოდ დღეისათვის მოქმედი რედაქციები, არამედ ყველა შესაძლო მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც ზემოთდასახელებულმა მუხლებმა 1999 წლიდან, ანუ სისხლის სამართლის კოდექსის ამოქმედების დღიდან, დღემდე განიცადეს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია და კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოზა მოწმის დაკითხვის წესის რეფორმიდან გამომდინარე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2015 წლის 18 დეკემბრის საქართველოს კანონით “სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე” განხორციელებული ცვლილებებს¹, რომლითაც ამოღებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 371¹-ე მუხლი - არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა, ვინაიდან, კანონის ავტორთა განმარტებით, ეს ქმედება მთლიანად იყო გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით - ცრუ ჩვენების ან/და ცრუ ინფორმაციის მიწოდებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის ამ ნაწილში შევეცდებით წარმოვაჩინოთ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები და მათი აკადემიური კომენტარები, რომელიც, როგორც წესი, გამოიყენება ხოლმე პროცესის

¹ საქართველოს კანონი “საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ”, მიღების თარიღი 18.12.2015, მუხლი 1(2), ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3108379#DOCUMENT:1>> [ბოლოს ნანახია 22.12.2016]

მონაწილეთა მხრიდან ამ დანაშაულთა გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს.

3.2. მუხლი 368 - მტკიცებულებათა განადგურება

დღეისათვის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 368-ე მუხლით დასჯადია მტკიცებულებათა განადგურება როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე.

სისხლის სამართლის კოდექსის თავდაპირველ რედაქციაში² კანონმდებელი დასჯად ქმედებად მიიჩნევდა მტკიცებულებათა განადგურებას სამართალწარმოების მონაწილის მიერ, ხოლო 2005 წლის 20 აპრილს საქართველოს კანონით განხორციელებული ცვლილებების³ შედეგად, სიტყვა სამართალწარმოების მონაწილე შეცვლილ იქნა ტერმინით პროცესის მონაწილე. აღნიშნულმა ნორმამ დღეს მოქმედი სახე მიიღო 2007 წელს⁴, რომლის შედეგადაც, პროცესის მონაწილის ნაცვლად ნორმაში დაზუსტდა იმ საქმეთა კატეგორიები, რომელზეც მტკიცებულებათა განადგურება დასჯადია სისხლის სამართლის წესით.

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ავტორთა მოსაზრებით აღნიშნული დანაშაულის ობიექტია მართლმსაჯულების ინტერესები, ხოლო დამატებითი ობიექტი ადამიანის უფლებები და კანონიერი ინტერესები, თვით დანაშაული კი გამოიხატება სამართალწარმოების მონაწილის მიერ საქმეზე არსებული მტკიცებულების განადგურებაში. ამასთან, ვინაიდან ეს დანაშაული ფორმალურ ხასიათს ატარებს, იგი დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს მტკიცებულებათა განადგურების მომენტიდან და მნიშვნელობა აღარ უნდა ჰქონდეს თუ რა შედეგი მოჰყვა ამ დანაშაულს.⁵ იმავე ავტორთა მოსაზრებით, მტკიცებულების განადგურება ნიშნავს მატერიალურ საგანზე ისეთ ზემოქმედებას, რომლის შედეგადაც იგი წყვეტს

² იხ. საქართველოს კანონი “საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი”, პირველადი სახე, მიღების თარიღი 13.08.1999 წელი, მუხლი 368, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=0>> [ბოლოს ნანახია 22.12.2016]

³ იხ. საქართველოს კანონი “სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესახებ”, მიღების თარიღი 20.04.2005, მუხლი 1(4) ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29572#>>. [ბოლოს ნანახია 22.12.2016]

⁴ იხ. საქართველოს კანონი “სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესახებ”, მიღების თარიღი 22/06/2007, მუხლი 1(6). ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/21766#>> [ბოლოს ნანახია 22.12.2016]

⁵ სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2012 წელი, გვ. 334;

თავის ფიზიკურ არსებობას ან სრულიად გამოუსადეგარი ხდება თავისი მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებისათვის.⁶

ცალსახაა, რომ ამ დანაშაულის ჩადენა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება, როცა დანაშაულის სუბიექტს სრულად აქვს გააზრებული ამ ქმედების სამართლებრივი შედეგები და სურს ამ შედეგის დადგომა. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანიც სწორედ სისხლის, სამოქალაქო ანდა ადმინისტრაციული საქმეზე სასურველი გადაწყვეტილების მიღება უნდა იყოს. თუმცა ზოგიერთი ავტორის განმარტებით, ამ დანაშაულის ჩადენის მოტივს შეიძლება ანგარება, შურისძიება ან სხვა გარემოება წარმოადგენდეს.⁷

3.3. მუხლი 369¹ - მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია

სისხლის სამართლის კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად დასჯადია მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ საქმეებზე, საქმის მონაწილის ან მისი წარმომადგენლის მიერ, ხოლო 369¹-ე მუხლით გათვალისწინებულია მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია სისხლის სამართლის საქმეებზე ადვოკატის, გამომძიებლის და პროკურორის მხრიდან, ასევე სხვა პირების მხრიდან. სისხლის სამართლის კოდექსი სხვადასხვა მოცულობის სანქციით დასჯადს ხდის მტკიცებულებათა ფალსიფიკაციას როგორც ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე, ასევე სპეციალური სუბიექტების, კერძოდ კი გამომძიებლის, პროკურორისა და დამცველის მიერ.

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის თავდაპირველი ვერსია ორ სხვადასხვა მუხლად არ მიჯნავდა მტკიცებულებათა ფალსიფიკაციას სისხლის, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციულ საქმეზე და მხოლოდ 2007 წლის 22 ივნისის კანონით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე მოხდა 369¹ მუხლის დამატება⁸. როგორც შესაბამისი მუხლების ანალიზით დგინდება, ნორმის ამდაგვარი გაყოფის მიზანი სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაციის შემთხვევაში უფრო მკაცრი სანქციის დაწესება იყო, ვიდრე ეს გათვალისწინებულია სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე.

⁶ იქვე, გვ. 334;

⁷ იქვე, გვ. 335, ასევე ფრიდონ ბასილაია, საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი, 2003 წელი, გვ. 175.

⁸ იხ. საქართველოს კანონი “სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე”, მიღების თარიღი 11/07/2007, მუხლი 1(6), ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/21766#>> [ბოლოს ნანახია, 22.12.2016]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს თუ რაში გამოიხატება მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია და როდის შეიძლება მიჩნეულ იქნეს ეს დანაშაული ჩადენილად. სისხლის სამართლის კერძო ნაწილის კომენტარის ავტორთა მოსაზრებით: “მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია შეიძლება გამოიხატოს სისხლის სამართლის საქმის მასალების სხვადასხვა ფორმით გაყალბებაში, არარსებული დაკითხვის ოქმის შედგენით, ოქმში ისეთი ცნობების შეტანით, რაზეც პირს ჩვენება არ მიუცია, ექსპერტიზის დასკვნაში ცვლილების შეტანით და სხვა”.⁹ ამავე სახელმძღვანელოს თანახმად, დანაშაული გამოძიების და პროკურორის მიერ დამთავრებულია თვით ამ მოქმედების განხორციელების მომენტიდან, ხოლო დამცველის მიერ მტკიცებულებათა გაყალბებისას გამოძიების ან სასამართლო ორგანოებისათვის მისი წარდგენის მომენტიდან და ამ დანაშაულის ჩადენისთვის პირს მხოლოდ პირდაპირი განზრახვა შეიძლება ჰქონდეს.¹⁰

3.4. მუხლი 370 - ცრუ ინფორმაცია, ცრუ ჩვენება, ყალბი დასკვნა ან არასწორი თარგმანი

სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის თანახმად, ისჯება მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლა გამოსაკითხი პირის, მოწმის ან დაზარალებულის მიერ ცრუ ინფორმაციის ან ცრუ ჩვენების მიწოდებით, ასევე ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის ან ჩვენების მიცემით, ექსპერტის მიერ საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობით, ანდა თარჯიმნის მიერ განზრახ არასწორად თარგმნით როგორც გამოძიებაში, ასევე სასამართლო განხილვისას.

სისხლის სამართლის კოდექსის ამოქმედებიდან დღემდე ხსენებულმა ნორმამ, არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკისა თუ საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების გამო, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. კერძოდ: სისხლის სამართლის კოდექსის პირველადი რედაქციით¹¹ დასჯადი იყო მოწმის ან დაზარალებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემა, ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის ან ჩვენების მიცემა ანდა თარჯიმნის მიერ განზრახ არასწორი თარგმანი გამოძიების დროს ან სასამართლოში, თუმცა მოწმე, დაზარალებული, ექსპერტი ან თარჯიმანი თავისუფლდებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი განაჩენის გამოტანამდე ნებაყოფლობით განაცხადებდა მის მიერ ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის ანდა განზრახ არასწორი თარგმანის თაობაზე. აღნიშნული

⁹ იხ. სქოლიო N5, გვ. 338.

¹⁰ იქვე, გვ. 338

¹¹ იხ. სქოლიო N2, მუხლი 370, [ბოლოს ნანახია 22.12.2016]

შენიშვნის არსებობა გულისხმობდა იმას, რომ სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის გამოტანამდე ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნისა და არასწორი თარგმანის შემთხვევაში გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას აზრი ეკარგებოდა და სწორედ ასე განიმარტებოდა პრაქტიკაში ნორმის შინაარსი.

არსებული შენიშვნა სისხლის სამართლის კოდექსში შენარჩუნებული იქნა 2010 წლამდე, ხოლო 2010 წლის 16 ივლისს „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონით¹² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შენიშვნა მთლიანად ამოღებულ იქნა, რითაც სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ ორგანოს მიენიჭა უფლებამოსილება გამოვლენისთანავე დაეწყო როგორც გამოძიება, ისე სისხლისსამართლებრივი დევნა მსგავს ფაქტებზე.

2011 წლის 5 მაისს განხორციელებული ცვლილებებით¹³ კი, მუხლის დისპოზიციას დაემატა „საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობა“, რაც მთლიანად საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარეობდა, ვინაიდან სწორედ ამ დროიდან დაცვის მხარეს მიეცა საშუალება საკუთარი სახსრებით ჩაეტარებინა ექსპერტიზა გამოძიების მიერ მოპოვებულ მტკიცებულებაზე.

საბოლოო, დღეისათვის მოქმედი სახე 370-ე მუხლმა 2015 წლის 18 დეკემბრის კანონით მიიღო¹⁴, როცა ნორმას, როგორც დამამძიმებელი გარემოებები, დაემატა ამ დანაშაულის ანგარებით, ან სხვა პირადი მოტივით, არაერთგზის ანდა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე ბრალდების საქმეზე ჩადენა.

როგორც დღეს არსებული ნორმის შინაარსიდან ირკვევა, 370-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული შემდეგ მოქმედებებში გამოიხატება:

- ა) მოწმის ან დაზარალებულის მიერ გამოძიებისთვის ცრუ ინფორმაციის მიწოდება;
- ბ) მოწმის ან დაზარალებულის მიერ სასამართლოსათვის ცრუ ჩვენების მიცემა;

¹² იხ. საქართველოს კანონი “საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ, მიღების თარიღი 16/07/2010, მუხლი 1(8), ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/92926#>> [ბოლოს ნანახია 22.12.2016]

¹³ იხ. საქართველოს კანონი “საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ, მიღების თარიღი 19/05/2011, მუხლი 1(8), ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1332953#>> [ბოლოს ნანახია 22.12.2016]

¹⁴ საქართველოს კანონი “საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ”, მიღების თარიღი 18/12/2015, მუხლი 1(1), ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3108379#DOCUMENT:1;>> [ბოლოს ნანახია 22.12.2016]

გ) ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის გაცემა;

დ) ექსპერტის მიერ განზრახ ან გაუფრთხილებლობით საექსპერტო ობიექტის დაუცველობა;

ე) ექსპერტის მიერ ყალბი ჩვენების მიცემა;

ვ) თარჯიმნის მიერ განზრახ არასწორი თარგმანის განხორციელება როგორც გამოძიებაში, ასევე სასამართლოში.

სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარის ავტორთა მოსაზრებით, ეს დანაშაული ფორმალურ შემადგენლობათა რიცხვს განეკუთვნება და დამთავრებულად ითვლება ერთ-ერთი ზემოაღნიშნული მოქმედების ჩადენის მომენტიდან. ამასთან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანას უკავშირდება, რითაც დგინდება მიცემული ჩვენების სიცრუე. ჩვენება კი ცრუდ ჩაითვლება თუ მასში მთლიანად ან ნაწილობრივ დამახინჯებულია ის ფაქტი, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის ობიექტურად გადაწყვეტისათვის და შეიძლება ეხებოდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ყველა გარემოებას.¹⁵

ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის გაცემა საექსპერტო დასკვნაში ფაქტების დამახინჯებულად გადმოცემაში ვლინდება, რაც შეიძლება გამოსაკვლევი ფაქტის წინასწარი განზრახვით არასწორი შეფასება, მისი დამახინჯება ან სხვაგვარი სიყალბე იყოს, ხოლო საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობა მის დაზიანებაში და განადგურებაში ვლინდება, როცა შეუძლებელია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა და ხელახალი კვლევის ჩატარება.

ხსენებული დანაშაულის ჩადენა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება, გარდა საექსპერტო კვლევის ობიექტის გაუფრთხილებლობით დაზიანების შემთხვევისა, და დამთავრებულია მუხლის დისპოზიციაში აღწერილი ერთ-ერთი ქმედების ჩადენიდან.

3.5. მუხლი 371 - მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა

სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლით დასჯადია მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ფაქტი. ამასთან, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება პირი, რომელმაც

¹⁵ იხ. სქოლიო N5, გვ. 340;

უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე თავისი ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ, ასევე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი - გამოსაცდელი ვადის განმავლობაში.

ამ დანაშაულის ობიექტი მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესია, ხოლო ობიექტური მხარე მოწმის ან დაზარალებულის მიერ ამკარად გამოხატულ ნებას გულისხმობს, არ მისცეს ჩვენება საგამომიებო ან სასამართლო ორგანოებს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ. ამ დანაშაულის არსებობისათვის მნიშვნელობა არ აქვს მიუცია თუ არა პირს ადრე ჩვენება მოწმის ან დაზარალებულის სახით, უარს ამბობს მთლიანად ჩვენების მიცემაზე თუ არ პასუხობს კონკრეტულ შეკითხვას.¹⁶ მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა თავის მხრივ მხოლოდ კითხვებზე პასუხის არგაცემას არ გულისხმობს, ეს დანაშაული სახეზეა მაშინაც კი თუ მოწმე/დაზარალებული ცდილობს თავი აარიდოს გამოცხადებას, დაიმალოს, შეიცვალოს საცხოვრებელი ადგილი და ამგვარად აარიდოს თავი დაკითხვის პროცესს, შესაბამისად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულია მაშინ, როცა პირი განაცხადებს, რომ არ სურს ჩვენების მიცემა, ან როდესაც გამოძახების შემდეგ არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება შესაბამის ორგანოში.¹⁷

ამავე მუხლის შენიშვნის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება პირი, თუ მან უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე საკუთარი თავის ან ახლოს ნათესავის წინააღმდეგ, თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუ პირი არ იყენებს მის უფლებას არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ და იძლევა ამ პირთა სასარგებლო ცრუ ჩვენებას, იგი პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით - ცრუ ჩვენებისათვის.

3.6. მუხლი 371¹ - ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა

მართლმსაჯულებისთვის შეგნებულად ხელის შეშლა, რაც გამოიხატება მოწმის ან დაზარალებულის მხრიდან არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემაში, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში პირველად 2005 წლის 30 ივნისს განხორციელებული ცვლილებებით

¹⁶ იხ. სქოლიო N5, გვ. 344.

¹⁷ იქვე, გვ. 345.

გაჩნდა¹⁸ და წლების განმავლობაში ამ ჩანაწერს არსებითი ცვლილებები არ განუცდია, თუმცა 2015 წლის 18 დეკემბერს მიღებული კანონით „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 371¹-ე მუხლი ამოღებულ იქნა.¹⁹

ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება მოწმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემაში გამოიხატებოდა, რამაც მართლმსაჯულებისთვის შეგნებულად ხელის შეშლა გამოიწვია და მნიშვნელობა არ ჰქონდა თუ სად იქნა მიცემული არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები - გამოძიებაში, სასამართლოში თუ გამოძიებასა და სასამართლოში. ამასთან, ჩვენება ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიიჩნეოდა თუ მასში მთლიანად ან ნაწილობრივ ერთმანეთის საწინააღმდეგო ანდა გამომრიცხველად იყო გადმოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად არსებული არსებითი გარემოებები, რის გამოც კოდექსის კომენტარის ავტორებიც მიიჩნევენ, რომ რომელიმე ჩვენება ან მისი ნაწილი იყო ცრუ.²⁰

უკვე 2015 წლის დეკემბერში, მაშინ, როცა საქართველოს პარლამენტი განიხილავდა მოწმის დაკითხვის რეფორმასთან დაკავშირებულ ცვლილებათა პაკეტს, დღის წესრიგში დადგა ცვლილებების შეტანა სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებშიც. საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის აზრით, აღნიშნული მუხლის შენარჩუნება ხელს უშლიდა სასამართლოს განხილვისას სიმართლს დადგენას, ვინაიდან გამოძიების ეტაპზე მოწმის მიერ მიცემული ინფორმაცია ან ჩვენება შეიძლება დაფუძნებოდა ვითარების მცდარ აღქმას ან იძულებას, რაც შეიძლება გამოსწორებულიყო ჯვარედინი დაკითხვის დროს. ასეთ შემთხვევაში კი მოწმეს შეიძლება დაკისრებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რის გამოც მოწმეს შეიძლება არ ეთქვა სიმართლე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მოწმე გამოძიების ეტაპზე შეგნებულად იძლეოდა ცრუ ინფორმაციას ან ჩვენებას, რაც გაირკვეოდა სასამართლო გადაწყვეტილებით, უკვე

¹⁸ იხ. საქართველოს კანონი “საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ”, მიღების თარიღი 30.06.2005, მუხლი 1(4), ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/27016#>>, [ბოლოს ნანახია 22.12.2016]

¹⁹ საქართველოს კანონი “საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ”, მიღების თარიღი 18.12.2015, მუხლი 1(2), ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3108379#DOCUMENT:1>> [ბოლოს ნანახია 22.12.2016]

²⁰ იხ. სქოლიო N4, გვ. 350

არსებობდა 370-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რომლითაც მას დაეკისრება პასუხისმგებლობა ცრუ ჩვენების მიცემისათვის.²¹

სწორედ ამ გარემოებზე დაყრდნობით, 2015 წლის 18 დეკემბერს მიღებული კანონით სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნა მუხლი 371¹ - არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა, რამაც პრაქტიკაში დიდი გარუკვევლობა გამოიწვია და ამ კვლევის ფარგლებში მის პრაქტიკულ მხარეს ცალკე შევხებით.

3.7. მუხლი 372 - ზემოქმედების განხორციელება გამოსაკითხ პირზე, მოწმეზე, დაზარალებულზე, ექსპერტზე ან თარჯიმანზე

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371¹-ე მუხლის მსგავსად, საკმაოდ საინტერესოა სისხლის სამართლის კოდექსის 372-ე მუხლის პრაქტიკული ასპექტებიც, ვინაიდან ხსენებული მუხლის პირველი ნაწილით დასჯადია გამოსაკითხი პირისადმი, მოწმისადმი, დაზარალებულისადმი, ექსპერტისადმი ან თარჯიმნისადმი მიმართვა ან დაყოლიება, ხოლო მეორე ნაწილით მათი მოსყიდვა ან იძულება, შესაბამისად ცრუ ინფორმაციის ან ცრუ ჩვენების მიცემისათვის, ყალბი დასკვნის მიცემისათვის, ინფორმაციის მიწოდებაზე ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, არასწორად თარგმნისათვის ან უკვე მიცემული ჩვენების ან გაცემული დასკვნის შეცვლისათვის. ასევე, მესამე და მეოთხე ნაწილები დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს ზემოაღნიშნული ქმედების ჩადენას ძალადობით ან ისეთი ფორმით, რომელიც საშიშია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარის ავტორთა მოსაზრებით, ეს დანაშაული თავისი იურიდიული ბუნებით წამქეზებლობის სპეციალური სახეა და მისი საშიშროება იმაში გამოიხატება, რომ დამნაშავე პირი არა მარტო თავითონ მოქმედებს ისე, რომ ხელს უშლის საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს ნორმალურ მუშაობაში, არამედ დაზარალებულზე, მოწმეზე, ექსპერტსა და თარჯიმანზე ზეგავლენის მეშვეობით ქმნის იმის საფუძველს, რომ მათ არ შეასრულონ თავისი სამართლებრივი ვალდებულებები.²²

ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა მისი ჩადენის სხვადასხვა ფორმას გულისხმობს. კერძოდ:

²¹ იხ. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დასკვნა, 09.12.2015, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/106177?>> [ბოლოს ნანახია 23.12.2016]

²² იხ. სქოლიო N5, გვ. 352

ა) მიმართვა - რაც შეიძლება გამოიხატოს ამ პირებისადმი წინადადების მიცემაში, თხოვნით, რჩევით, ჩაგონებით, დაპირებით ან სხვა არაძალადობრივი ხერხით, განახორციელონ მიმართველის სასარგებლო ქმედება;

ბ) დაყოლიება - როცა მიმართვამ შედეგი გამოიღო და დამნაშავე პირმა დაითანხმა მოწმე, ექსპერტი, დაზარალებული ანდა თარჯიმანი განეხორციელებინა დამნაშავეისათვის სასარგებლო მოქმედება;

გ) მოსყიდვა - პროცესის მონაწილისათვის პირადად ან შუამავლის მეშვეობით ფულის, ქონების ან ქონებრივი სარგებლის გადაცემა იმ მიზნით, რომ მათ დამნაშავეისათვის სასარგებლო ქმედება განახორციელონ. ამასთან, შესაძლოა მატერიალური სიკეთის მომავალში გადაცემის დაპირებას ჰქონდეს ადგილი და ეს შემთხვევაც მოსყიდვად ჩაითვლება.

დ) იძულება - როცა მიმართვას თან ერთვის მოკვლის, ძალადობის, ქონების დაზიანების ანდა განადგურების მუქარა.

ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებები ფორმალურ ხასიათს ატარებს და დამთავრებულად მიიჩნევა მიმართვის ან მუქარის განხორციელებისთანავე. გამონაკლისია მოსყიდვის შემთხვევა, როცა თუ პირი უარს ამბობს მატერიალური სიკეთის მიღებაზე, ქმედება მოსყიდვის მცდელობით უნდა დაკვალიფიცირდეს.

ამ დანაშაულის ჩადენა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება და მისი ჩადენის მოტივს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს.²³

3.8. მუხლი 373 - ცრუ დასმენა

სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დასჯადია დანაშაულის ჩადენის შესახებ ცრუ დასმენა, ხოლო ამავე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები ითვალისწინებს ამ ქმედების ისეთ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენას, როგორცაა: ა) ცრუ დასმენა, თუ მას ერთვის ბრალდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში, ანდა ბრალდების მტკიცებულებების ხელოვნურად შექმნა; ბ) ჩადენილი ანგარებით ან პირადი მოტივით; გ) რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი.²⁴

სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარის თანახმად, ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა გულისხმობს დანაშაულის ჩადენის შესახებ ცრუ შეტყობინებას, ანუ

²³ იქვე, გვ 353-354

²⁴ იხ. სქოლიო N2, მუხლი 373, [ბოლოს ნაწილია 24.12.2016]

აქტიურ მოქმედებას, რაც გამოიხატება დანაშაულის ჩადენის ვითომდა არსებული ფაქტის (ფაქტობრივი გარემოებების და არა მათი იურიდიული შეფასების) სათანადო ორგანოსთვის მიწოდება, მაშინ, როცა იგი აშკარად შეუსაბამოა სინამდვილესთან.²⁵

ფრიდონ ბასილაია თავის ნაშრომში „დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ“ აღნიშნავს, რომ ცრუ დასმენის შემთხვევაში შეიძლება მითითებულ იქნეს კონკრეტული პირი (პირები), რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, თუმცა დანაშაულის შემადგენლობა არსებობს იმ შემთხვევაშიც, როდესაც შეტყობინებულა მხოლოდ თვით დანაშაულის ფაქტის შესახებ. ამასთან, არ აქვს მნიშვნელობა დაწვრილებით არის აღწერილი დანაშაულის ჩადენის გარემოებები, დასმენა მოხდა ზეპირი თუ წერილობითი ფორმით, ასევე ანონიმურია თუ ხელმოწერილი შეტყობინება.²⁶

გასათვალისწინებელია ისიც, რომ შესაძლებელია პირი დანაშაულებრივი განზრახვის გარეშე მოქმედებდეს და დარწმუნებული იყოს შეტყობინების ნამდვილობასა და უტყუარობაში, ანუ ცდებოდეს კეთილსინდისიერად, რაც გამორიცხავს ქმედების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლით კვალიფიკაციას, ისევე, როგორც გამორიცხულია ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა.²⁷

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბრალდების მტკიცებულებათა ხელოვნურად შექმნასთან დაკავშირებული მოქმედებები, რაც გულისხმობს არა მხოლოდ არარსებული მტკიცებულებების შექმნას, არამედ უკვე არსებული მტკიცებულებების გაყალბებას ან დამახინჯებას, რათა ცრუ დასმენას უფრო რეალური სახე მიეცეს.²⁸

3.9. მუხლი 375 - დანაშაულის დაფარვა

მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ხელშემშლის აღსაკვეთად სისხლის სამართლის კოდექსი ცალკე განსაზღვრავს დასჯადობას დანაშაულის დაფარვისათვის. აღნიშნული მუხლის დისპოზიციასაც საინტერესო ისტორია გააჩნია. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველადი რედაქციით, 375-ე მუხლით დასჯადი იყო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა წინასწარ შეუპირებლად, ხოლო პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებოდა ის პირი, ვინც წინასწარ შეუპირებლად დაფარა ახლო ნათესავის

²⁵ იხ. სქოლიო N5, გვ. 356

²⁶ იხ. ფრიდონ ბასილაია, დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ, საგამომცემლო ცენტრი, ქუთაისი, 2003 წელი, გვ. 205

²⁷ იხ. სქოლიო N5, გვ. 356-357

²⁸ იქვე. გვ. 357

დანაშაული.²⁹ ხსენებულმა მუხლმა არაერთხელ განიცადა ცვლილება და წლების მანძილზე არა მხოლოდ გაფართოვდა მუხლის მოქმედების არეალი, არამედ გაიზარდა იმ პირთა წრეც, რომლებიც თავისუფლდებიან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მათ წინასწარ შეუპირებლად დაფარეს დანაშაული. კერძოდ:

- 2006 წლის ივნისში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდება არა მხოლოდ ის პირი, ვინც წინასწარ შეუპირებლად დაფარა ახლო ნათესავის დანაშაული, არამედ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) პასუხისმგებელი პირიც.³⁰
- 2006 წლის დეკემბრის კანონით გაფართოვდა მუხლის მოქმედების არეალი და დასჯადი გახდა არა მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე, არამედ მძიმე დანაშაულის დაფარვაც წინასწარ შეუპირებლად³¹.
- 2008 წლის 23 ოქტომბრის კანონით მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებს დაემატა ამავე კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილით, 186-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 221-ე მუხლის პირველი-მე-3 ნაწილებით, 332-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 339-ე მუხლის პირველი ნაწილით, 339¹-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 365-ე მუხლის პირველი-მე-3 ნაწილებით და 372-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების დაფარვა წინასწარ შეუპირებლად³².
- 2011 წლის 28 ოქტომბრის კანონით კი ზემოთ ჩამოთვლილ მუხლებს 194¹ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 202-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების დაფარვა დაემატა³³.

²⁹ იხ. სქოლიო N2, მუხლი 375 [ბოლოს ნანახია 24.12.2016]

³⁰ იხ. საქართველოს კანონი “საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ” მუხლი 1(6), მიღების თარიღი 13/07/2006, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/23866#>> [ბოლოს ნანახია 24.12.2016]

³¹ იხ. საქართველოს კანონი “საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ”, მუხლი 1(16). მიღების თარიღი 03/01/2007, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/22468#>> [ბოლოს ნანახია 24.12.2016]

³² იხ. საქართველოს კანონი “საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, მუხლი 1(7), მიღების თარიღი: 04/11/2008, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/19114#>> [ბოლოს ნანახია 24.12.2016]

³³ იხ. საქართველოს კანონი “საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, მუხლი 1(19), მიღების თარიღი: 11/11/2011, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1508219#>> [ბოლოს ნანახია 24.12.2016]

- 2014 წლის 17 ოქტომბრის კანონით კი გაფართოვდა იმ პირთა წრე, რომელიც თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან და ხსენებული მუხლის შენიშვნა ჩამოყალიბდა შემდგენიარად: „შენიშვნა: ამ კოდექსის ამ და 376-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება:
 - ა) პირს, რომელმაც წინასწარ შეუპირებლად დაფარა ახლო ნათესავის დანაშაული;
 - ბ) „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) პასუხისმგებელ პირს;
 - გ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მინიჭების საკითხის განმხილველ, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ საუწყებატაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფის წევრს;
 - დ) „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ საუწყებატაშორისო საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის წევრს;
 - ე) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლის (თავშესაფრის) და კრიზისული ცენტრის პასუხისმგებელ პირებს (გარდა არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი დანაშაულისა);
 - ვ) ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული პირისთვის კონსულტაციების გაწევის უზრუნველყოფი უფასო სატელეფონო დახმარების ქსელის ოპერატორს.“³⁴

როგორც ვხედავთ, წლიდან წლამდე გაფართოვდა არა მხოლოდ ნორმის მოქმედების არეალი, არამედ იმ პირთა წრეც, რომელიც უნდა გათავისუფლდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თუ მათ ჩაიდინეს დანაშაულის დაფარვა.

სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ავტორთა მოსაზრებით, ამ დანაშაულის ობიექტი გამოძიებისა და სასამართლო ორგანოების ნორმალური ფუნქციონირებაა, ხოლო დანაშაულის ობიექტური მხარე აქტიურ მოქმედებაში გამოიხატება და

³⁴ იხ. საქართველოს კანონი “საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე, მუხლი 1(5), მიღების თარიღი: 31/10/2014, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2554994#DOCUMENT:1>> [ბოლოს ნანახია 24.12.2016”

გულისხმობს დამნაშავეს, აგრეთვე დანაშაულის ჩადენის იარაღისა და საშუალების, დანაშაულის კვალის ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნის დაფარვას. ამ დანაშაულის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ამ მოქმედებათა შესრულება წინასწარ არ არის შეპირებული და აქედან გამომდინარე არც მიზეზობრივი კავშირი არსებობს ჩადენილ დანაშაულსა და დაფარვას შორის.³⁵

ამავე ავტორთა მოსაზრებით, „დანაშაულის დაფარვა გულისხმობს მისთვის თავშესაფრის მიცემას, გარეგნობის შეცვლას, სატრანსპორტო საშუალებით, ყალბი დოკუმენტით აღჭურვას, აგრეთვე სხვაგვარ დახმარებას, რაც ართულებს სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას მის სამხილებლად. დანაშაულის ჩადენის იარაღისა და საშუალების დაფარვაში უნდა ვიგულისხმოთ მათი განადგურება ან დამალვა, ასევე მათი გარეგნული იერსახის შეცლა, ხოლო დანაშაულის კვალის დაფარვა შეიძლება გამოიხატოს მის განადგურებაში ან მის აღმოსაჩენად დაბრკოლების შექმნაში.³⁶

კოდექსის კომენტარის ავტორთა მოსაზრებით, განსახილველ დანაშაულს ფორმალური შემადგენლობა აქვს და დამთავრებულად ითვლება ერთ-ერთი კონკრეტული ქმედების განხორციელების მომენტიდან. მისი ჩადენა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება, ვინაიდან დამნაშავეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ ფარავს კონკრეტულ დანაშაულს და სურს მისი დაფარვა. აქვე აღსანიშნავია, რომ ვინაიდან კანონი პირდაპირ მიუთითებს წინასწარ შეუპირებელ დაფარვაზე, ესე იგი დანაშაულის დაფარვის განზრახვა პირს მხოლოდ მისი ჩადენის შემდეგ წარმოეშობა და თუ ასეთი რამ სახეზე არ არის, მაშინ ადგილი აქვს თანამონაწილეობას, დახმარების სახით.³⁷

როგორც ზემოთ აღინიშნა, აღნიშნული ნორმის არსებობა დანაშაულის გახსნისა და დამნაშავეს მხილების მიზანს ემსახურება და მისი პრაქტიკაში გამოყენების შემთხვევები ცალკე იქნება განხილული.

3.10. მუხლი 376 - დანაშაულის შეუტყობინებლობა

განსხვავებული ვითარებაა სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს დასჯადობას დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის, იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან

³⁵ იხ. სქოლიო N5, გვ. 363

³⁶ იქვე, გვ. 363

³⁷ იქვე, გვ. 364

ჩადენილია მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ან/და ამ კოდექსის 171-ე მუხლის მესამე ნაწილით, 255-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების, 255¹-ე და 255²-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები.

სისხლის სამართლის კოდექსის თავდაპირველ ვერსიაში მხოლოდ იმ პირის დასჯადობაზე იყო საუბარი, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული³⁸, თუმცა მოგვიანებით მუხლის დისპოზიცია ჯერ შემსუბუქდა და ამოღებულ იქნა სიტყვა “მძიმე”³⁹, 2006 წლის 29 დეკემბრის კანონით მას კვლავ დაემატება დასჯადობა მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის⁴⁰ და უკვე 2013 წლის 11 დეკემბრის კანონით⁴¹ ჩამოყალიბდა საბოლოო, დღეისათვის მოქმედი სახით.

სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარის ავტორთა მოსაზრებით, ამ დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება დამნაშავის პასიურ ქცევაში, უმოქმედობაში, კერძოდ კი კომპეტენტური ორგანოებისათვის შეუტყობინებლობაში, რომ მზადდება ან ჩადენილია მძიმე ანდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.⁴²

იმავე სახელმძღვანელოში ყურადღება გამახვილებულია შეტყობინების ადრესატებსა და იმ დროზე, რომლის მანძილზეც პირს ევალება განახორციელოს შეტყობინება და აღნიშნულია, რომ ნორმის თანახმად, შეტყობინების ადრესატები მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოები არ არიან და მათ შეიძლება მივაკუთნოთ ხელისუფლებისა და მმართველობის სხვა ორგანოებიც, თუმცა შეტყობინება უნდა გაკეთდეს უმოკლეს ვადაში დამნაშავის მხილებამდე, მაშინ, როცა პირს რეალური შესაძლებლობა ჰქონდა ეცნობებინა სათანადო ორგანოებისათვის დანაშაულის მზადების ან ჩადენის თაობაზე.⁴³

გასათვალისწინებელია, რომ პასუხისმგებლობა ამ დანაშაულისათვის გამორიცხულია თუ პირის ცოდნა ნამდვილი/სარწმუნო არ არის და ეს შეიძლება

³⁸ იხ. სქოლიო N2 მუხლი 376, [ბოლოს ნანახია 24.12.2016]

³⁹ იხ. საქართველოს კანონი “საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ” მუხლი 1(70), მიღების თარიღი: 15/05/2000, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1720#>> [ბოლოს ნანახია 24.12.2016]

⁴⁰ იხ. საქართველოს კანონი კანონი “საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ” მუხლი 1(16), მიღების თარიღი: 03/01/2007, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/22468#>> [ბოლოს ნანახია 24.12.2016]

⁴¹ იხ. საქართველოს კანონი “საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ” მუხლი 1(7), მიღების თარიღი: 25/12/2013, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2138505#DOCUMENT:1>> [ბოლოს ნანახია 24.12.2016]

⁴² იხ. სქოლიო N5, გვ. 365

⁴³ იქვე. გვ. 366;

ემყარებოდეს პირად დაკვირვებას, რომლის თვითმხილველიც პირი თვითონ გახდა, დამნაშავესთან საუბრისას გაგებას, ისევე, როგორც ინფორმაცია შესაძლებელია მოპოვებული იქნეს თანამონაწილისაგან, დოკუმენტიდან, კერძო მიმოწერიდან და ასე შემდეგ. ამასთან, პირს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის, თუ ასეთი შეუტყობინებლობა გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით ან უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობით, პირზე ფიზიკური ან ფსიქიკური იძულების გამო.⁴⁴

განსახილველ დანაშაულს ფორმალური შემადგენლობა აქვს და როგორც წესი დენადი ფორმით ხორციელდება. იგი დამთავრებულია იმ მომენტიდან, როცა პირისათვის ცნობილი გახდა, რომ მზადდება ან ჩადენილია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, მას რეალური შესაძლებლობა აქვს შეატყობინოს ამის თაობაზე შესაბამის ორგანოებს და ამას არ აკეთებს. აღნიშნული კი თავის თავში პირდაპირ განზრახვას გულისხმობს, როცა პირს გაცნობიერებული აქვს, რომ არ აცხადებს მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მზადების ან ჩადენის შესახებ, რომლის შესახებაც დანამდვილებით იცის და სურს ეს შედეგი.⁴⁵

თავი 4. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების ანალიზი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, ხშირად ახდენს სხვადასხვა დაწესებულებებისა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფის მონიტორინგს. აღნიშნული მონიტორინგის ფარგლებში გამოიცემა ყოველწლიური, სპეციალური, საქმიანობისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშები, სადაც განხილულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა საკუთრების უფლება, პატიმართა მოპყრობა, ოჯახში ძალადობის პრევენცია, სამართლიანი სასამართლოს უფლება, მხარეთა თანასწორობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში და სხვა.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ჩვენ მიერ შესწავლი იქნა საქართველოს სახალხო დამცველის 2013-2016 წლების ანგარიშების ის ნაწილი, სადაც ყურადღება იქნებოდა გამახვილებული ამ კატეგორიის დანაშაულთა გამოძიებაზე და სისხლის სამართლის კოდექსის ზემოთ დასახელებული მუხლების გამოყენების პრაქტიკაზე, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

⁴⁴ იქვე, გვ. 366-367;

⁴⁵ იქვე, გვ. 367;

ანგარიშების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ერთადერთი შემთხვევა, როცა სახალხო დამცველი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 368-ე, 369-ე, 369¹-ე, 370-ე, 371-ე, 371¹-ე, 372-ე, 373-ე, 375-ე და 376-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე ეხება ერთ-ერთ განხილულ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებული პირის გიორგი ოქროპირიძისათვის ცრუ დასმენის შესახებ ბრალდების წარდგენის ფაქტს. კერძოდ: საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიშში⁴⁶, მაშინ, როცა ჯერ კიდევ მიმდინარეობდა ზემოთხსენებული სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა, ნათქვამია: “ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ბრალდებული გ.ო. 2014 წლის 22 სექტემბერს თბილისის პენიტენციური დეპარტამენტის N8 დაწესებულებიდან გადაიყვანეს ბათუმის პენიტენციური დეპარტამენტის N3 დაწესებულებაში, რაც პატიმრისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ, იგი დაემუქრა დაწესებულების თანამშრომლებს, რომ თუ უკან არ დააბრუნებდნენ, მიიყენებდა თვითდაზიანებებს, რითაც საქართველოს სახალხო დამცველს დაარწმუნებდა, რომ დაწესებულების მხრიდან წამების მსხვერპლი იყო. ბრალდებულმა მართლაც მიიყენა თვითდაზიანებები, რის შემდეგაც სახალხო დამცველის რწმუნებულთან გასაუბრებისას, პირადი მოტივით, პენიტენციური დეპარტამენტის N8 დაწესებულებაში დაბრუნების მიზნით, ამ უკანასკნელს მიაწოდა ცრუ ინფორმაცია, თითქოს მის მიმართ პენიტენციური დეპარტამენტის N3 დაწესებულების თანამშრომლის მ.მ.-ს, პენიტენციური დეპარტამენტის საბადრაგო სამმართველოსა და პენიტენციური დეპარტამენტის N3 დაწესებულების სხვა თანამშრომლების მხრიდან ადგილი ჰქონდა მძიმე დანაშაულის ჩადენას - დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობას. აღნიშნული ინფორმაცია კი გახდა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყების საფუძველი”.

2015 წლის 7 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველმა, თბილისის საქალაქო სასამართლოს, გიორგი ოქროპირიძის მიმართ საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულისთვის მიწოდებული ინფორმაციის პატიმრის წინააღმდეგ გამოყენებისა და სისხლის სამართლის დევნის საფუძველად გამოყენების აკრძალვის თაობაზე, სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა.⁴⁷ ამ დოკუმენტით ირკვევა, რომ ბრალდებულ გიორგი ოქროპირიძეს მოგვიანებით, 2015 წლის 22 ივლისს, იმავე

⁴⁶ იხ. სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2015 წ., ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf>>, [ბოლოს ნანახია 28.12.2016]

⁴⁷ იხ. სასამართლოს მეგობრის (Amicus curiae) მოსაზრება, საქართველოს სახალხო დამცველი, 2015 წელი, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3940.pdf>> [ბოლოს ნანახია 28.12.2016]

ფაქტების საფუძველზე დამატებით წარედგინა ბრალდება მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემისათვის. სახალხო დამცველის მოსაზრებით: „არასათანადო მოპყრობის პრევენციისა თუ შემდგომში გამოვლენის მიზნით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახალხო დამცველისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის გამართულ ფუნქციონირებას და საქართველოს სახალხო დამცველისთვის და მისი რწმუნებულებისთვის მიწოდებული ინფორმაციის გამო, პატიმრის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და პასუხისმგებლობის დაკისრება კონცეპტუალურ საშიშროებას წარმოქმნის სრულიად ინსტიტუტის მიმართ და ამით კონსტიტუციით გარანტირებული საზოგადოებრივი ნება, რომ სახელმწიფომ იზრუნოს თავისუფლებაზეზღუდულ პირებზე, ვერ აღსრულდება. უფრო კონკრეტულად, მოცემული ფაქტი გამოიწვევს არასწორ და არსებითი საფრთხის შემცველ პრაქტიკას, წარმოქმნის არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის რეალურ საფრთხეს. აღნიშნული კი არა მხოლოდ საქართველოს სახალხო დამცველისა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სრულ დისკრედიტაციას მოახდენს, არამედ თითქმის გამორიცხავს არასათანადო მოპყრობის აკრძალვის კუთხით სახელმწიფოს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ეფექტიანობას.“⁴⁸

სახალხო დამცველი იმავე სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში აღნიშნავს: “ევროპული ციხის წესების შესაბამისად, საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, აუცილებელია წარმოდგენილ იქნეს საფუძველი. აგრეთვე, პატიმარს უნდა ჰქონდეს უფლება მიმართოს სხვა დამოუკიდებელ ორგანოს. არ უნდა მოხდეს პატიმართა დასჯა იმის გამო, რომ მათ საჩივარი შეიტანეს. საყურადღებოა, რომ დისციპლინური რეაგირებაც კი, რომელიც სამართლებრივად ნაკლებად მკაცრი რეაქციაა სახელმწიფოს მხრიდან ინდივიდის მიმართ, მაინც, დამაბრკოლებელ მიდგომად არის მიჩნეული. თავისთავად ცხადია, რომ ამ შემთხვევაში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ცალსახად მიუღებელია”.⁴⁹

იქვე სახალხო დამცველი ყურადღებას ამახვილებს შემდეგზე: „ცრუ დასმენისაგან პირის დაცვა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, მაგრამ ეს მიზანი შეიძლება სხვა საშუალებებითაც იქნას მიღწეული. საყურადღებოა, რომ წამებისა და არასათანადო მოპყრობის ცრუ ბრალდებებისაგან დაცვის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას სათვალთვალო კამერების ჩანაწერები წარმოადგენს, სადაც ასეთი კამერები დამონტაჟებულია კანონის შესაბამისად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის

⁴⁸ იხ. იქვე, გვ. 5

⁴⁹ იხ. იქვე, გვ. 8

დარღვევის გარეშე. ასეთი ჩანაწერები წარმოადგენს არსებითი მნიშვნელობის, გადაწყვეტ მტკიცებულებას. აქვე აღსანიშნავია, რომ წამების პრევენციის ქვეკომიტეტის განმარტებით, წამების შესახებ საჩივრის განხილვისას მოპოვებულ უნდა იქნას ყველა საჭირო მტკიცებულება და მხოლოდ სხეულის დაზიანების არარსებობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნას წამების ფაქტის გამომრიცხავ გარემოებად.”⁵⁰

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსაზრების ავტორი მიიჩვენს, რომ საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებისთვის მიწოდებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაციის გამო, პატიმრის პასუხისგებაში მიცემა

იქნება სახელმწიფოს ნაკისრი პოზიტიური ვალდებულების დარღვევა. მოცემული შემთხვევა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის რეალური საფრთხის გამო, ყველა სხვა თავისუფლებააღკვეთილი პირის მიერ საჩივრის წარდგენისგან თავის შეკავების რეალურ საფრთხეს შექმნის. ეს კი თავის მხრივ, არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის შემაფერხებელ უპირობო გარემოებად იქცევა.”⁵¹

ზემოაღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, სახალხო დამცველის აპარატმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას, საქართველოს შსს-სა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, არ გამოიყენონ პატიმრების მიერ საქართველოს სახალხო დამცველისთვის შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტის შესახებ მიწოდებული ინფორმაცია მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მიზნით და მსგავსი საჩივრები არ გახდეს სს საქმეზე პატიმართა წინააღმდეგ გამოძიების დაწყების საფუძველი.⁵²

ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველი თავის 2015 წლის ანგარიშში სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებსაც ეხება და აღნიშნავს: „აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 18 დეკემბერს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სისხლის სამართლის კოდექსის 371¹-ე მუხლის ამოღებით, მოწმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემის დეკრიმინალიზაცია განხორციელდა. თუმცა, თუ რომელიმე ჩვენების მიცემისას/გამოკითხვისას არასწორი/ცრუ ინფორმაციის მიწოდების ფაქტი დადგინდება, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება შესაძლებელია.” ამდენად, სახალხო დამცველის მოსაზრებით, მიუხედავად გამოკითხვის ნებაყოფლობითი ხასიათისა, ფაქტობრივად

⁵⁰ იხ. იქვე, გვ. 9

⁵¹ იხ. იქვე, გვ. 11

⁵² იხ. სქოლიო N49, გვ. 402

შენარჩუნებულ იქნა წესი, რომლითაც გამოძიების ეტაპზე, მხარისთვის ცრუ ინფორმაციის მიწოდებისთვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებს, რაც, მისივე აზრით, ასევე წარმოადგენს მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლას, გამოხატულს გამოსაკითხი პირის მიერ ცრუ ინფორმაციის მიწოდებით.⁵³

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების თანახმად, სახალხო დამცველმა ბოლო წლებში საგამომიებო და სასამართლო პრაქტიკის ორ მნიშვნელოვან ასპექტზე გაამახვილა ყურადღება და შესაბამისი რეკომენდაციითაც მიმართა სამართალდამცავ და სასამართლო ორგანოებს, რათა დაცული ყოფილიყო ბრალდებულ და მსჯავრებულ პირთა უფლებები.

თავი 5. არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშების ანალიზი

მოცემული კვლევის ფარგლებში, მისი მიზნებიდან გამომდინარე, გაანალიზდა საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები და კვლევები მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისით.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევი მუხლების შესახებ ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებშიც ძალიან მწირია და მათი ყურადღება ძირითადად გამახვილებულია მოწმედ დაკითხვის მიზნით დაბარებასა და დაკითხვის პროცესში მოწმეზე ზემოქმედების ისეთ ფაქტებზე როგორცაა მამუკა მიქაუტაძის⁵⁴, რომან იაკობიძის⁵⁵ და შალვა თათუხაშვილის⁵⁶ შემთხვევები.

⁵³ იხ. სქოლიო N49, გვ. 455

⁵⁴ მოპოვებული ინფორმაციით, მამუკა მიქაუტაძე 2013 წლის 5 ივლისს, დილის საათებში, საკუთარ სამუშაო ადგილას დააკავეს. თვითმხილველთა განცხადებით, მიქაუტაძე რამდენიმე საათის მანძილზე უკრ დაკავეების ადგილას ჰყავდათ, ხოლო შემდეგ სამართალდამცავებმა წაიყვანეს. მამუკა მიქაუტაძის გადაყვანა მოხდა შსს თბილისის მთავარი სამმართველოს შენობაში, სადაც, ოფიციალური ვერსიით, ის მოწმედ იკითხებოდა. აღსანიშნავია, რომ მასთან შეხვედრის და დაკითხვაზე დასწრების საშუალება არ მიეცა ადვოკატს, რომელიც პოლიციის შენობაში, გამომძიებელთან დაუკავშირებლობის მოტივით, არ შეუშვეს. ადვოკატს ასევე რამდენიმე საათის განმავლობაში არ მიეცა საშუალება შეხვედროდა მეორე დაკავებულს, გელა მანჯავიძეს. მას შემდეგ, რაც მამუკა მიქაუტაძემ პოლიციის შენობა დატოვა, მეგობრებს მოუყვა მასზე განხორციელებული ზეწოლის შესახებ და განაცხადა, რომ მას იატაკზე დაგდებულს თავზე ფეხის დაჭერით მოაწერინეს ხელი გელა მანჯავიძის წინააღმდეგ ჩვენებაზე. მან ასევე განაცხადა, რომ მომდევნო დღით კვლავ დაბარებული იყო პოლიციაში. მამუკა მიქაუტაძე მასზე განხორციელებული ზემოქმედების შესახებ ესაუბრა მეუღლესაც. მომდევნო დღეს, დღით, მიქაუტაძემ მეგობრებს აცნობა, რომ მომხდარის შემდეგ აღარ სურდა სიციხეში. მოგვიანებით კი მამუკა მიქაუტაძე თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამოხრჩვალ იპოვეს. „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“; ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ ანგარიში; 2013 წლის მეორე ნახევარი; გვ. 11

⁵⁵ რომან იაკობაძის ოჯახის წევრთა განცხადებით, ადიგენის პოლიციის თანამშრომლებმა იაკობიძეზე ზეწოლა განახორციელეს, აიძულებდნენ ნათესავისათვის ჩადო იარაღი. დაწერინეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ. ამ ფაქტების შესახებ დაზარალებულის ოჯახმა შეატყობინა როგორც აჭარის პროკურატურას, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებს. დაკავეების შემდგომ იაკობაძეს პოლიციის იმავე განყოფილების მიერ არ მიეცა დაცვის უფლებით სარგებლობის საშუალება. პოლიციელები

თუმცა, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა თავის ერთ-ერთ ანგარიშში⁵⁷ ყურადღებას ასევე ამახვილებს გიორგი ოქროპირიძის საქმეზე. ანგარიშის თანახმად, აღნიშნული ორგანიზაციისათვის შემამფოთებელია პროკურატურის მიერ გ. ოქროპირიძისათვის ახალი ბრალდების წაყენების ფაქტი ცრუ დასმენის გამო, რომელიც შეეხებოდა პრევენციის ეროვნული მექანიზმისთვის ინფორმაციის მიწოდებას, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მხრიდან დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის თაობაზე. არასამთავრობო ორგანიზაციის მოსაზრებით, აღნიშნული უარყოფით შედეგებს იწვევს არა მხოლოდ საკუთრივ განმცხადებელი პირისათვის, არამედ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სხვა მსჯავრდებულებზეც, რომლებმაც მოსალოდნელი სანქციების შიშის გამო შესაძლოა თავი შეიკავონ არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე შესაბამისი ორგანოებისათვის (პირველ რიგში კი - პრევენციის ეროვნული მექანიზმისათვის), რაც თავის მხრივ უარყოფითად იმოქმედებს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ავტორიტეტზე და ხელს შეუშლის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მომხდარი დარღვევების გამოვლენასა და აღკვეთას.⁵⁸

რომ შევაჯამოთ, არასამთავრობო სექტორის კვლევებისა და ანგარიშების დიდი რაოდენობის მიუხედავად, მათი შესწავლის შედეგად გამოიკვეთა რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 368-ე, 369-ე, 369¹-ე, 370-ე, 371-ე, 371¹-ე,

უარყოფენ იაკობაძის საქმესთან დაკავშირებით ოჯახის მიერ საზოგადოებისადმი მიწოდებული ფაქტების ნამდვილობას. თუმცა აღნიშნულ ფაქტზე პროკურატურის მიერ სრულყოფილი გამოძიების ჩატარებისა და მისი შედეგების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ გამხდარა. „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“; ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ ანგარიში; 2013 წლის მეორე ნახევრი; გვ. 12-13

⁵⁶ შ.თათუხაშვილი პირველად 2014 წლის 24 თებერვალს იქნა დაბარებული პროკურატურაში, მოწმის სტატუსით, ე.წ. ნათელის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით. 25 თებერვალს შ.თათუხაშვილის მამამ, გენერალმა ვოგი თათუხაშვილმა, სოციალური ქსელის მეშვეობით გავრცელა განცხადება, რომლის მიხედვითაც, 24 თებერვლის დაკითხვის შემდეგ, რომელიც 10 საათს გავრძელდა და გამთენიისას დასრულდა, შ.თათუხაშვილი გაიტაცეს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა. იმავე განცხადებაში ნათქვამია, რომ პროკურატურაში შ.თათუხაშვილი აწამეს და წამლების ზემოქმედების ქვეშ აიძულებდნენ, მიეცა გამოძიებისთვის სასურველი ჩვენება. შ.თათუხაშვილის ოჯახის მიერ გავრცელებულ განცხადებამაც საუბარია შ.თათუხაშვილის მიმართ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობასა და ფსიქოლოგიურ ტერორზე. ამის შემდეგ, დაახლოებით ათი დღის განმავლობაში, შ.თათუხაშვილის ადგილსამყოფელი ოჯახისთვის უცნობი იყო. 2014 წლის 24 მარტს გავრცელდა ინფორმაცია შ.თათუხაშვილის გარდაცვალების შესახებ. გარდაცვლილის ოჯახმა და მათმა ადვოკატმა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი მაღალჩინოსნის გარდაცვალება მის მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობას დაუკავშირეს და მის გარდაცვალებაში სამართალდამცავები დაადანაშაულეს. გარდაცვლილის ოჯახის განცხადებით, რომელიც ადვოკატმა ი.ხაქარიშვილმა გამოაქვეყნა, შ.თათუხაშვილი სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა ორჯერ გაიტაცეს და მოახდინეს მასზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა იმ მიზნით, რომ მას გამოძიებისთვის მიეცა ჩვენება კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი უფროსის დათა ახალაიას წინააღმდეგ. „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“; ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ ანგარიში; 2014 წლის პირველი ნახევრი; გვ. 6

⁵⁷ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“; ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ ანგარიში; 2015 წელი.

⁵⁸ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“; ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ ანგარიში; 2015 წელი; გვ. 83

372-ე, 373-ე, 375-ე და 376-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშულებზე კონკრეტული მოსაზრებები არ გამოთქმულა, არ არსებობს კონკრეტული დასკვნები და რეკომენდაციები, თუ როგორ ხორციელდება მართლმსაჯულება, რა მიიჩნევა, მაგალითად, მტკიცებულებათა ფალსიფიკაციად, ან როდის მიიჩნევა სასამართლო კონკრეტულ ჩვენებებს ურთიერთსაწინააღმდეგოდ და ასე შემდეგ, რის გამოც ფაქტობრივად შეუძლებელია იმის თქმა, თუ რაში ხედავს არასამთავრობო სექტორი ხარვეზებს, რას აფასებენ დადებითად და როგორ რეკომენდაციას აძლევენ შესაბამის ორგანოებს ამ ხარვეზების გამოსასწორებლად.

თავი 6. პროკურორის დადგენილებების ანალიზი **სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და არდაწყების თაობაზე**

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საინტერესო იყო საქართველოს მთავარი პროკურატურის პოზიცია განსახილველ დანაშულებზე დევნის დაწყებაზე უარის თქმისა და დაწყებული დევნის შეწყვეტის თაობაზე, რის გამოც საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გამოთხოვილ იქნა როგორც სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 368-ე, 369-ე, 369¹-ე, 370-ე, 371-ე, 371¹-ე, 372-ე, 373-ე, 375-ე და 376-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და არდაწყების შესახებ, ასევე პროკურორის მიერ გამოტანილი დადგენილებების ასლები, შესაბამისი ანალიზისა და დასკვნებისათვის.

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემებით დგინდება შემდეგი:

მუხლი	დევნის შეწყვეტა				დევნის არდაწყება				სულ ჯამი
	2013	2014	2015	2016 – 9 თვე	2013	2014	2015	2016 – 9 თვე	
368	0	0	0	0	0	0	0	0	0
369¹	4	9	0	0	1	0	0	0	14
370	0	0	0	1	3	1	1	1	7
371	0	0	0	0	0	0	0	0	0
371¹	0	0	0	0	0	0	0	0	0
372	0	6	0	0	0	0	0	0	6
373	0	1	3	1	8	2	1	0	16

375	0	2	5	0	1	1	0	0	9
376	1	2	2	3	7	0	4	4	23

მოცემული ციფრებით დგინდება, რომ ყველაზე ხშირად სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყება ან შეწყვეტა განხორციელებულია მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის, ცრუ დასმენისა და დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე, მაშინ როცა ანალოგიური ფაქტი, 2013-2016 წლებში, დაფიქსირებული საერთოდ არ ყოფილა ჩვენების მიცემაზე უარის თქმის, ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემის ან მტკიცებულებათა განადგურების დანაშაულების გამოძიებისას.

როგორც უკვე აღინიშნა, გარდა სტატისტიკური ინფორმაციისა, კვლევის ფარგლებში შესწავლილია პროკურორის მიერ გამოტანილი დადგენილებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 368-ე, 369-ე, 369¹-ე, 370-ე, 371-ე, 371¹-ე, 372-ე, 373-ე, 375-ე და 376-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და არდაწყების შესახებ.

დადგენილებების შესწავლის მიზანს, პირველ რიგში, ამ დანაშაულების სწორად კვალიფიკაციის საკითხების გამოკვეთა წარმოადგენდა, რათა კვლევის ფარგლებში დაგვედგინა რა შემთხვევები მიიჩნევა პროკურორის მიერ ამა თუ იმ დანაშაულად და როგორც ხდება სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარების პრაქტიკაში გამოყენება. სამწუხაროდ, დადგენილებებში გადმოცემული ინფორმაცია მწირია, თუმცა მანც შეიძლება გარკვეული ანალიზის გაკეთება. კერძოდ:

პროკურორთა მიერ გამოტანილი დადგენილებებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 369¹-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულად მიჩნეულია:

- ა) ამოღების ოქმში გამომძიებლის მიერ გაკეთებული მნიშვნელოვანი შესწორება, რაც წარმოადგენდა კიდევ იმ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მტკიცებულებას;
- ბ) დაკავების ოქმის პოლიციის განყოფილებაში შედგენა, თუმცა მასში ოქმის შედგენის ადგილად დაკავების ადგილის მითითება;
- გ) ნივთიერი მტკიცებულების ფალსიფიცირების მიზნით დაკავების ადგილზე წინასწარ მიტანილი ცეცხლსასროლი იარაღის მოთავსება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულად (ცრუ ჩვენება). დადგენილებების თანახმად, ძირითადად მიჩნეულია ე.წ. “ალიზის მოწმეები”-ს მიერ გაკეთებული განცხადებები, ხოლო 372-ე მუხლთან

დაკავშირებით არსებული დადგენილებები შეეხებოდა სამი პირის მიერ ექსპერტებისადმი მიმართვას საქსპერტო კვლევის შედეგების შეცვლის მიზნით.

ყველაზე მეტი შემთხვევა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლით (ცრუ დასმენა) გათვალისწინებულ დანაშაულთან დაკავშირებით იკვეთება და პროკურორის დადგენილებების მიხედვით, ასეთებად მიჩნეულია ოპერატიული მართვის სამსახურში - 112-ში - დარეკვა და ცრუ ინფორმაციის მიწოდება დანაშაულის ჩადენის შესახებ ან სხვა ფაქტზე გამოძიების დაწყების შემთხვევაში, საკუთარი დანაშაულის დაფარვის მიზნით პოლიციის თანამშრომლებისთვის ცრუ ინფორმაციის მიწოდება დანაშაულის ჩადენის თაობაზე (მაგალითად: ბანკის თანამშრომელმა დაკარგა თანხა და განაცხადა, რომ მოპარეს, მაღაზიის მოლარეს აღმოაჩნდა დანაკლისი და განაცხადა, რომ მოპარეს და ა.შ.).

გარდა ზემოთდასახელებული საკითხებისა, ანალიზისას ყურადღება გამახვილდა დევნის შეწყვეტის და არდაწყების საფუძვლებზე, კონკრეტული დანაშაულების მიხედვით. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პროკურორი უფლებამოსილია არ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან შეწყვიტოს დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა არა მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, არამედ როცა სახეზეა დევნის დაწყების საფუძვლები, მაგრამ ასეთი დევნის განხორციელება ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს, ასეთ დროს კი პროკურორი უფლებამოსილია გამოიყენოს განრიდების ანდა განრიდება-მედიაციის მექანიზმი.

დადგენილებათა შესწავლით გაირკვა, რომ სულ მოწოდებული 36 შემთხვევიდან 8 შემთხვევაში, მოხდა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა, ხოლო 28 შემთხვევაში, პროკურორის მიერ შეწყვეტილ იქნა სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოყენებულ იქნა განრიდება.

რაც შეეხება უშუალოდ დევნის შეწყვეტის ან არდაწყების საფუძვლებს, 2013 წლის მონაცემების მიხედვით, დგინდება, რომ პროკურატურამ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ცრუ დასმენა) 6 შემთხვევაში არ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. ექვსივე შემთხვევაში, დევნის არდაწყება დასაბუთებულია დანაშაულის სიმძიმითა და ბრალდებულთა პიროვნული მახასიათებლებით, მათი წარსულში ნასამართლობის არქონით, ოჯახური და სამსახურებრივი მდგომარეობით, რესოციალიზაციის შესაძლებლობით, ასევე ასაკით, რაც ხშირ შემთხვევაში, არასრულწლოვანებაში გამოიხატება. მხოლოდ ორ დადგენილებაში - ერთ შემთხვევაში პროკურორი

დამატებით აღნიშნავს ბრალდებულის მხრიდან ბრალის აღიარების ფაქტს, ხოლო მეორე შემთხვევაში, დაზარალებულის მიერ პრეტენზიის უქონლობასა და ზიანის ანაზღაურებას. ყოველივე ამით კი, პროკურორი ასაბუთებს საქმის სისხლის სამართლის პოლიტიკასთან წინააღმდეგობას და არ იწყებს დევნას, ხოლო სანაცვლოდ, ძირითადად, იყენებს ბრალდებულთა განრიდების მექანიზმს.

ანალოგიური მდგომარეობაა სისხლის სამართლის კოდექსის 369¹-ე და 370-ე მუხლებთან მიმართებით, როდესაც პროკურორი დევნის არდაწყების ძირითად საფუძველად იყენებს ბრალდებულის პიროვნებასა და დანაშაულის სიმძიმეს. ამასთან, მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის შემთხვევაში, ეყრდნობა ბრალდებულისათვის მის მიერ ჩადენილი ქმედების პროპორციული ვალდებულებებისა და მატერიალური სანქციის დაკისრებას, რაც, მისივე აზრით, განრიდების გამოყენებით იქნება უზრუნველყოფილი.

რაც შეეხება 2014 წლის მონაცემებს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლთან მიმართებით, პროკურატურამ 2 შემთხვევაში არ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. ერთ შემთხვევაში, საფუძველი გახლდათ ბრალდებულის ასაკი, რომელიც 14 წლის იყო, ხოლო მეორე შემთხვევაში, ბრალდებული იყო 2 თვის ჩვილის დედა და არ არსებობდა დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი. 2014 წელს, ასევე, გამოცემულია ერთი დადგენილება სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტზე დევნის არდაწყების თაობაზე, რომელშიც საფუძველი მხოლოდ სამართლებრივია და მისი დასაბუთება არ ხდება რომელიმე გარემოებით, თუნდაც ბრალდებულის პიროვნებით.

2015 წელს დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ სულ ორი დადგენილება იქნა შესწავლილი, რომელთაგანაც ერთი შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლს, ხოლო მეორე 370-ეს. წინა წლების მსგავსად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმა გამოწვეულია ბრალდებულების პიროვნული მახასიათებლებითა და ასაკით.

და ბოლოს, 2016 წლის 9 თვის მონაცემებით, სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების გადაწყვეტილება მიღებულია ისევ ზემოთ აღნიშნულ ორ დანაშაულზე. ცრუ დასმენასთან დაკავშირებით, პროკურორი ერთ შემთხვევაში თავისი პოზიციის დასასაბუთებლად იყენებს ბრალდებულის პიროვნულ მახასიათებლებსა და ნასამართლობის არქონას, თუმცა მეორე შემთხვევაში პროკურორის გადაწყვეტილებაში უბრალოდ აღნიშნულია, რომ დევნის დაწყება ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესს. რაც შეეხება ცრუ ინფორმაციის მიწოდების ფაქტს, ბრალდების

მხარე ასაბუთებს, რომ საჯარო ინტერესის ტესტი გამოხატულია ბრალდებულის პიროვნებით, ნასამართლობის არქონით, ახალი დანაშაულის ჩადენის რისკის, ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი უსაფრთხოებათა და ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარებით.

შესაბამისად, რომ შევაჯამოთ, ამ კატეგორიის დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის ძირითად სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლის მე-3 ნაწილი - სისხლის სამართლის პოლიტიკა და საჯარო ინტერესი, რომლის დასაბუთებაც დადგენილებებში უმეტესწილად გამოხატულია და შესაბამისობაშია მოყვანილი ბრალდებულის პიროვნებასა და დანაშაულის ხასიათთან.

გარდა ზემოთ განხილულისა, მნიშვნელოვანია სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის პრაქტიკაში არსებული საფუძვლების მიმოხილვაც. 2013 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გამოტანილია ოთხი დადგენილება. ოთხივე მათგანით დევნა შეწყვეტილია სისხლის სამართლის კოდექსის 369¹-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე, საფუძვლად კი მითითებულია პირის მიერ დანაშაულის აღიარება, გამომიბეასთან თანამშრომლობა, საზოგადოებრივი უსაფრთხოება და დანაშაულის სიმძიმე, რის შემდეგაც ოთხივე პირის მიმართ გამოყენებულ იქნა განრიდება.

2014 წელს ისევ სისხლის სამართლის კოდექსის 369¹-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე ერთი საქმის ფარგლებში 5 პირის მიმართ იქნა დევნა შეწყვეტილი, ვინაიდან პროკურატურამ ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმის, ქმედების მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის ხარისხის, საჯარო ინტერესისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის ძირითადი მიზნების გათვალისწინებით, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულები არ არის ნასამართლევნი, აღიარებენ და ინანიებენ ჩადენილ დანაშაულს, მიზანშეწონილად მიიჩნია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული ღონისძიების, განრიდების გამოყენება.

2015 წლის ფარგლებში სულ გამოტანილია სამი დადგენილება დევნის შეწყვეტაზე. სამივე მათგანი გამოტანილია სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლის მიმართ და სამივე შემთხვევაში დევნის შეწყვეტის საფუძვლად მოყვანილია დანაშაულის ხასიათი და სიმძიმე, საჯარო ინტერესი, პიროვნული მახასიათებლები და სისხლის სამართლის პოლიტიკა.

და ბოლოს, 2016 წლის მონაცემებით, გამოტანილია მხოლოდ 1 დადგენილება სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე.

ბრალდების მხარის პოზიცია დასაბუთებულ იქნა ისევ და ისევ ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლებით, დანაშაულის სიმძიმის ხარისხითა და საჯარო ინტერესის გათვალისწინებით.

შესაბამისად, საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა არ იწყება ან წყდება ძირითადად მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის, ცრუ დასმენისა და ცრუ ჩვენების შემთხვევებში და ყველა შემთხვევაში პროკურორთა დადგენილებების გამოტანის საფუძველად მითითებულია ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები, დანაშაულის სიმძიმე, ხასიათი, ხარისხი და საჯარო ინტერესი, იშვიათ შემთხვევაში კი დამატებითი საფუძველები. ამასთან, ხშირად პროკურორი დევნის შეწყვეტასა თუ არდაწყებასთან ერთად იყენებს განრიდების მექანიზმს.

რაც შეეხება ქმედების სწორად კვალიფიკაციის საკითხებს, მოწოდებული დოკუმენტების (იგულისხმება დადგენილებები) და მასშის გადმოცემული ფორმულირებებით ზოგიერთ შემთხვევაში რთული იყო დასკვნის გამოტანა თუ კონკრეტულად რა ქმედება მიიჩნია პროკურორმა დანაშაულად და რა ფაქტზე არ უნდა დაიწყოს ან შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, განსაკუთრებით მაშინ როცა დადგენილებებში ერთზე მეტი დანაშაულის ჩადენაზე, რის გამოც პროკურორთა მიმართ რეკომენდაცია სწორედ ბრალდების ფორმულირების დახვეწა და მუხლის დისპოზიციასთან შესაბამისობაში მოყვანა იქნებოდა.

თავი 7. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

7.1. შესავალი

კვლევის ფარგლებში დასახული მიზნების მისაღწევად, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ სასამართლო პრაქტიკის, კერძოდ კი საქართველოს უზენაესი სასამართლოს, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ 2013-2016 წლებში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 368-375-ე მუხლებზე არსებული პრაქტიკის გაანალიზება, რის გამოც შესაბამისი განაჩენები გამოთხოვილ იქნა პირველი და სააპელაციო სასამართლოებიდან, ხოლო უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა მოძიებულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე, გადაწყვეტილებათა საძიებო სისტემაში.

მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებათა რაოდენობა პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ამ დანაშაულთა გამოძიებისა და სასამართლო განხილვის მიმართ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს სტანდარტული დამოკიდებულება გააჩნიათ და რაიმე განსაკუთრებულ მიდგომებს ან პოლიტიკას არ ახორციელებენ. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა კი იმდენად მწირია, რომ მისი გამოყენება პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ შეიძლება არაეფექტურადაც ჩაითვალოს.

ამასთან, მიუხედავად არსებული პრაქტიკის სიმცირისა, კვლევის პროცესში მაინც მოხერხდა საინტერესო საკითხების გამოკვეთა, რაც დასკვნის სახით იქნება წარმოდგენილი.

7.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა

კვლევის ფარგლებში მოძიებულ და განხილულ იქნა 2013-2016 წლებში საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კვლევისათვის საინტერესო მუხლებზე. მოძიებული გადაწყვეტილებების ანალიზით დგინდება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა ამ მიმართულებით საკმაოდ მწირია. მაგალითად, უზენაეს სასამართლოს საერთოდ არ აქვს ნამსჯელი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 369¹-ე მუხლზე, რომელიც სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებათა ფალსიფიკაციას ეხება. ასევე, არ იკვეთება სასამართლო პრაქტიკა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლთან მიმართებით, რომელიც მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმას გულისხმობს. ამასთან, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების კვლევისას ვერ იქნა მოძიებული ვერცერთი სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 372-ე მუხლის ირგვლივ, რომელიც დანაშაულად მიიჩნევს ზემოქმედების განხორციელებას გამოსაკითხ პირზე, მოწმეზე, დაზარალებულზე, ექსპერტზე ან თარჯიმანზე.

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 368-ე მუხლს - მტკიცებულებების განადგურებას, უზენაესი სასამართლოს მხოლოდ ერთი გადაწყვეტილება აქვს მიღებული და ისიც 2005 წელს და ვინაიდან ეს გადაწყვეტილება ერთადერთია ამ კატეგორიის დანაშაულებზე, მიუხედავად საანგარიშო პერიოდის აცდენისა, კვლევაში მაინც მიმოვიხილავთ.

აღნიშნული საქმე ეხებოდა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით მტკიცებულების განადგურებას, რაც გამოიხატა შემდეგში: 2000 წლის 13 ოქტომბერს

ბათუმის კრიმინალური პოლიციის სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ბ.ბ.-ძე მივიდა თ.ჭ-ის სახლში, სადაც ღამით მოხდა ყაჩაღური თავდასხმა. განაჩენით დადგენილად იყო მიჩნეული, რომ ბ.ბ.-ძემ გადაამეტა სამსახურობრივ უფლებამოსილებას, გამომძიებლის გარეშე დაათვალიერა შემთხვევის ადგილი და არ შეადგინა ოქმი, ამასთან თ.ჭ.-ს სახლიდან წაიღო მტკიცებულება - წებოვანი ლენტა, რომლითაც თავდამსხმელებმა ხელები შეუკრეს დაზარალებულებს. ბრალდების მხარის მოსაზრებით, რაც გაიზიარა კიდეც სასამართლომ, აღნიშნული ლენტა წარმოადგენდა საქმისათვის მნიშვნელოვან ნივთიერ მტკიცებულებას და მასზე დარჩენილი კვალით შესაძლებელი იყო დანაშაულის გახსნა. ბ.ბ.-ძემ კი უგულბებლყო საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები, ნივთიერი მტკიცებულება არ წარუდგინა გამომძიებელს, განზრახ გაანადგურა იგი, რითაც არსებითად დაირღვა სახელმწიფოსა და დაზარალებულის ინტერესები. გასათვალისწინებელია, რომ განსახილველ საქმეში ბრალდებული გამართლებული იყო, თუმცა ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის საფუძველზე უზენაესმა სასამართლომ საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნა აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის სხვა შემადგენლობას.⁵⁹ სამწუხაროდ აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს მიერ ხსენებულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება მოძიებული ვერ იქნა, ვინაიდან სასამართლოს არქივიდან ინფორმაციის გამოთხოვა მხოლოდ პროცესის მონაწილეს შეუძლია.

უზენაეს სასამართლოს სისხლის სამართლის კოდექსის 368-ე მუხლის მსგავსად, მხოლოდ ერთი საქმე⁶⁰ აქვს განხილული სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლთან დაკავშირებით. წარმოდგენილი გადაწყვეტილება სასამართლო პრაქტიკისთვის ვერ შეფასდება მნიშვნელოვნად, ვინაიდან იგი ეთმობა მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების დადებას და განაჩენში საერთოდ არ არის ნამსჯელი რამდენად სწორია ბრალდებულებისათვის წარდგენილი ბრალდების შინაარსი ან რამდენად შეესაბამება კვალიფიკაცია საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს.

ზემოთ განხილული ორი გადაწყვეტილებისაგან განსხვავებით, უზენაეს სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება აქვს მიღებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371¹-ე მუხლთან დაკავშირებით, რაც ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემას გულისხმობს და 2016 წლის, მოწმის დაკითხვის რეფორმასთან დაკავშირებით კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით ამოღებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან.

⁵⁹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 14 ივლისის განაჩენი საქმეზე N120-კოლ.;

⁶⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 24 სექტემბრის განაჩენი საქმეზე N307აპ-12;

ზუსტად ამ უკანასკნელ ცვლილებას ეხება უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ივნისის გამოტანილი განაჩენი⁶¹, რომლის თანახმადაც: „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს თუ ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2015 წლის 18 დეკემბრის კანონით, რომელიც ამოქმედდა 2016 წლის 20 თებერვლიდან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 371¹-ე მუხლი, რითაც განხორციელდა ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედების დეკრიმინალიზაცია. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. ამასთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 13 აპრილის 3/1/633,634 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებასთან მიმართებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ N633 და N634 კონსტიტუციურ წარდგინებებში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, პირის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, თუ ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, სასამართლო ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დანიშნითა და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით. აღნიშნული სამართლებრივი რეგულაცია კი უგულვებელყოფდა სასამართლოს შესაძლებლობას, შეეწყვიტა პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა, რომლის მიერ ჩადენილი ქმედებაც განაჩენის გამოტანის დროს დანაშაულს აღარ წარმოადგენდა“.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე, მითითებულ შემთხვევაში, არ ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას, თუმცა, ვინაიდან აღნიშნული ქმედება ჩადენის დროს დანაშაულად ითვლებოდა და ახალი კანონით მოხდა მისი დეკრიმინალიზაცია, მოცემულ სამართლებრივ საკითხს კი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ აწესრიგებს, რაც წარმოადგენს ხარვეზს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის გათვალისწინებით, დასაშვებია გამოყენებულ იქნეს კანონის

⁶¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ივნისის განაჩენი საქმეზე №64აპ-16;

ანალოგია, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლი და შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა პირის მიმართ.

განსხვავებული მდგომარეობაა უზენაესი სასამართლოს 2015 წლის გადაწყვეტილებაში⁶², როდესაც ჯერ კიდევ მოქმედი იყო სისხლის სამართლის კოდექსის 371¹-ე მუხლი. საკასაციო პალატის განმარტებით, გამომძიებელმა ა. მ-ას როგორც მოწმის, ისე დაზარალებულის სტატუსით დაკითხვის წინ კანონის სრული დაცვით განუმარტა მისი უფლება-მოვალეობები და გააფრთხილა არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემის შემთხვევაში მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. სწორედ ამ მომენტიდან ა. მ-ა ითვლებოდა მოცემული დანაშაულის სუბიექტად. მიუხედავად იმისა, რომ ა. მ-ამ კარგად იცოდა მოსალოდნელი შედეგების შესახებ, მან შეგნებულად, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების განზრახ დამახინჯებისა და მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესების ხელყოფის მიზნით, გამოძიებას მისცა არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება. ამდენად, საკასაციო პალატა არ იზიარებს ორივე ინსტანციის სასამართლოების შეფასებას, რომ მოწმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა უნდა მოხდეს მხოლოდ მართლმსაჯულების განხორციელებისას, ანუ სასამართლო განხილვის ეტაპზე. მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371¹-ე მუხლის დისპოზიციაში პირდაპირ მითითებულია მართლმსაჯულებისათვის შეგნებულად ხელის შეშლაზე, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად კი სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მართლმსაჯულება, მაგრამ ქმედების აღნიშნული მუხლით დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელი არ არის რომ ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა მოხდეს მხოლოდ სასამართლო განხილვისას, ვინაიდან მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლის მიზანი პირს შეიძლება ჰქონდეს როგორც გამომძიებლის, ისე სასამართლო განხილვის ეტაპზე. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ა. მ-ას ქმედებაში სახეზეა საქართველოს სსკ-ის 371¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა, რაც საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, არის გასაჩივრებული გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის სამართლებრივი საფუძველი.

⁶² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 24 დეკემბრის განაჩენი საქმეზე №445აპ-15.

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლით განსაზღვრულ ცრუ დასმენას, ერთ-ერთ საქმეში⁶³, რომელსაც დაცვის მხარე ასაჩივრებდა, საკასაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი კვალიფიკაციის ნაწილში და მხოლოდ სასჯელის ზომაზე იმსჯელა. შესაბამისად, წარმოდგენილ გადაწყვეტილებაში არ არის დაკონკრეტებული ცრუ დასმენის განსაზღვრება. პალატა მთლიანად მიენდო სააპელაციო პალატის მიერ ფაქტებისა და კანონის შესაბამისობას და პირის ქმედება მიიჩნია ცრუ დასმენად, რომელიც გამოიხატა შემდეგში: მსჯავრდებულს, რომელსაც სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დაკისრებული ჰქონდა სხვა პირის სასარგებლოდ სესხის გადახდის ვალდებულება, გაუჩნდა განზრახვა, კრედიტორის ავტომანქანაში ჩადო ნარკოტიკული საშუალება მისი პასუხისგებაში მიცემის მიზნით, რისთვისაც უკანონოდ შეიძინა და შეინახა 0,0133 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ეფედრონი“. 2013 წლის 30 იანვარს აღნიშნული ნარკოტიკი მოათავსა კრედიტორის „ფორ-მონდოს“ მარკის ავტომანქანაში, მძღოლის სავარძლის უკან არსებულ ხალიჩაზე, რის შემდეგაც მობილური ტელეფონის სააბონენტო ნომრით - გაგზავნა შეტყობინება აჭარის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოში, რითაც კრედიტორის მიმართ პირადი მოტივით ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შესახებ ცრუ დასმენა.

ცრუ დასმენის საქმეზე საკასაციო სასამართლომ გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი და ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნა სისხლის სამართლის საქმე, ვინაიდან მიიჩნია, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ გამოკვლევის გარეშე დატოვა ცრუ დასმენის საქმეზე ისეთი მნიშვნელოვანი მტკიცებულება, როგორცაა გაფრთხილება ცრუ დასმენის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ და გამოძიების დროს დაზარალებულის სახით მიცემული ჩვენებები, შესაბამისად მიუთითა სასამართლოს, მიეღო კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება ამ მტკიცებულებათა გამოკვლევისა და სხვა მტკიცებულებებთან ერთად შეჯერების შემდეგ.⁶⁴ აღსანიშნავია, რომ ხსენებულ განაჩენში არ არის მითითება თუ რატომ იქნა მიჩნეული მტკიცებულებები არასათანადოდ გამოკვლეულად ან რას არ მიაქცია ყურადღება ამ მტკიცებულებათა გამოკვლევის დროს სააპელაციო სასამართლომ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლთან მიმართებით საქართველოს უზენაესი სასამართლო საქმეში⁶⁵ №203აპ-15 მხოლოდ სასჯელის

⁶³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 2 დეკემბრის განაჩენი საქმეზე №281აპ-15;

⁶⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 4 თებერვლის განაჩენი საქმეზე N1074აპ_10;

⁶⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 13 ოქტომბრის განაჩენი საქმეზე №203აპ-15;

დანიშნვის კანონიერებაზე მსჯელობს. იგი არ ეხება ქმედების სამართლებრივ შეფასებას, ვინაიდან მხარეები სადავოდ არ ხდიან დანაშაულის ჩადენის ფაქტს. რაც შეეხება 2013 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებას⁶⁶, სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა კასატორთა საჩივარი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლით მსჯავრდებული პირის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი გააუქმა და პირი ცნო უდანაშაულოდ. აღნიშნული გადაწყვეტილება ემყარებოდა იმ ფაქტს, რომ მართალია, საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნდა, რომ დანაშაულის დაფარვაში მსჯავრდებულმა პირმა (ზ.მ.) დ.მ-ესთან ერთად გარდაცვლილ მ.ა-ის გვამი გადაიტანა საფეხმავლო გზიდან მოშორებით, რათა დაეფარათ დ.მ-ის მიერ ჩადენილი დანაშაული და შეექმნათ უბედური შემთხვევის - კლდიდან გადავარდნის იმიტაცია, მაგრამ, ვინაიდან საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია ფაქტი იმის შესახებ, რომ დ.მ-ემ ჩაიდინა მ.ა-ის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა, ანუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე დანაშაული (ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ხუთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე), ზ. მ-ის მიმართ სახეზე არ გვაქვს დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი კომპონენტი - ქმედების შემადგენლობის ელემენტი (პირის მიერ ჩადენილი ქმედების შესაბამისობა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციასთან), რადგან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის მიხედვით, დასჯადია მხოლოდ მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის წინასწარ შეუპირებლად დაფარვა.

და ბოლოს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლი ითვალისწინებს დანაშაულის შეუტყობინებლობას. აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა ყველაზე ფართოა, განვიხილოთ თითოეული მათგანი: საქმეში⁶⁷ 294აპ.-14 სასამართლოს პირის მიმართ წარდგენილ ბრალდების ნაწილში სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლთან მიმართებით მხოლოდ დანიშნულ სასჯელში განახორციელა ცვლილება და რამე სამართლებრივი განმრტება არ გაუკეთებია. თუმცა, განსხვავებულად უდგება საკასაციო სასამართლო სისხლის სამართლის საქმეს⁶⁸, რომელშიც აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულების ქმედება სამართლებრივად სწორად შეფასდა და მათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით

⁶⁶ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 დეკემბრის განაჩენი საქმეზე №104აპ.-13.

⁶⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მარტის განაჩენი საქმეზე N294აპ.-14;

⁶⁸ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 12 მარტის განაჩენი საქმეზე №34აპ.-3;

გათვალისწინებული დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის ბრალდებები კანონიერ საფუძველზე ჰქონდათ წარდგენილი. თუმცა, იმ მომენტიდან, როდესაც სააპელაციო პალატამ დასაბუთებულად შეცვალა სხვა ბრალდებულის (ა.გ-ს) დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით, როგორც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა, რომელიც ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება, დანაშაულის შეუტყობინებლობაში მსჯავრდებულების (ს. კ-ა და ლ. ხ-ს) ქმედებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა უკვე აღარ არსებობდა და, შესაბამისად, სამართლებრივ რეაგირებას საჭიროებდა აღნიშნულ მსჯავრდებულ პირთა მიმართ. სწორედ აღნიშნულზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო ს. კ-ა და ლ. ხ-ს.

სისხლის სამართლის საქმეზე⁶⁹ პირველი და სააპელაციო სასამართლოების მიერ მ. შ-ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების – დანაშაულის შეუტყობინებლობის ჩადენისათვის. სასამართლოები აღნიშნავდნენ, რომ ამ ნაწილში ბრალი მის მიმართ დადასტურებული იყო მ. შ-ს მიერ მოცემულ საქმეზე მსჯავრდებულ იმ სხვა პირებთან გამართული სატელეფონო საუბრების ჩანაწერებითა და შესაბამისი კრებსებით, რომლებიც იმხილებოდნენ ქურდული სამყაროს წევრობაში, აგრეთვე, მოწმე ფ. ყ-ს ჩვენებით. სასამართლოს აზრით, აღნიშნული მტკიცებულებები სრულიად საკმარისი და სარწმუნო იყო საიმისოდ, რომ სასამართლოს მ.შ-ი ბრალეულად ეცნო დანაშაულის შეუტყობინებლობაში, რადგან ამ მტკიცებულებებიდან გამომდინარე, სრულიად ცხადი და უქვევლი იყო ის ფაქტი, რომ მისთვის ცნობილი იყო, როგორ მზადდებოდა და ხორციელდებოდა სხვა პირების მიერ ქურდული სამყაროს ხელშემწყობი სხვადასხვა ქმედება, აგრეთვე, ფსიქოლოგიური ზემოქმედების გზით დაზარალებულისგან თანხების გამოძალვა. საკასაციო სასამართლომ, ასეთ პირობებში, მიიჩნია, რომ მსჯავრდებულ მ. შ-ს დამცველის მიერ საკასაციო საჩივარში წარმოდგენილი მხოლოდ ერთი წინადადება იმის თაობაზე, რომ პოლიციას მასზე უფრო ადრე ჰქონდა ინფორმაცია ხსენებული ქურდული სამყაროს წარმომადგენელთა საქმიანობაზე, ვერ გახდება ამ ნაწილში გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვისა და მ. შ-ს გამართლების საფუძველი, ვინაიდან, ჯერ ერთი, მ. შ-სათვის არაფერი იყო ცნობილი იმის თაობაზე, პოლიციამ რა იცოდა და რა არ იცოდა. გარდა ამისა, მოქალაქე არ გათავისუფლდება

⁶⁹ იხ.საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 24 მარტის განაჩენი საქმეზე №392აპ-15

პასუხისმგებლობისაგან დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის მხოლოდ იმის გამო, რომ ის იმედოვნებდა, რომ პოლიცია შეიძლება მის დაუხმარებლადაც ყოფილიყო ინფორმირებული დანაშაულის შესახებ; მესამეც, ნებისმიერი ადამიანი, მათ შორის დანაშაულის ახლო ნათესავიც, ვალდებულია აცნობოს პოლიციას დანაშაულის თაობაზე იმ მომენტში, როდესაც მზადდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენა ან როდესაც უკვე მიმდინარეობს მისი ჩადენა. განხილული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნია, რომ მსჯავრდებულ მ. შ-ს დამცველის, ადვოკატის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა კიდევ ერთ საქმეზე, რითაც მკაფიოდ განსაზღვრა დანაშაულის შეუტყობინებლობის სუბიექტთა წრე. კერძოდ, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტების შესაბამისად, პ. ს-ე, თავის ორ მეგობართან – ზუ. და ზა. კ-ძეებთან ერთად, მიკროავტობუსით მგზავრობდა თბილისის მიმართულებით. მათ შელაპარაკება მოუხდათ თ. და რ. კ-ოვებთან, რაც გადაიზარდა ჩხუბში. პ. ს-ე, ზა. და ზუ. კ-ძეები მათ უცენზურო სიტყვებით აყენებდნენ სიტყვიერ და ასევე ფიზიკურ შეურაცხყოფას. წარმოქმნილი ხმაურის გამო, მძღოლი იძულებული გახდა გაეჩერებინა ავტომანქანა, რის შემდეგაც ისინი ჩამოვიდნენ ძირს და ჩხუბი გაგრძელდა ქუჩაში. მიკროავტობუსიდან ჩამოვიდნენ მოქალაქეებიც, რომლებიც ცდილობდნენ პ. ს-ადისა და მასთან ერთად მყოფი ზუ. და ზა. კ-ძეების დაწყნარებას, მოუწოდებდნენ, შეეწყვიტათ ჩხუბი და უცენზურო სიტყვების ხმარება. მიუხედავად ამისა, ისინი აგრძელებდნენ თავიანთ დანაშაულებრივ ქმედებას, რომელიც გაგრძელდა 5-10 წუთის განმავლობაში. ჩხუბის დროს პ. ს-ემ განიზრახა რ. და თ. კ-ოვების განზრახ მოკვლა და დანით ჯერ რ. კ-ოვს მიაყენა სასიკვდილო ჭრილობები გულმკერდის არეში, რომელიც გარდაიცვალა, ხოლო შემდეგ თ. კ-ოვს მიაყენა მრავლობითი ჭრილობები გულმკერდისა და მუცლის არეში, რომელიც გადარჩა სიკვდილს. მიუხედავად იმისა, რომ ზა. და ზუ. კ-ძეებმა დაინახეს, თუ როგორ მიაყენა დანით სასიკვდილო ჭრილობები პ. ს-ემ რ. კ-ოვს, იმ მოტივით, რომ შეეცოდათ პ. ს-ემ და შეეშინდათ, არ შექმნოდათ პრობლემები პოლიციასთან, დამალეს მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტი და სამართალდამცავ ორგანოებს არ შეატყობინეს მომხდარი დანაშაულის შესახებ.

ხსენებულ საქმეზე, საკასაციო პალატამ, ერთი მხრივ, გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილება ზა. და ზუ. კ-ძეების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლით (ხულიგნობა) მსჯავრდების ნაწილში, მეორე მხრივ, არასწორად მიიჩნია სასამართლოს მიერ მათი ქმედების სამართლებრივი

შეფასება დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის მსჯავრდების ნაწილში. პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის. მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულებმა - ზა. და ზუ. კ-ძეებმა შესაბამის ორგანოებს არ შეატყობინეს ფაქტობრივად მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე, რის გამოც, მათი ქმედების ამ მუხლით დაკვალიფიცირება არასწორია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მსჯავრდებულების - ზა. და ზუ. კ-ძეების მიმართ შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით ბრალდების ნაწილში.⁷⁰

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საკვლევ პერიოდში (2013-2016 წლები) საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, კვლევის ფარგლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე საკმაოდ მწირია, რაც განაპირობებს კიდევ მის არაპრეცედენტულობას. სასამართლოს, გარდა იშვიათი გამონაკლისისა (იგულისხმება 375-376-ე მუხლები), არცერთ საქმეზე არ განუმარტავს თუ რას გულისხმობს ესა თუ ის ნორმა, როდის შეიძლება კონკრეტული ქმედება დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კონკრეტული მუხლით, არ ჩამოუყალიბებია მნიშვნელოვანი პრაქტიკა და მხოლოდ ინდივიდუალური საქმეების მიხედვით, უბრალოდ ფაქტების მიმოხილვით იღებდა გადაწყვეტილებებს ამა თუ იმ დანაშაულის შემადგენლობის არსებობა/არ არსებობის თაობაზე.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველად შესული საქმეების რაოდენობა არც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ქმედებაზე დამოკიდებული და არსებული რაოდენობაც არ იძლევა ამ დანაშაულებთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკის ფართოდ განვითარების საშუალებას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, როგორც საკასაციო სასამართლოს მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასურველია არსებული საქმეების უფრო სიღრმისეულად, სასამართლო პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით განხილვა და ამ დანაშაულებზე ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება.

⁷⁰ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 7 ივნისის განაჩენი საქმეზე N175აპ-11;

7.3. საქართველოს სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკა

საკვლევ დანაშაულებთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზისათვის, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებიდან იქნა მოთხოვნილი 2013-2016 წლებში მათ მიერ გამოტანილი განაჩენები, სისხლის სამართლის კოდექსის 368-376-ე მუხლებზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოდან მიღებული წერილით დგინდება, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 368-ე, 369¹-ე, 371-ე, 373-ე, 375-ე და 376-ე მუხლებთან დაკავშირებით მათ მიერ სისხლის სამართლის საქმეები არ განხილულა, რის გამოც მოწოდებულ იქნა მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე, 371¹-ე და 372-ე მუხლებთან დაკავშირებით გამოტანილი 3 განაჩენი. კერძოდ:

2013 წელს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმეზე⁷¹ N1/ზ-206-13 იმსჯელა სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის დადგენილი სასჯელის გადასინჯვის საკითხზე. აღნიშნულ განაჩენში პალატას არ უმსჯელია თავად დანაშაულის არსებობასა თუ მის შინაარსზე. ამ მხრივ უფრო მეტად მნიშვნელოვანია ამავე სასამართლოს მიერ 2015 წელს გამოტანილი განაჩენი⁷², რომელშიც სააპელაციო პალატამ რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენი სისხლის სამართლის კოდექსის 371¹-ე მუხლით ბრალდებულის გამართლებასთან დაკავშირებით ძალაში დატოვა შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ მიიჩნია, რომ მართალია სახეზე იყო ჩვენებებს შორის აშკარა წინააღმდეგობა, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, პირველ რიგში, უნდა დადგენილიყო, რომ ბრალდებულმა აღნიშნული ჩვენებები მისცა მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლის მიზნით და რომ ჩვენებები მოპოვებული იყო კანონით დადგენილი წესის დაცვით. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მტკიცებულების არსებითი დარღვევით მიპოვების ფაქტის გამოვლენა საქმის არსებით განხილვის ეტაპზე, ვინაიდან გამოძიებაში მოწმის დაკითხვის დროს არ მონაწილეობდა თარჯიმანი და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში პირის პასუხისგებაში მიცემისათვის საჭიროა დადგინდეს, რომ იგი ფლობს სისხლის სამართლის პროცესის ენას და თავისუფლებად შეეძლო გაეგო როგორც იმ პასუხისმგებლობის შინაარსი, რომელიც მართლმსაჯულებისთვის შეგნებულად ხელის

⁷¹ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2013 წლის 18 ნოემბრის განაჩენი საქმეზე N1/ზ-206-13;

⁷² იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2015 წლის 10 მარტის განაჩენი საქმეზე N1/ზ-108-15.

შემლას ახლავს თან, ასევე გამომძიებლის მიერ დასმული შეკითხვები და დაკითხვის ოქმში დაფიქსირებული მიერ მიერ გაცემული პასუხების სისწორე.

რაც შეეხება 2016 წელს გამოტანილ განაჩენს⁷³, სააპელაციო სასამართლომ განმარტება გააკეთა სისხლის სამართლის კოდექსის 372-ე მუხლით გათვალისწინებული მუქარის ნაწილში. კერძოდ: სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, თითქოს მტკიცებულებებით დასტურდება მოწმის მიმართ იძულების მუქარა ჩვენების შეცვლის მიზნით, ვინაიდან დაზარალებულის ჩვენების გარდა სხვა პირდაპირი მტკიცებულება, რაც მიუთითებს მოწმის მიერ იძულებას ძალადობის მუქარით, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთან, საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ ირკვეოდა კონკრეტულად რაში გამოიხატება მოწმის მიმართ ძალადობის მუქარა, კერძოდ, არ იკვეთება თუ რა ქმედების განხორციელებით დაემუქრა იგი მას და მის ნათესავებს. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ ამ დანაშაულის შემთხვევაშიც მუქარა სახეზეა მაშინ, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, რაც მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთებოდა.

გარდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებისა, გაანალიზებულ იქნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 19 განაჩენი.

საქმეზე №1/ზ-247-2014წ.⁷⁴ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ სისხლის სამართლის კოდექსის 371¹-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდებული პირის მიმართ სასჯელის შეცვლის ნაწილში და შესაბამისად, სასამართლო არ შეხებია საქმის არც ფაქტობრივ და არც სამართლებრივ საფუძვლებს. ანალოგიური მდგომარეობაა საქმეებში: N1/ზ-349-2014წ.⁷⁵; N1/ზ-145-2014წ.⁷⁶; N1/ზ-26-15წ.⁷⁷ N1/ზ-540-2015წ.⁷⁸; N1/ზ-

⁷³ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2016 წლის 12 აპრილის განაჩენი საქმეზე N1/ზ-224-16;

⁷⁴ იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2014 წლის 14 მაისის განაჩენი საქმეზე N1/ზ-247-2014წ.;

⁷⁵ იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2014 წლის 29 სექტემბრის განაჩენი საქმეზე N1/ზ-349-2014წ.;

⁷⁶ იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2014 წლის 23 აპრილის განაჩენი საქმეზე N1/ზ-145-2014წ.;

⁷⁷ იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2015 წლის 24 თებერვლის განაჩენი საქმეზე N1/ზ-26-15წ.;

⁷⁸ იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2015 წლის 27 ნოემბრის განაჩენი საქმეზე N1/ზ-540-2015წ.;

236-2014 წელი⁷⁹; N1/ზ-619-2015 წელი;⁸⁰ N1/ზ-337-2016წ.;⁸¹ N1/ზ-206-2014 წელი;⁸² 1/ზ-52-2014 წელი;⁸³ 1/ზ-147-14წ.⁸⁴

N1/ზ-292-2016წ.⁸⁵ და N1/ზ-68-15წ.⁸⁶ სისხლის სამართლის საქმეებზე სააპელაციო სასამართლომ მართალია იმსჯელა და მიიღო პირველი ინსტანციის სასამართლოსაგან განსხვავებული გადაწყვეტილება, თუმცა აღნიშნულ საქმეზე არც ბრალდების და არც დაცვის მხარის მიერ არ ყოფილა გასაჩივრებული საქმის ის ნაწილი, რომელიც კვლევის საგანს წარმოადგენს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან დაკავშირებით გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებისა და გამამართლებელი განაჩენის დადგენის შესახებ მსჯელობს ქუთაისის სააპელაციო სასამართლო საქმეზე N1/ზ-33-13წ.⁸⁷ ამ საქმეზე აპელანტი მოითხოვდა განაჩენის გაუქმებას არა დანაშაულის ნიშნების, არამედ საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის მოტივით, რაც პალატამ არ გაიზიარა, ვინაიდან მიიჩნია, რომ სამართალწარმოებისას ადგილი არ ჰქონია საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა ისეთ არსებით დარღვევებს, რაც გამოიწვევდა განაჩენის გაუქმებას ან ბრალდების დამადასტურებელ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობას, ვინაიდან ის რასაც აპელანტი ბრალდების ფორმულირების შეცვლას უწოდებს, სასამართლოს განმარტებით წარმოადგენს სასამართლოსთვის სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის პირველი ნაწილით დაკისრებულ ვალდებულებას - აღწერილ იქნეს ის

⁷⁹ იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2014 წლის 28 მაისის განაჩენი საქმეზე N1/ზ-236-2014 წელი.;

⁸⁰ იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2016 წლის 16 მაისის განაჩენი საქმეზე N1/ზ-619-2015 წელი.;

⁸¹ იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2016 წლის 22 სექტემბრის განაჩენი საქმეზე N1/ზ-337-2016წ.;

⁸² იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2014 წლის 28 მაისის განაჩენი საქმეზე N1/ზ-206-2014წ.;

⁸³ იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2014 წლის 7 მარტის განაჩენი საქმეზე N1/ზ-52-2014წ.;

⁸⁴ იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2014 წლის 13 მაისის განაჩენი საქმეზე N1/ზ-147-14წ.;

⁸⁵ იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2016 წლის 17 ივნისის განაჩენი საქმეზე N1/ზ-292-2016წ.;

⁸⁶ იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2015 წლის 15 აპრილის განაჩენი საქმეზე N1/ზ-68-15წ.;

⁸⁷ იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2013 წლის 17 მაისის განაჩენი საქმეზე N1/ზ-33-13წ.;

დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც სასამართლომ დადგენილად ცნო საქმის განხილვის შედეგად.

ამავე საკითხზე იმსჯელა სასამართლომ სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან მიმართებით 2013 წელს N1/ზ-43-2013წ. საქმეზე,⁸⁸ რომელზეც ასევე არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ როცა ბრალდებულ ა. ნ- ისათვის ცნობილი ხდება პ.ტ-ის მკვლელობის ამბავი, კერძოდ ის, რომ პ. ტ-ეს მოკლულს ნახულობენ ე.წ. "გაზის კანტორის" მიმდებარე ტერიტორიაზე, ზუსტად იმ ადგილზე, რომელიც ა. ნ-ისათვის ცნობილია, როგორც მ. მ-ისა და პ. ტ-ის შეხვედრის ადგილი, იგებს თუ რითია მოკლული და როდის. ყოველივე ამის მიუხედავად მან აღნიშნულის შესახებ არ განაცხადა და დაელოდა მოვლენების შემდგომ განვითარებას.

სასამართლო იმ მტკიცებულებების საფუძველზე, როგორცაა შემთხვევის ადგილისა და გვამის დათვალიერების ოქმი, გარდაცვლილ პ.ტ-ის მობილური ტელეფონის დათვალიერების ოქმები, დარეჯან გვარამიას (ე.დ-ს დედა) მობილური ტელეფონის დათვალიერების ოქმი, ბრალდებულ ა.ნ.სა და მოწმეთა ჩვენებები, დადგენილად მიიჩნევს, რომ ა.ნ-მა ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, რაც გამოიხატა ამ უკანასკნელის მიერ დანაშაულის შეუტყობინებლობაში.

საინტერესოა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 02 სექტემბრის განაჩენი, ⁸⁹ რომლის მიხედვითაც, ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორი ითხოვდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში ბრალდებულის მიმართ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის გამამტყუნებელი განაჩენით შეცვლას. სააპელაციო პალატამ საქმის შესწავლის შედეგად არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი შემდეგ გარემოებათა გამო: გამართლებულის მოწმის სახით დაკითხვის ოქმი, რომელიც შედგენილია 2013 წლის 29 ივლისს შეიცავს ურთიერთგამომრიცხავი შინაარსის წინადადებებს. კერძოდ, ერთი მხრივ, მოწმე ადასტურებს შემხვედრი ლურჯი ფერის "მერსედესის" მარკის ავტომანქანის მძღოლად მ.კ-ს დაფიქსირებას, ხოლო მომდევნო წინადადებაში კი უთითებს, რომ ეს პიროვნება **შემთხვევის "მერე (დროს)"** არ დაუნახავს. ასეთ

⁸⁸ იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2013 წლის 31 მაისის განაჩენი საქმეზე N1/ზ-43-13წ.;

⁸⁹ იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2014 წლის 2 სექტემბრის განაჩენი საქმეზე N1/ზ-408-14წ.;

ვითარებაში, რათა გამოორიცხულიყო ტექსტის ორაზროვანი აღქმა, გამომძიებელს დამატებითი შეკითხვის დასმით არ აღმოუფხვრია არსებული წინააღმდეგობა. შესაბამისად, სასამართლო სხდომაზე მოწმის მიერ ჩვენებაში იმის დაფიქსირება, რომ მას ლურჯი ფერის "მერსედესის" მარკის ავტომანქანის მძღოლი შემთხვევის დროს არ დაუნახავს და მისი ვინაობა გამოძიებაში იმიტომ დაასახელა, რომ მან შეიცნო ავტომანქანა, რომელიც ეკუთვნოდა მის მეზობლად მცხოვრებ მ.კ.-ს, არ იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ დ.კ.-მ სასამართლოს მისცა მოწმის სახით გამოძიებაში მიცემული ჩვენების არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება. შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული გარემოების უტყუარად დადგენის გარეშე, მიუხედავად პირის განზრახვისა, სახეზე არ გვექნება სისხლის სამართლის კოდექსის 371¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა.

განსხვავებული მდგომარეობაა N1/ზ-104-2015წ. საქმეში⁹⁰, რომლის მიხედვითაც, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 იანვრის განაჩენით ბრალდებული ი.კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371¹-ე მუხლის პირველი ნაწილით. ზემოაღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა, რომლებმაც მოითხოვეს გამამართლებელი განაჩენი გამოტანა. მათ მიაჩნდათ, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ისე გამოიტანა განაჩენი ი.კ.-ს მიმართ, რომ არც გამოუკვლევია მტკიცებულებები და დაეყრდნო მხოლოდ პროკურატურის მიერ მიწოდებულ არარეალურ მტკიცებულებებს. ი.კ.-ს მიერ ყველა მოქმედება შესრულებული იყო შს სამინისტროს წყალტუბოს რაიონული სამმართველოს მაშინდელი უფროსის ზ.ო.-ის კარნახით, მუქარისა და შანტაჟის ქვეშ, მათ შორის ისიც, რომ თითქოსდა ი.კ.-მა პოლიციას მიმართა განცხადებით მის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების თაობაზე. სააპელაციო პალატამ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის საჩივარი შემდეგ გარემოებებზე დაყრდნობით: "მტკიცებულებათა ერთობლივი ანალიზის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ი.კ.-ს მიმართ გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრად შერაცხული დანაშაულის ჩადენა, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 371¹-ე მუხლის პირველი ნაწილით უტყუარადაა დადასტურებული. ამასთან, ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულმა გამოძიების დროს და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მოწმის სახით დაკითხვისას ჩვენებები მისცა ზ.ო.-ის მხრიდან მის მიმართ განხორციელებული

⁹⁰ იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2015 წლის 30 აპრილის განაჩენი საქმეზე №1/ზ-104-2015წ.;

ზეწოლისა და მუქარის შედეგად, სააპელაციო სასამართლო არ იზიარებს, ვინაიდან აღნიშნული არ დასტურდება რამე მტკიცებულებით, რაც გააბათილებდა ბრალდების მხარის მტკიცებულებებს.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოწმეს წარმოადგენს პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი. მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმა დაუშვებელია. ასევე მოწმის მოვალეობაა მართლმსაჯულების და საგამოძიებო ორგანოებს მიაწოდოს მისთვის ცნობილი გარემოებების შესახებ სწორი და სრულყოფილი ინფორმაცია, რათა არ მოხდეს გამოძიების ან სასამართლოს შეცდომაში შეყვანა და უდანაშაულო პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, ან დანაშაულის ჩადენაში მხილებული პირის მართლმსაჯულების მიღმა დატოვება. მართლმსაჯულება არ წარმოადგენს მხოლოდ საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან განაჩენის გამოტანამდე პროცესს და მართლმსაჯულება არ უნდა იქნას გაგებული ვიწროდ. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მსჯავრდებულის ჩვენება ერთ-ერთ საფუძვლად დაედო სხვა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას, მის მიმართ ბრალის წარდგენას და შესაბამისად აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, ხოლო შემდეგ მტკიცებულებების სახით მისი ჩვენებები წარდგენილი იქნა წინასასამართლო სხდომაზე, ასევე ერთ-ერთ საფუძვლად დაედო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ ამავე პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას, შემდეგ კი გამოძიებაში და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მიცემული ჩვენებებისგან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მიცემული არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება ასევე ერთ-ერთი საფუძველი გახდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ამავე ბრალდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანისათვის. ამდენად, სასამართლოს აზრით, მსჯავრდებული ი.კ.-ს მიერ მიცემულმა ჩვენებებმა გამოიწვია ორი ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება სასამართლოების მხრიდან. ერთ შემთხვევაში გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა სხვა პირის მიმართ და მეორე შემთხვევაში - გამამართლებელი განაჩენის.

სასამართლო აქვე ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ როგორც გამოძიებისას, ასევე ორივე ინსტანციის სასამართლოში მსჯავრდებულ ი.კ.-ს განემარტა მისი უფლება-მოვალეობები და ასევე გაფრთხილებულ იქნა არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემის შემთხვევაში პასუხისმგებლობის შესახებ. ყოველივე ზემოაღნიშნული კი ადასტურებს მსჯავრდებულის მხრიდან

მართლმსაჯულებისათვის შეგნებულად ხელის შემლას არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2016 წლის 03 ივნისს გამოიტანა განაჩენი,⁹¹ რომლითაც სისხლის სამართლის კოდექსის 371¹-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში პირი უდანაშაულოდ ცნობო. სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმეში არ არსებობს ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა დაადასტურებდა ბრალდებულის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენას და მხოლოდ ეჭვი და ვარაუდი, მაშინ, როდესაც არ არსებობს სულ მცირე, ორი პირდაპირი ხასიათის მტკიცებულება, რომლებიც სრულ თანხვედრაში იქნება ერთმანეთთან და მოგვეცემს დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშნის დადასტურების შესაძლებლობას, რაც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

პალატა ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებას, რომ პირის ქმედების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371¹-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის საჭიროა არსებობდეს სუბიექტი, მოწმე ან დაზარალებული, ორი ჩვენება, რომელიც არის არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო და აღნიშნული უნდა ემსახურებოდეს მართლმსაჯულებისათვის შეგნებულად ხელის შემლას.

მოცემულ შემთხვევაში ბრალდებულს ბრალი დაედო მასში, რომ აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე, გამოძიების ეტაპზე 2015 წლის 19 მარტს და 2015 წლის 27 აპრილს მოწმის სახით დაკითხვისას გამოძიებას მისცა არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები. ამასთან, პალატა ყურადღებას მიაპყრობს საქართველოს 2015 წლის 18 დეკემბრის № 4678 კანონზე, რომლის მიხედვითაც ცვლილება იქნა შეტანილი სისხლის სამართლის კოდექსში (მალაში შევიდა 2016 წლის 20 თებერვლიდან). აღნიშნული ცვლილებით სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნა 371¹-ე მუხლი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა უცვლელად ტოვებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ბრალდებულის უდანაშაულოდ ცნობის შესახებ.

და ბოლოს, 2016 წელს სასამართლომ იმსჯელა როგორც ბრალდების მხარის, ასევე დაცვის მხარის სააპელაციო საჩივრებზე, რომელთა თანახმადაც, ბრალდების მხარე

⁹¹ იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2016 წლის 3 ივნისის განაჩენი საქმეზე №1/ზ-69-2016წ.;

ითხოვდა სს-ის 371¹-ე მუხლით მსჯავრდებული პირის მიმართ სასჯელის გამკაცრებას, ხოლო ადვოკატი - პირის გამართლებას. სააპელაციო პალატამ გააანალიზა საქმეში არსებული მტკიცებულებები, სააპელაციო საჩივრების მოტივირებანი და მოთხოვნები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და მსჯავრდებულის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს 2015 წლის 18 დეკემბრის №4678 კანონით ცვლილება იქნა შეტანილი სისხლის სამართლის კოდექსში (ძალაში შევიდა 2016 წლის 20 თებერვლიდან). აღნიშნული ცვლილებით სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნა 371¹-ე მუხლი. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადების თანახმად: „კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს“. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამსუბუქებს სასჯელს აქვს უკუძალა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს თუ ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას. ამიტომ, ქმედება, რომლის ჩადენასაც ბრალდება ედავება პირს და რომელიც მისი ჩადენის მომენტში დანაშაულს წარმოადგენდა, დეკრიმინალიზებულია, რის გამოც სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

რომ შევაჯამოთ, როგორც თბილისის, ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლო ნაკლებად ახდენს კონკრეტული ნორმების განმარტებას და ამ ნორმების საქმეში არსებულ გარემოებებთან ფაქტებთან შესაბამისობას. განაჩენების ანალიზმა აჩვენა, რომ სააპელაციო პალატები მეტწილად ეყრდნობიან პირველი ინსტანციის სასამართლოების შეფასებებს და იზიარებენ მას, როგორც სასამართლოს მხრიდან დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და იშვიათად შედიან მსჯელობაში არსებული ფაქტობრივი გარემოებები შეესაბამება თუ არა ნორმას, რომელიც გამოიყენა პირველი ინსტანციის სასამართლომ ამა თუ იმ ქმედების შესაფასებლად. აქვე, დადებით ტენდენციად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით 371¹-ე მუხლის (ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა) გაუქმების შემდეგ, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა კანონმდებლობის განმარტება და ნაცვლად

ამ ქმედებების ცრუ ჩვენებად დაკვალიფიცირებისა, არსებითად განსხვავებული პრაქტიკა - ამ ქმედების დეკრიმინალიზაცია - შემოგვთავაზა.

7.4. პირველი ინსტანციის სასამართლოების პრაქტიკა

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ თეორიული მასალის, არამედ სასამართლო პრაქტიკის გაანალიზებაც. ამ მხრივ ყველაზე საინტერესო სწორედ პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებებია, რომლებშიც ყველაზე დეტალურად არის ასახული ამა თუ იმ ქმედების სამართლებრივი შეფასება, ისევე როგორც მოსამართლის განმარტება თეორიულ საკითხებთან დაკავშირებით.

სწორედ ამ მიზნით, კვლევის ფარგლებში, საქართველოს 27 საქალაქო (რაიონული) სასამართლოდან გამოთხოვილ იქნა 2013-2016 წლებში მათ მიერ გამოტანილი განაჩენები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 368-ე, 369-ე, 369¹-ე, 370-ე, 371-ე, 371¹-ე, 372-ე, 373-ე, 375-ე და 376-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე. ყველა სასამართლოს მხრიდან მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად იქნა მოწოდებული, გარდა თბილისის საქალაქო სასამართლოსი, რომელმაც ჯერ უარი განგვიცხადა მასალების მოწოდებაზე დატვირთვის მომიზეზეებით, ხოლო მოგვიანებით, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად ნაწილობრივ დააკმაყოფილა ჩვენი მოთხოვნა და შემთხვევითი შერჩევის პრინციპით მხოლოდ 24 განაჩენის ასლი გამოგვიგზავნა.

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ განაჩენთა უმრავლესობა არსებითი განხილვის გარეშე გამოტანილი და მათში სასამართლოს მსჯელობის ან პრაქტიკისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მოძიება, ბუნებრივია, ვერ მოხერხდა, თუმცა არსებული მასალების ანალიზმა მაინც მოგვცა რამდენიმე საინტერესო მაგალითი სისხლის სამართლის კოდექსის ამა თუ იმ მუხლის განმარტების თვალსაზრისით. კერძოდ:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლთან მიმართებით, საკვლევ პერიოდში სულ გამიტანილ იქნა 22 განაჩენი. აქედან 11 შემთხვევაში სასამართლოს მიერ განაჩენი გამოტანილია არსებითი განხილვის გარეშე, 5 საქმეზე დამდგარია გამამტყუნებელი, ხოლო 3-ზე - გამამართლებელი განაჩენი, 3 საქმის შემთხვევაში შეცვლილია კვალიფიკაცია.

თელავის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში,⁹² მოსამართლემ სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში ბრალდებული პირი უდანაშაულოდ ცნო შემდეგ გარემოებათა გამო: მას ბრალი ედებოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის, განზრახ მკვლელობის შეუტყობინებლობის ჩადენაში. სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებები არ ადასტურებენ მეორე პირის (ვის მიერ ჩადენილი დანაშაულის შეუტყობინებლობაც ჰქონდა ბრალად წარდგენილი) მიერ მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტს. დადგენილი იყო, რომ ამ პირმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული. ამდენად, ბრალდებულის დანაშაულებრივი ქმედებაც გამოირიცხება, ვინაიდან ნაკლებად მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა არ წარმოადგენს დანაშაულს.

მეორე გამამართლებელ განაჩენში⁹³ სასამართლო პირის გამართლების საფუძვლად მიიჩნევს მტკიცებულებათა არასაკმარისობას, რომელიც ობიექტურ პირს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაარწმუნებდა ბრალდებულის მხრიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით და 186-ე მუხლი მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

სასამართლო პრაქტიკისთვის მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ 2016 წლის 19 აპრილის გამამართლებელი განაჩენი⁹⁴, რომელშიც: „სასამართლო განმარტავს, რომ კანონმდებლის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ეს დანაშაული გამოიხატება დანაშაულის პასიურ ქცევაში (უმოქმედობაში), რომელიც არ აწვდის სათანადო ორგანოებს დანაშაულის აღსაკვეთად ან გამოძიების ეფექტურად წარმოებისათვის აუცილებელ ინფორმაციას. დანაშაულის შემადგენლობისათვის აუცილებელია, რომ დანაშაულის სუბიექტმა ნამდვილად იცოდეს: 1) მზადდება ან/და ჩადენილია დანაშაული; 2) დანაშაული, რომლის მომზადების ან/და ჩადენის თაობაზე უტყუარ ინფორმაციას ფლობს დანაშაულის სუბიექტი უნდა მიეკუთვნებოდეს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულ მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიას. ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადების ან/და ჩადენის ფაქტი **დადასტურებული უნდა იყოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.** ამავე განაჩენში სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია განემარტა, თუ რატომ უნდა

⁹² თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 17 ივნისის განაჩენი საქმეზე N1/299-13;

⁹³ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 10 მარტის განაჩენი;

⁹⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის განაჩენი.

იყოს დადასტურებული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით, რომლის გარეშეც პირის მსჯავრდება სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით - დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის მცდარი და სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია და აცხადებს: „საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილით, რომლის მიხედვითაც პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმები განამტკიცებს უდანაშაულობის პრეზუმფციას, რომლის თანახმადაც, ვიდრე პირის დამნაშავეობა არ დადგინდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით იგი ითვლება უდანაშაულოდ. ამდენად, ამ ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, პირის დამნაშავეობას კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში ადგენს ამ პირის მიმართ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი დროში მოქმედების ფარგლების დადგენა. უდანაშაულობის პრეზუმფცია მოქმედებას იწყებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებიდან და გრძელდება მთელი სამართალწარმოების განმავლობაში განაჩენის დადგენამდე. ამდენად, კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის გარეშე იმ ფაქტის მტკიცება, რომ პირმა კონკრეტული დანაშაული ჩაიდინა, ხოლო მეორე პირმა ამ დანაშაულის შეუტყობინებლობა, არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას. სწორედ ამის გამო, სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ იმ პირობებში, როდესაც ტ.ო.-ის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე (შესაძლო ყაჩაღობის ბრალდება) ჯერ კიდევ მიმდინარეობს სასამართლო განხილვა და კანონიერ ძალაში შესულ გამამტყუნებელი განაჩენით არ დადასტურებულა მის მიერ მძიმე დანაშაულის ჩადენა, ზ.ა. ის მიმართ იმ ფაქტის მტკიცება, რომ მან არ შეატყობინა სამართალდამცავ ორგანოებს ტ.ო. ის მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაული - სავარაუდო ყაჩაღობა, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია და არღვევს ტ.ო. ის უდანაშაულობის პრეზუმფციას.“⁹⁵

⁹⁵ იქვე

სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევებიც, როდესაც მოსამართლემ მიიჩნია, რომ ბრალდების მხარეს არასწორად აქვს ბრალდება ჩამოყალიბებული და მოახდინა გადაკვალიფიცირება სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლზე. კერძოდ: პირს ბრალი ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის - მძევლად ხელში ჩაგდებაში. მოსამართლემ მიიჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ვერ ადასტურებენ ბრალდებულების მიმართ წარდგენილ ბრალდებას და ისინი არასაკმარისი იყო გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის. ხოლო რაც შეეხება 376-ე მუხლზე გადაკვალიფიცირების მოტივაციას, პირველ რიგში, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ზოგადად ქმედების კვალიფიკაციაზე. შემდეგ მიმოიხილავს მტკიცებულებათა ერთობლიობის არსებობას და მიიჩნევს, რომ ბრალდება არ ემყარება ეჭვის გამომრიცხავ, ურთიერთშეთანხმებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობას. ეჭვი გაბათილებული ვერ იქნა ვერც სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით და მხოლოდ იმიტომ, რომ არ არსებობს შეთანხმებული მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა პირის ბრალეულობას 144-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში, მოახდინა მისი გადაკვალიფიცირება სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლზე, თუმცა, სამწუხაროდ, სასამართლო აღნიშნულ განაჩენში არ ასაბუთებს თუ რითი დგინდება პირის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.⁹⁶

რუსთავის საქალაქო სასამართლომ ასევე შეცვალა კვალიფიკაცია და მიიჩნია, რომ პირმა ნაცვლად ნარკოტიკული საშუალების ჯგუფურად უკანონო შექმენა-შენახვისა, ჩაიდინა დანაშაულის შეუტყობინებლობა. სასამართლომ აღნიშნული დაასაბუთა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით: ერთმა პირმა უკანონოდ შეიძინა და შეინახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ოპიუმი, ამფიონი“, წონით 30.63 გრამი, რაც კონკრეტულ დროს და ადგილას დაუბრუნა მეორე პირს. მესამე პირმა *(რომელიც პასუხისგებაში მიეცა დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის)* ნამდვილად იცოდა, რა მეორე პირი უკანონოდ ინახავდა ნარკოტიკულ საშუალებას, იმ მოტივით, რომ შეეცოდა მას არ შექმნოდა პრობლემები პოლიციის მხრიდან, დამალა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტი და არ შეატყობინა მომხდარი დანაშაულის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებს.⁹⁷

⁹⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 სექტემბრის განაჩენი;

⁹⁷ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 11 ივნისის განაჩენი საქმეზე N1-573-13;

წარდგენილი ბრალდება შეცვალა ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომაც მის მიერ გამოტანილ განაჩენში, რომლის თანახმადაც პირს ბრალი ედებოდა ყაჩაღობის ჩადენაში, თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ ყაჩაღობაში პირის ბრალეულობა არ იკვეთებოდა და შეცვალა კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლზე. კერძოდ, ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება, რომ რამდენიმე პირი გაემართა ერთ-ერთ სოფელში. მათ დაიწყეს ქეიფი, რა დროსაც დაგეგმეს დაეყაჩაღებინათ თურქული ტრაილერის მძღოლები. მივიდნენ იმ ადგილას, სადაც იდგნენ ტრაილერები, მაგრამ გადაიფიქრეს არსებული ხალხმრავლობის გამო და წავიდნენ თბილისის მიმართულებით. გზად დაინახეს ბენზინგასამართი სადგური, სადაც გააჩერეს მანქანა, იპოვეს ბალონი თითქოსდა საწვავის ჩასასხმელად ჭირდებოდათ, ჩასხდნენ მანქანაში და დაბრუნდნენ ბენზინგასამართ სადგურთან. ორნი წავიდნენ ავტოგასამართი სადგურის დასაყაჩაღებლად, რა დროსაც ბრალდებულ გ.ჩ.-ს მანქანაში ეძინა. მან მხოლოდ დანაშაულის დასრულების შემდეგ ავტომანქანაშივე გაიგო მომხდარის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ გ.ჩ.-ის მხრიდან ადგილი არ ჰქონდა მისთვის ბრალად წარდგენილი დანაშაულის - ყაჩაღობის ჩადენას, ვინაიდან როცა სხვა პირებმა განიზრახეს ყაჩაღური თავდასხმის განხორციელება, გ.ჩ.-ს მანქანაში ეძინა და არ იცოდა თუ აპირებდნენ აღნიშნული ინკრიმინირებული ქმედების ჩადენას. შესაბამისად, არ გამოვლენილა მისი ნება ჩაედინა დანაშაული, თუმცა, მას შემდეგ რაც შეიტყო დანაშაულის შესახებ არ შეატყობინა შესაბამის ორგანოებს.⁹⁸

სამწუხაროდ, სასამართლოების მიერ არსებითი განხილვის გარეშე გამოტანილ განაჩენებში არ არის განმარტებული ის ნორმები, რომლის ჩადენაშიც ბრალი ედება პირს. მოსამართლეები პირდაპირ იზიარებენ ბრალდების მხარის პოზიციას და ბრალდების შესახებ დადგენილებაში აღწერილ საქმის გარემოებებს, პირდაპირ ციტირებენ რა სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლის შემადგენლობას და ამტკიცებენ საპროცესო შეთანხმებას. გაანალიზებული განაჩენებიდან შეიძლება გამოვყოთ მხოლოდ ერთი⁹⁹, რომელშიც მოსამართლე დეტალურად განიხილავს მოწმეთა ჩვენებებს, საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და იმას თუ რაში გამოიხატა პირის მხრიდან დანაშაულის შეუტყობინებლობა და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას. კერძოდ: მოსამართლე სამოტივაციო ნაწილში განმარტავს, რომ „ე.რ.ჯ.-მა ჩაიდინა დანაშაულის შეუტყობინებლობა, იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცოდა, რომ ჩადენილი იყო განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. კერძოდ, ე.რ.ჯ.-მა იცოდა, რომ გ.ა.ბ.-ს 2014 წლის 14 იანვარს ჩადენილი ჰქონდა განსაკუთრებით მძიმე

⁹⁸ ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 4 იანვრის განაჩენი საქმეზე N1/148-2015;

⁹⁹ თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 20 ოქტომბრის განაჩენი საქმეზე N1/66-14;

დანაშაული, გ.ი.ლ-ის განზრახ მკვლელობის მცდელობა. მან 15 იანვარს ნახა გ.ი.კ.-ის გვამი გ.ხ.-ის სახლში, რაც არ შეატყობინა სამართალდამცავ ორგანოებს. იგი მიეხმარა გ.ა.ხ.-ს გ.ი.ლ-ის გვამი თავისი ავტომანქანით მიიტანა მდინარე ალაზნთან და ხიდიდან გ.ა.ხ.-მა გვამი გადააგდო მდინარეში.“

რაც შეეხება ახალქალაქის რაიონული სასამართლოს განაჩენს ¹⁰⁰, რომლითაც მოსამართლემ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება პროკურატურასა და სხვადასხვა დანაშაულში ბრალდებულ პირებს შორის, მასში აღწერილი გარემოება დანაშაულის შეუტყობინებლობად არის მიჩნეული და გულისხმობს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2015 წლის 15 ივნისს ღამის საათებში ბრალდებული იმყოფებოდა სხვა ბრალდებულებთან ერთად და იცოდა რა, რომ მათ მიერ ჩადენილი იყო განზრახ მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა, რაც ყოფილ სამხედრო ქალაქში, ბინაში მდებარე საცხოვრებელის სახლის წინ გაჩერებული „მიცუბიში პაჯერო იოს“ მარკის ავტომანქანიდან ქუჩაში მდებარე საცხოვრებელი სახლის წინ გაჩერებული VAZ-2106 მარკის ავტომანქანიდან, სხვადასხვა დასახელების ავტომანქანის ნაწილების ქურდობაში გამოიხატებოდა, ზემოაღნიშნულ პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებათა შესახებ არ შეატყობინა სამართალდამცავ ორგანოს.

საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომაც, რომლის შესახებ განაჩენშიც მოსამართლე დანაშაულის შეუტყობინებლობად მიიჩნევს შემდეგ: „გამოიჩინა რა სიმბდალე, არ განაცხადა სამართალდამცავ ორგანოებში 2016 წლის 15 თებერვალს 4 პირის მიერ ქედის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მდებარე საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე განთავსებული დახმარე სათავსოდან სამი 20 ლიტრიანი მინის ბოცით 180 ლარად ღირებული ღვინის და 220 ლარად ღირებული მოტორიზებული საცელი აპარატის ქურდობის ფაქტი.¹⁰¹

სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც, ალბათ, გამამტყუნებელ განაჩენებში მოცემული განმარტებებია. განვიხილოთ ქრონოლოგიურად. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის განაჩენში მოსამართლე საერთოდ არ საუბრობს თუ რაში გამოიხატა კონკრეტული დანაშაული. იგი უბრალოდ წერს, რომ პირის მიერ ჩადენილია სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რაც გულისხმობს დანაშაულის შეუტყობინებლობას. განსხვავებული მდგომარეობაა თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 11 აგვისტოს განაჩენში ¹⁰², რომელშიც მოსამართლე

¹⁰⁰ ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 18 სექტემბრის განაჩენი საქმეზე N1/38-15წ.;

¹⁰¹ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 2 აპრილის განაჩენი საქმეზე N1-94/16;

¹⁰² თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 11 აგვისტოს განაჩენი საქმეზე N200100114460792;

განსაზღვრავს თუ რაში გამოიხატა დანაშაულის შეუტყობინებლობა: „სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ ბრალდებულმა ა.შ-მა ჩაიდინა დანაშაულის შეუტყობინებლობა იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ ჩადენილია მძიმე დანაშაული. მის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში: ა.შ-მა იცოდა რა, რომ ზ.ტ-ს 2014 წლის 02 თებერვალს ჩადენილი ჰქონდა მძიმე დანაშაული, თ.ი-ს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა. თ.ი-ს გვამი დასვენებული იყო მის სახლში ორი დღის განმავლობაში და აღნიშნულის შესახებ არ შეატყობინა სამართალდამცავ ორგანოებს.“

ახალციხის რაიონული სასამართლო დანაშაულის შეუტყობინებლობას საკმაოდ ფართოდ განმარტავს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, ¹⁰³ სადაც მოსამართლე მიმოიხილავს დანაშაულის შემადგენლობის არსებობისათვის საჭირო ნიშნებს, ქმედების სახეებსა და მოტივს, ხოლო შემდეგ ახდენს ფაქტებისა და სამართლებრივი ნიშნების კონსტატაციას. კერძოდ, ამ შემთხვევაში სასამართლომ დანაშაულის შეუტყობინებლობად მიიჩნია შემდეგი ფაქტების ერთობლიობა: ბრალდებული სხვა პირთან ერთად მისი ავტომობილით ღამის საათებში გადაადგილდებოდა, რა დროსაც მძღოლმა სათანადოდ ვერ უზრუნველყო სატრანსპორტო საშუალების მართვა და კონკრეტულ სოფელში შეეჯახა ქვეითად მოსიარულე პირს, რომელიც შეჯახების შედეგად მიღებული დაზიანებით გარდაიცვალა. ავტომანქანაში მყოფმა ბრალდებულმა იცოდა მძღოლის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ, მაგრამ შეგნებულად დამალა და არ შეატყობინა სამართალდამცავ ორგანოებს მომხდარი მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტის თაობაზე. სასამართლოს მიაჩნია, რომ ვინაიდან იგი იყო დანაშაულის შემსწრე (თვითმხილველი), იცოდა მძღოლის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ, მაგრამ მასთან მეგობრული დამოკიდებულების გამო მომხდარის თაობაზე არ შეატყობინა სამართალდამცავებს, ბრალდებულმა ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

განსხვავებულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 09 თებერვლის განაჩენი. ¹⁰⁴ სასამართლომ, დანაშაულის შეუტყობინებლობად მიიჩნია ფაქტი, რომლის მიხედვითაც, ბრალდებულმა იცოდა რა, რომ მეორე პირი ფარულად დაეუფლა სხვისი ბინიდან 850 ლარის ღირებულების „ლენოვოს“ კომპიუტერს, ამის შესახებ არ შეატყობინა შესაბამის დაწესებულებებს. განსახილველ განაჩენში მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პირის მიმართ, რომელმაც რეალურად ჩაიდინა კომპიუტერის ქურდობა, შეურაცხადობის გამო შეწყდა სისხლისსამართლებრივი

¹⁰³ ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 18 ივნისის განაჩენი საქმეზე N15775053-1/080-15წ;

¹⁰⁴ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 9 თებერვლის განაჩენი საქმეზე N1/800-15;

დევნა. მიუხედავად ამისა, სასამართლოს მიაჩნია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა შეურაცხადობის გამო ვერ გახდება დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის ბრალდებული პირის უდანაშაულოდ ცნობის საფუძველი, რამეთუ საქმეში წარმოდგენილი უდავოდ მიჩნეული მტკიცებულებათა ერთობლიობით დასტურდება, რომ კონკრეტული პირის მიერ განხორციელებული ქმედება წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დასჯად ქმედებას და მძიმე კატეგორიის დანაშაულს წარმოადგენს. აღნიშნული ფაქტი კი ცნობილი გახდა ბრალდებულისათვის, რაც მან განზრახ არ შეატყობინა სამართალდამცავ ორგანოს.

და ბოლოს, ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის ბრალდებული პირი დამნაშავედ ცნო შემდეგ ვითარებაში: 2014 წლის 19 ნოემბერს, დღის საათებში ერთმა პირმა ქალს აღუკვეთა თავისუფლება ცოლად შერთვის მიზნით. აღნიშნულმა პირმა ეს ქალი ძალის გამოყენებით ჩასვა ავტომანქანაში და წაიყვანა ერთ-ერთ სოფელში მდებარე სახლში. ამავე სახლში ხშირად სტუმრობდა ხოლმე ბრალდებული, რომელიც ფლობდა ინფორმაციას მომხდარი მძიმე დანაშაულის შესახებ, თუმცა ამის თაობაზე არ შეატყობინა სამართალდამცავ ორგანოებს.¹⁰⁵

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე გამოტანილ განაჩენებს, სულ კვლევის ფარგლებში გაანალიზდა 12 განაჩენი, საიდანაც 8 განაჩენით დამტკიცებულია მხარეთა შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმება, 3 შემთხვევაში გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო 1 შემთხვევაში - გამამართლებელი. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

გამამართლებელ განაჩენში, რომელიც სიღნაღის რაიონული სასამართლოს მიერ იქნა მიღებული, სასამართლო დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2012 წლის 03 დეკემბერს საღამოს საათებში არასრულწლოვანი მ.ბ. დასთან და ნათესავებთან ერთად მგზავრობდა კახეთის რაიონში, რა დროსაც მათ დამაკავშირებელ გზაზე დახვდათ რამდენიმე პირი. აღნიშნულმა პირებმა ფიზიკური ძალის გამოყენებით მ.ბ. გადმოიყვანეს ავტომობილიდან და გაიტაცეს საგარეჯოს რაიონის ერთ-ერთი სოფლის მიმართულებით. ასევე ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში ქ.ო.-მ 16 წლის მ.ბ.-სთან დაამყარა სქესობრივი კავშირი. იმავე დღეს ქ.ო. ტელეფონით დაუკავშირდა სიმეს ი.მ.-ს და სთხოვა, მისულიყო მასთან სიღნაღის რაიონის ერთ-ერთი სოფლის მახლობლად. ი.მ. კუთვნილი ავტომობილით მივიდა დათქმულ

¹⁰⁵ ბოლნისის რაიონული სასამართლო; საქმე N1/130-15; 3 ივლისი, 2015 წ.

ადგილას, სადაც მას ავტომობილში ჩაუჯდნენ მ.ბ., ქ.ო. და სხვა პირები, რომელთა თხოვნით ი.მ-მ ისინი გადაიყვანა გარდაბნის რაიონის ერთ-ერთ სოფელში, თვითონ კი დაბრუნდა უკან. სასამართლომ არ გაიზიარა ბრალდების მხარის პოზიცია, რომ დადასტურდა ქ.ო.-ს მიერ არასრულწლოვანი მ.ბ.-ს გაუპატიურების ჩადენის ფაქტი. ასევე, სასამართლოს აზრით ვერ დასტურდებოდა ი.მ.-ს მხრიდან წინასწარ შეუპირებლად მძიმე დანაშაულის დაფარვის ჩადენის ფაქტი. სასამართლომ მიიჩნია, რომ ი.მ-თვის უცნობი იყო, რომ ქ.ო.-მ უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება მ.ბ.-ს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო მ.ო. დანაშაულის დაფარვაში.¹⁰⁶

საპროცესო შეთანხმებების თაობაზე განაჩენებში დანაშაულის დაფარვად დაკვალიფიცირებულია შემდეგი გარემოებები:

- ორმა პირმა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, უკანონოდ შეაღწია სიღნაღის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მდებარე საქონლის სადგომში და მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ 2200 ლარის ღირებულების ორ მსხვილფეხა საქონელს. აღნიშნულმა პირებმა მოპარული საქონელი მიუყვანეს ბ.გ.-ს. მიუხედავად იმისა, რომ ბ.გ.-მ შეიტყო, რომ მიყვანილი საქონელი მოპოვებული იყო ქურდობის გზით, მან დაფარა დანაშაული.¹⁰⁷
- 2015 წლის მაისში ქ. რუსთავში რ.ს. ფარულად, მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით დაეუფლა სხვის საკუთრებაში არსებული მერსედესის ფირმის ავტომობილის მარცხენა გვერდითი ხედვის სარკეს. აღნიშნული ფაქტის შესახებ აცნობა ბრალდებულ ი. რ.-ს, რათა თავი დაეღწია სამართალდამცავი ორგანოებისაგან და გადასცა მის მიერ მოპარული ნივთი. ი.რ.-მ აღნიშნული ნივთი შეინახა კუთვნილ საცხოვრებელ სახლში, რითაც წინასწარ შეუპირებლად დაფარა მის მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაული.¹⁰⁸
- 2014 წლის 14 ნოემბერს დაახლოებით 13 საათზე, ნასვამ მდგომარეობაში მყოფ გ.გ.-ეს შელაპარაკება მოუვიდა მამინაცვალთან - ე.გ.-თან, რა დროსაც გ.გ.-ემ მას კისრის არეში დაარტყა დანა განზრახ მოკვლის მიზნით. იმავე დღეს, დაახლოებით 14 საათზე გ.გ.-ე შეხვდა ზ.ხ.-ს და მისთვის ცნობილი გახდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შესახებ, კერძოდ, გ.გ.-ის მიერ ე.გ.-ის მკვლელობის თაობაზე. გ.გ.-ემ სთხოვა დახმარებოდა ე.გ.-ის ტანსაცმლის საცხოვრებელი ბინიდან წამოღებასა და დაწვაში. ე.გ.-ემ ბინიდან გამოიტანა წითელი ფერის ჩანთა, რომელშიც იყო ე.გ.-ეს ტანსაცმელი და

¹⁰⁶ სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 23 აგვისტოს განაჩენი საქმეზე N1/8-13;

¹⁰⁷ სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 3 ივნისის განაჩენი საქმეზე N1/67-13;

¹⁰⁸ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 10 ივლისის განაჩენი.

პასპორტი. ამის შემდგომ ისინი ე.გ.-ეს კუთვნილი ავტომობილით წავიდნენ სოფელ ჩოლობარგში და დაწვეს ე.გ.-ეს ნივთები. ზ.ხ.-ემ არ შეატყობინა სამართალდამცავ ორგანოებს ე.გ.-ი მიერ ე.გ.-ის განზრახ მკვლელობის ფაქტი, რითაც დამალა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.¹⁰⁹

- 2015 წლის 23-24 თებერვალს ორი პირი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა ურეკში მდებარე შპს „არკადიას“ კუთვნილ უქანგავი ლითონის ნივთებს. 01 მარტს ისინი შეხვდნენ ბრალდებულ გ.რ.-ს, რომელსაც სთხოვეს ქ. ქობულეთში მოპარული ნივთების ავტომანქანით გადატანა, რათა ჩაებარებინათ ჯართის მიმღებ პუნქტში. ამ დროს გ.რ.-სთვის ცნობილი გახდა ჩადენილი დანაშაულის შესახებ, მაგრამ ნაქურდალი ნივთები მაინც გადაატანინა ქობულეთში. შესაბამისად, მან თავისი აქტიური ქმედებით ხელი შეუწყო დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთების გადაზიდვაში, არ შეატყობინა ჩადენილი დანაშაულის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებს, რითაც დაფარა მძიმე დანაშაული წინასწარ შეუპირებლად.¹¹⁰
- 2015 წლის 25 აპრილს, ქ. ბათუმში დაახლოებით 23:30 საათზე, მ.დ.-მ წინასწარ შეუპირებლად დაფარა ლ.შ-ს და ნ.კ-ს მიერ ფორდ ტრანზიტის ფირმის ავტომანქანიდან 1100 ლარის ღირებულების უცხოური წარმოების მაგნიტოფონის ქურდობის ფაქტი და ფარულად დაუფლებული ზემოაღნიშნული ნივთი შეიანახა საცხოვრებელ სახლში.¹¹¹
- 2013 წლის 04 იანვარს ა.ს.-მა, რომელმაც იცოდა, რომ ა.ჩ.-ს ჩადენილი ჰქონდა მძიმე დანაშაული, დაეხმარა ამ უკანასკნელს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთების გადაზიდვაში და შენახვაში, რითაც წინასწარ შეუპირებლად დაფარა ა.ჩ.-ას მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაული.¹¹²
- 2015 წლის 28 აგვისტოს, თბილისში, რ. ა.- მ განზრახ მკვლელობის მიზნით რ. ბ.- ს მიაყენა სხეულის მრავლობითი დაზიანება, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი გარდაიცვალა. აღნიშნულის შემდეგ სახლის მეპატრონე ა.გ. დაეხმარა რ.ა.-ს და ერთად დამარხეს რ.ბ.-ს გვამი ა.გ.-ს სახლის სარდაფში.¹¹³

ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ დანაშაულის დაფარვისთვის ბრალდებული პირი დამნაშავედ ცნო და მიიჩნია, რომ პირის მიერ ჩადენილი ქმედება წარმოადგენდა დანაშაულში. აღნიშნული კი გამოიხატა შემდეგში: 2014 წლის 19 ნოემბერს, დღის საათებში ერთმა პირმა ქალს აღუკვეთა თავისუფლება ცოლად

¹⁰⁹ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 18 თებერვლის განაჩენი;

¹¹⁰ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 7 დეკემბრის განაჩენი;

¹¹¹ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 15 მაისის განაჩენი;

¹¹² ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 30 აპრილის განაჩენი საქმეზე N1-71/13.

¹¹³ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 22 ივლისის განაჩენი;

შერთვის მიზნით. აღნიშნულმა პირმა ეს ქალი ძალის გამოყენებით ჩასვა ავტომანქანაში და წაიყვანა ერთ-ერთ სოფელში მდებარე ბრალდებულის კუთვნილ სახლში. დანაშაულის დაფარვისთვის ბრალდებულმა პირმა წინასწარ შეუპირებლად დაუთმო საცხოვრებელი სახლი, სადაც ეს უკანასკნელი 4 დღის განმავლობაში ამყარებდა სქესობრივ კავშირს გატაცებულთან. სასამართლო ფაქტობრივ გარემოებებზე, ბრალდებულის აღიარებით ჩვენებასა და მტკიცებულებებზე, რომლებსაც ძირითადად ამოცნობის ოქმები, დათვალიერების შესახებ ოქმები და მოწმეთა ჩვენებები წარმოადგენდნენ, დაყრდნობით მიიღო გამამტყუნებელი განაჩენი.¹¹⁴

დამნაშავედ იქნა ცნობილი ასევე ბრალდებული თ.ნ.-ი თელავის რაიონული სასამართლოს მიერ. კერძოდ, „სასამართლო სხდომაზე დადგინდა, რომ ლ.გ.-მა მკვლელობისთანავე შეატყობინა თ.ნ.-ს დანაშაულის ჩადენის შესახებ. ახმეტის რაიონიდან ტაქსით ჩამოსვლის შემდეგ იგი სახლში დახვდა ლ.გ.-ს და შეინახა მის მიერ გადაცემული მკვლელობის იარაღის, გატეხილი დანის ტარი, როგორც თვითონ განმარტავს სურდა, რომ დანის ტარი გადაეცა სამართალდამცავებისთვის. აღნიშნულის შემდეგ კი მან საშუალება მისცა ლ.გ.-ს, რომ მიმალულიყო. სასამართლოს მიაჩნია, რომ თ.ნ.-ს, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ ლ.გ.-მა მოკლა მამამისი, ჰქონდა საკმარისი დრო და ვალდებულებაც იყო, რომ მომხდარი დანაშაულის შესახებ შეეტყობინებინა სამართალდამცავი ორგანოებისათვის. არ შეატყობინა რა სამართალდამცავებს, ლ.გ.-ს მიმალვის საშუალება მისცა და დაფარა მის მიერ ჩადენილი მკვლელობის ფაქტი. დანაშაულის შესახებ მან პოლიციელებს განუცხადა მას შემდეგ, რაც ჩხრეკის ჩატარების მიზნით მასთან მივიდნენ სამართალდამცავები და ამოიღეს დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელი მტკიცებულება.“¹¹⁵

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გონივრულ ეჭვს მიღმა დადგენილად ცნო, რომ გ.გ.-მ ჩაიდინა მძიმე დანაშაულის დაფარვა წინასწარ შეუპირებლად, რაც გამოიხატა შემდეგში: 2013 წლის 06 მარტს, დაახლოებით 01 საათზე, ქ. ტყეზულში ერთ-ერთი სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე გ.გ.-მ იცოდა ვ.სა და ვ.კ-ს მიერ მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული კომპიუტერული ტექნიკის შესახებ, მოათავსა აღნიშნული ტექნიკა მისი მართვის ქვეშ არსებული მერსედესის მარკის ავტომანქანაში და გადაჰქონდა ქ. თბილისში, რა დროსაც იქნა დაკავებული. სასამართლოს მოსაზრებით, გ.გ.-ს მიერ განხორციელებული ქმედება წარმოადგენს

¹¹⁴ ბოლნისის რაიონული სასამართლო 2015 წლის 3 ივლისის განაჩენი საქმეზე N1/130-15;

¹¹⁵ თელავის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 2 ოქტომბრის განაჩენი საქმეზე N1/47-13;

დანაშაულის დაფარვას, რასაც ასაბუთებს მტკიცებულებებითა და ფაქტობრივი გარემოებებით, რომლებიც დაცვის მხარეს სადაოდ არ გაუხდია.¹¹⁶

საქართველოს საერთო სასამართლოებიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 368-ე მუხლთან დაკავშირებით სულ მოწოდებულ იქნა 3 განაჩენი. აქედან, ერთი მათგანით დამტკიცებულია მხარეთა შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმება, რომელშიც ფაქტობრივად არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რაში გამოიხატა მტკიცებულებათა განადგურება. მეორე შემთხვევაში ბათუმის საქალაქო სასამართლომ პირი უდანაშაულოდ ცნო წარდგენილ ბრალდებაში, რომელიც მოიცავდა ცემასა და მტკიცებულების, კერძოდ, ექსპერტიზის ჩასატარებლად საჭირო ბიოლოგიური მასალის - შარდის განადგურებას, შემდეგ გარემოებათა გამო: მოსამართლემ განსაზღვრა მტკიცებულებისა და ნივთიერი მტკიცებულების ცნება. მან დადგინილად მიიჩნია, რომ ბრალდებულმა ნეპაყოფლობით ჩააბარა ნარკოლოგიური შემოწმებისას ბიოლოგიური მასალა - შარდი, რომელიც მოგვიანებით ამ უკანასკნელმა გადაღვარა. შარდის გადაღვრის მიზეზი გახდა ექსპერტის გადაწყვეტილება დამატებითი კვლევისათვის მასალა გაეგზავნა თბილისში. დადგინილი ფაქტია, რომ ბრალდებული ნარკოლოგიური შემოწმებისას არ იმყოფებოდა კლინიკურად ნარკოლოგიური თრობის ქვეშ და არც პირველადი ექსპერტიზისას დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ნარკოლოგიური ექსპერტიზა დაინიშნა სხვა პირის ცემის ფაქტზე. „სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ბიოლოგიური მასალა - შარდი არცერთ სისხლის სამართლის საქმეში მტკიცებულებად მოხსენიებულიც კი არ არის“.¹¹⁷ სასამართლოს აზრით, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით მიმდინარე საქმეზე ნარკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი ან/და უარყოფითი შედეგის მქონე დასკვნას არავითარი მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ გააჩნდა. მითითებული მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ ბრალდებული ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ.

რაც შეეხება მესამე საქმეს, მასზე გამამტყუნებელი განაჩენია გამოტანილი. კერძოდ: სასამართლომ მტკიცებულებათა განადგურებად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2015 წლის 09 ივნისს ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვის ფაქტზე, ქ. თბილისში დაკავებული იქნა პირი, რომლის სარგებლობაში მყოფი „ინფინიტი“-ს მარკის ავტომობილიდან სახელმწიფო ნომრით ამოღებული

¹¹⁶ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 9 დეკემბრის განაჩენი საქმეზე N1/556-2013;

¹¹⁷ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 8 სექტემბრის განაჩენი;

იქნა მომწვანო - მოყავისფრო ფერის მცენარეული მასა, რომელიც მოთავსებული იქნა პოლიეთილენის პარკში ე.წ. ფაილში და დაილუქა შესაბამისი ლუქით. ბრალდებული საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად გადაყვანილი იქნა ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში, სადაც საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს შეამჩნია რა მაგიდაზე სისხლის სამართლის საქმის მასალებთან ერთად დადებული მის სარგებლობაში არსებული ავტომობილის ჩხრეკის შედეგად ამოღებული დალუქული ნივთიერი მტკიცებულება, განიზრახა გაენადგურებინა იგი, რა დროსაც დასტაცა ხელი, კბილებით გაგლიჯა შუაზე და გადაყლაპა, ხოლო ნივთიერი მტკიცებულების დარჩენილი ნაწილის განადგურება ვერ შეძლო, ვინაიდან მისი დანაშაულებრივი ქმედება შემჩნეული და აღკვეთილი იქნა დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლების მიერ. აღნიშნული ქმედების შედეგად დაზიანებული ნივთიერი მტკიცებულების, კერძოდ, მომწვანო-მოყავისფრო მცენარეული მასის ნაწილი ჩაცვივდა ასევე დაზიანებულ პოლიეთილენის პარკში, რომელშიც მოთავსებული იყო აღნიშნული ნივთიერი მტკიცებულება, ხელახლა დაილუქა შესაბამისი ლუქით და გადაგზავნილი იქნა ქიმიური ექსპერტიზის ჩასატარებლად.¹¹⁸

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 369¹-ე მუხლთან დაკავშირებით, რომელიც დანაშაულის სახით მტკიცებულებათა ფალსიფიკაციას ითვალისწინებს, მხოლოდ ერთი განაჩენია, რომლითაც თბილისის საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ა. ქ.-მა ჩაიდინა სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაცია, რაც გამოიხატა შემდეგში: 2013 წლის 13 აპრილს ა. ქ.-მა გაყალბებული დოკუმენტი, კერძოდ 2012 წლის 10 სექტემბრით დათარიღებული „ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების გაწევის შესახებ“ სისხლის სამართლის საქმე საქმეზე დასართავად წარუდგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველი თბილისის სამმართველოს მეორე განყოფილების გამომძიებელს, რომელიც აწარმოებდა გამოძიებას ნაკლებად მძიმე დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე.¹¹⁹ თუმცა, სამწუხაროდ, სასამართლოს არ აქვს განმარტებული არსად, თუ რას ნიშნავს მტკიცებულების ფალსიფიკაცია და კონკრეტულად რაში გამოიხატა განსახილველ საქმეში. ის ეყრდნობა ბრალდებულის აღიარებით ჩვენებას, მოწმეთა ჩვენებებსა და სხვა მტკიცებულებებს, რომელთა საფუძველზეც გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი.

¹¹⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის განაჩენი საქმეზე N1/3107-15;

¹¹⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის განაჩენი საქმე N-590-16;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლთან დაკავშირებით კვლევისათვის მოძიებულ იქნა 9 განაჩენი, საიდანაც 7 განაჩენით დამტკიცებულია მხარეთა შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმება, ხოლო ორ შემთხვევაში გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი. საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე არსებული განაჩენების ძირითად ნაწილში საერთოდ არ არის ქმედების აღწერა ან გადმოცემულია მხოლოდ ბრალის ფორმულირება. განსაზღვრებისა და დასაბუთების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი ¹²⁰, რომელშიც მოსამართლე დეტალურად აღწერს ბრალად შერაცხულ ქმედებას. კერძოდ: 2014 წლის იანვარში, ორ ბრალდებულს, რომლებიც ერთობლივად ეწეოდნენ სამეწარმეო საქმიანობას, სურდათ საკვებად უვარგისი და არაჯანსაღი იერის მქონე დაახლოებით 400კგ ხორცის რეალიზაცია, რისთვისაც სჭირდებოდათ საქონლის ვარგისიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული მიზნით, ერთ-ერთი ბრალდებული დაუკავშირდა ნაცნობს - სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის კვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტს, რომელმაც აღუთქვა დახმარება და ხორცპროდუქტის ვარგისიანობის დადგენის მიზნით შესთავაზა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის“ მიმართვა, სადაც მსგავს გამოკვლევას ატარებდა მხოლოდ თვითონ და სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარე შეძლებდა მისთვის სასურველი დასკვნის გაცემას. შეთანხმებისამებრ, მ.მ.-მ ხორცის ვარგისიანობის დამადასტურებელი დასკვნის მისაღებად მიმართა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“, რომლის შესრულებაც დაევალა შერჩეულ ექსპერტს. 2014 წლის 10 იანვარს, ეს უკანასკნელი გამოცხადდა ბრალდებულების სარგებლობაში არსებულ მაცივარში კვლევის ნიმუშების ასაღებად, რა დროსაც მიუხედავად ვალდებულებისა მთლიანი საქონლის მდგომარეობის შესაფასებლად სრულყოფილად მოეხდინა ნიმუშის აღება, მან თავისი შეხედულებისამებრ შეარჩია მხოლოდ შედარებით კარგი შეფერილობის ხორცის ნაჭერი და უგულვებელყო ცუდი შეფერილობის ხორცის ძირითადი ნაწილი, რათა მის მიერ შედგენილ ექსპერტიზის დასკვნაში ხორცპროდუქტების მთლიანი მოცულობა დაეფიქსირებინა როგორც ვარგისი. გამოიყენა რა თავისი, როგორც ექსპერტის უფლებამოსილება ბოროტად, 2014 წლის 17 იანვარს გასცა ყალბი მიკრობიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, სადაც ბრალდებულების კუთვნილი საკვებად გამოუსადეგარი ხორცი შეაფასა როგორც მოხმარებისათვის ვარგისი. ასევე,

¹²⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 31 მარტის განაჩენი.

არ აღნიშნა ფუჭებადი ხორცის სპეციფიური სუნი და ბაქტერიებით დაბინძურების მაღალი მაჩვენებელი, რითაც მათ მისცა საქონლის თავისუფლად რეალიზაციის შესაძლებლობა. ექსპერტის ქმედებით არსებითად დაირღვა საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი და პოტენციური საფრთხე შეექმნა ადამიანთა ჯანმრთელობას.¹²¹

ისევ თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით პირის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა გამოიხატა შემდეგ გარემოებაში: „2014 წლის 5 დეკემბერს, მართლმსაჯულებისათვის შეგნებულად ხელის შეშლის მიზნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის წარმომებაში არსებულ ბრალდების სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვის დროს, მოწმის სახით დაკითხვისას ლ-მა სასამართლოს მისცა ცრუ ჩვენება, კერძოდ, განმარტა, რომ ბრალდებული ნ.ი.-ს მკვლელობის დროს, 2014 წლის 22 მარტს, დილის 10.00 საათიდან 12.30 საათამდე იმყოფებოდა არა შემთხვევის ადგილზე, არამედ მასთან და სხვა პირებთან ერთად, ქ. თბილისში, ----- ქუჩა #---ში, მაშინ როდესაც 2014 წლის 12 დეკემბრის სასამართლოს განაჩენით დადასტურდა, რომ ნ.ი.-ის მკვლელობის დროს, 2014 წლის 22 მარტს, 11.30 საათიდან 11.45 საათამდე, იმყოფებოდა ნ-თან ერთად ქ. თბილისში, -- ----- ქუჩა #---ის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ საბაღე ნაკვეთში, სადაც თანაქონი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით მოკლა ი. ა. ამდენად, ბრალდებულმა ცრუ ჩვენების მიცემითა და ყალბი ალიბის შექმნით მიზნად ისახავდა მართლმსაჯულებისათვის შეგნებულად ხელის შეშლას.¹²²

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს განაჩენით, ცრუ ჩვენებად არის მიჩნეული გამოძიების პროცესში ორჯერ დაკითხვისას, მიუხედავად ცრუ ჩვენების მიცემისთვის პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა, გამოძიების შეცდომაში შეყვანის მიზნით, ჩვენების მიცემა, რა დროსაც მოწმემ ასახა ვითარება, რომელიც არ შეესაბამებოდა სიმართლეს, რომ ნაცვლად წაქცევისა, მან სხეულის დაზიანება მიიღო სხვა პირის მიერ დანის დარტყმის გამო.¹²³

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ცრუ ჩვენებად არის ასევე მიჩნეული შემდეგი ქმედება: 2014 წლის 05 სექტემბერს, თ.ბ-მა ქ. ბათუმში თავის საცხოვრებელ ბინაში მოხდა ქურდობის ინსცენირება, კერძოდ, მან თავის მეუღლეს აცნობა, რომ გაქურდული იყო მათი საცხოვრებელი ბინა, რაზეც ამ უკანასკნელმა აცნობა

¹²¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 31 მარტის განაჩენი;

¹²² თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 14 აგვისტოს განაჩენი;

¹²³ თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2014 წლის 22 ოქტომბრის განაჩენი საქმეზე N1/67-14;

სამართალდამცავ ორგანოებს. იმავე დღეს, 05 სექტემბერს ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილებაში სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო გამოძიება ქურდობის ფაქტზე, სადაც მოწმის სახით დაკითხვისას თ.ბ.-მა გამოძიებას მისცა ცრუ ჩვენება, თითქოს ჩადენილი იყო მძიმე კატეგორიის დანაშაული.¹²⁴

და ბოლოს, სენაკის რაიონულმა სასამართლომ ცრუ ჩვენებად მიიჩნია მოწმის მიერ გამოძიების ეტაპზე გამოძიებლისთვის ისეთი ჩვენების მიცემა, რომ კონკრეტული პირი სცემეს ვინმე ი.ი.ტ.-მ და გ.ი.ნ.-მ.¹²⁵ თუმცა რაში გამოიხატა სიცრუე და რა იყო რეალობა ამას სასამართლო თავის განაჩენში არ აღწერს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტზე სასამართლოების მიერ სააკვლევ პერიოდში მხოლოდ 3 განაჩენია გამოტანილი. სამივე შემთხვევაში განაჩენით დამტკიცებულია მხარეთა შორის არსებული საპროცესო შეთანხმება და მათგან ერთ შემთხვევაში საერთოდ არ არის ნახსენები თუ რაში გამოიხატა ჩადენილი დანაშაული. მეორე შემთხვევაში უბრალოდ ნათქვამია, რომ 2015 წლის 18 აპრილს დაახლოებით 18 საათსა და 50 წუთზე ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს ურების პოლიციის განყოფილებაში, მოწმის სახით დაკითხვისას ბრალდებულმა უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე.¹²⁶ რაც შეეხება მესამე საქმეს, მცხეთის რაიონულმა სასამართლომ ჩვენებაზე უარის თქმად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2016 წლის 12 იანვარს, მცხეთის რაიონული სასამართლოს N1 სხდომათა დარბაზში რ.ვ. და სხვათა ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოში გაცხადებული ბრალდების მხარის მოწმეები ბ.გ. და გ.ხ. მოსამართლის მიერ გაფრთხილებული იქნენ ცრუ ჩვენების, არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისა და ჩვენებაზე უარის თქმის შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის თაობაზე, რის შემდეგაც ბ.გ.-მ და გ.ხ.-მ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის გათვალისწინებული წესით დადეს ფიცი და ფიცის ტექსტი დაადასტურეს ხელმოწერით, თუმცა მათ სასამართლოს წინაშე ჩვენების მიცემაზე უსაფუძვლოდ განაცხადეს უარი”.

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით ამოღებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ ცვლილებამდე

¹²⁴ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 16 სექტემბრის განაჩენი;

¹²⁵ სენაკის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 25 თებერვლის განაჩენი;

¹²⁶ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 1 მაისის განაჩენი;

არსებული სასამართლო პრაქტიკა. სულ პირველი ინსტანციის სასამართლოებიდან მიღებული იქნა ამ დანაშაულზე გამოტანილი 49 განაჩენი, საიდანაც გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა შეადგენს ოთხს, საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა 13 საქმეზე, ხოლო არსებითი განხილვით გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი 32 პირის მიმართ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 28 ივლისის განაჩენით, არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემად მიჩნეულ იქნა შემდეგი: „საქართველოს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მე-2 მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველოს პირველი განყოფილების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების მიმდინარეობისას 2014 წლის 19 და 20 აგვისტოს მოწმის სახით დაიკითხა ბ., რომელმაც განმარტა, რომ 2014 წლის 19 აგვისტოს ბ.სთან ერთად, დ.ის კუთვნილი „მერსედესის“ მარკის ავტომანქანით გაემართნენ ისინი მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, რა დროსაც შეაძწნია, რომ დ.-ს შარვლის საქამრეში ჩადებული ჰქონდა რკინის დეტალი, ასევე დაინახა, რომ მანქანის წინა სავარძელთან მოთავსებული იყო შავი ფერის ჩანთა. მიმდებარე ტერიტორიაზე ისინი შეაჩერეს პოლიციის თანამშრომლებმა, რა დროსაც დ.-ის პირადი ჩხრეკისას ამოღებული იქნა ცეცხლსასროლი იარაღი და ოთხი ცალი ბ.-ის კუთვნილი დანა. 2015 წლის 28 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოში ზემოაღნიშნული საქმის არსებითი განხილვისას მოწმის სახით დაიკითხა ბ., რომელმაც უარყო გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენების ფაქტობრივი გარემოებები, მისცა არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება და განმარტა, რომ 2014 წლის 19 აგვისტოს არ დაუნახავს დ.-ის შარვლის საქამრეში რკინის დეტალი და არც ავტომანქანაში შავი ფერის ჩანთა. ზემოაღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღები ჩადებული იქნა ავტომანქანაში პოლიციის თანამშრომლების მიერ, ხოლო ამოღებული დანებიდან მხოლოდ ერთი ეკუთვნოდა მას. აღნიშნულით მან მართლმსაჯულებას შეგნებულად შეუშალა ხელი და მისცა არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება.“¹²⁷

ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემად დაკვალიფიცირდა ასევე: „საქართველოს შსს სამინისტროს ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-7 განყოფილების წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მიმდინარეობისას, 2014 წლის 19 ოქტომბერს მოწმის სახით დაიკითხა და.. ჩვენების მიცემისას მან განმარტა, რომ 2014 წლის 16 ოქტომბერს, ღამის საათებში, ნო.ს დაჭერილი ჰყავდა ვლ.-ი, რომელსაც ურტყამდა ხელებსა და ფეხებს, თან უყვიროდა: „ბიჭო ღამის სამ საათზე რა გინდოდა დედაჩემთან, როგორ

¹²⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 28 ივლისის განაჩენი;

შეაწუხებ დედაჩემიო”, აგრძელებდა მის ცემას, ხოლო ვლ-ი ეხვეწებოდა, რომ თავი დაენებებინა და ეუბნებოდა: „არ ვიცოდი შეურაცხყოფად თუ მიიღებდიო”, მაგრამ ნო. ი აგრძელებდა ვლადიმერ ილინისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებას. ამ დროს ნო.ი მას მიუბრუნდა და უთხრა თუ რატომ არ ურტყამდა ვლ-ს. აღნიშნულის შემდეგ დ.მ ვ.-ს სახეში ხელი რამდენჯერმე გაარტყა, რის შემდეგაც ნო.მა ვ. ეზოს სიდრმისკენ გაათრია, ხოლო თვითონ ეზოში დარჩა. 2015 წლის 16 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოში ზემოაღნიშნული სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისას მოწმის სახით დაიკითხა დ.ა., რომელმაც უარყო გამოძიების ეტაპზე მიცემულ ჩვენებაში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები, მართლმსაჯულებას შეგნებულად შეუშალა ხელი, მისცა არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება და განმარტა, რომ ნ.-ს ვ.-თვის განზრახ ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებია. მან დაინახა, რომ ისინი ერთმანეთში ჩხუბობდნენ და ხმამაღლა საუბრობდნენ, რის შემდეგაც მათ გაშველებას შეეცადა. მათ შორის კონფლიქტი მალევე ამოიწურა და მათ მშვიდად განაგრძეს საუბარი. დ.ა.-მ კატეგორიულად უარყო მისი მხრიდან ვლ-სათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი და განმარტა, რომ შესაძლოა მისთვის დაზიანებები გაშველების დროს მიეყენებინა.¹²⁸

ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემად ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ მიჩნეულია ისევ განსხვავებული ჩვენებების მიცემა საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე, თუმცა კონკრეტულად რა გარემოებები ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს განაჩენთა უმრავლესობაში ამის შესახებ არაა საუბარი.¹²⁹ უფრო დეტალური განმარტებაა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს შემდეგ განაჩენში¹³⁰, რომლის მიხედვითაც, ბრალდებულმა გამოძიების ეტაპზე დაზარალებულის სახით დაკითხვისას და სასამართლოში მოწმის სახით დაკითხვისას მისცა ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება. კერძოდ, მოწმის მიერ მიცემული განმარტებები წინააღმდეგობრივი და არათანმიმდევრულია, რადგან ერთ შემთხვევაში იგი განმარტავს, რომ ჯერ ვიღაცას დაეჯახა მუცლით და შემდეგ

¹²⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 28 იანვრის განაჩენი საქმეზე N1/34-2-15;

¹²⁹ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 23 დეკემბრის განაჩენი საქმეზე N1-451-2015; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის განაჩენი საქმეზე N1-240/14; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 17 აპრილის განაჩენი საქმეზე N1-67/14; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 13 ოქტომბრის განაჩენი საქმეზე N1/450-2015; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 13 მარტის განაჩენი საქმეზე N1/150-2014; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 2 აპრილის განაჩენი საქმეზე N1/217-2014; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 28 თებერვლის განაჩენი საქმეზე N1/3-2014წ.; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 7 აპრილის განაჩენი საქმეზე N1/201-14წ.; რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 21 აგვისტოს განაჩენი.

¹³⁰ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 19 ივნისის განაჩენი საქმეზე N1-320/14;

გაიგონა გ.ა.-ს ხმა და გაიქცა, გზაში იგრძნო ტკივილი, ხოლო მეორე შემთხვევაში განმარტავს, რომ გ.ა.-ს ხმის გაგონებაზე გაიქცა, გზაში ვიღაცას დაეჯახა და შემდეგ იგრძნო ტკივილი. გარდა ამისა, ბრალდებულმა ერთ შემთხვევაში განმარტა, რომ ჩვენება არ წაუკითხავს, რადგან ენდო გამომძიებელს, ხოლო მეორე შემთხვევაში ამბობს, რომ გამომძიებლის მიცემული ჩვენება წაიკითხა.

ხსენებულ განაჩენში, სასამართლო დაცვის მხარის პოზიციას, რომ მხოლოდ სასამართლოში მიცემულ ჩვენებებს შორის უნდა იყოს არსებითი წინააღმდეგობა პასუხობს შემდეგნაირად: მართლმსაჯულება არ წარმოადგენს მხოლოდ საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან განაჩენის გამოტანამდე პროცესს და მართლმსაჯულება არ უნდა იქნეს გაგებული ვიწროდ, როგორც საბოლოო გადაწყვეტილების - განაჩენის გამოტანა, რომელიც პირს სცნობს დამნაშავედ ან ამართლებს მას, რის გამოც საკითხის განხილვა, რომ მოწმის ან/და დაზარალებულის მიერ გამოძიების მიცემული ჩვენების არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა სასამართლოში არ შეიძლება განმარტებული იქნეს როგორც მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლა არასწორია.

არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემად დააკვალიფიცირა ქუთაისის საქალაქო სასამართლომ შემდეგი ქმედება: ბრალდების ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში არსებითი განხილვის დროს ი.ვ-მ მოწმის სახით დაკითხვისას მისცა გამომძიებლისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მიცემული ჩვენებებისაგან არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება. კერძოდ, მან გამოძიებასა და პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხვისას განმარტა, რომ 2011 წლის 29 იანვარს სადამოს საათებში ქ. წყალტუბოში შეესწრო 2 პირს შორის შელაპარაკებას და აღწერა, რა ვითარებაში განხორციელდა ერთი პირის მიერ მეორეს დანით დაჭრა და როგორ განვითარდა მოვლენები, რის შესახებაც შემდეგ უამბო დაჭრილის ძმას. სააპელაციო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას კი უარყო მის მიერ მანამდე მიცემული ჩვენებები და განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ჩვენებები შს სამინისტროს წყალტუბოს რაიონული სამმართველოს მაშინდელი უფროსის მიერ მასზე განხორციელებული ზეწოლის და მუქარის შედეგია, ფაქტს საერთოდ არ შესწრებია და შემთხვევის დღეს იმყოფებოდა სახლში.¹³¹

ისევ ზუგდიდის რაიონული სასამართლო დამნაშავედ ცნობს პირს არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემაში შემდეგ გარემოებებზე დაყრდნობით: ბრალდებულის მიერ მოწმის სახით გამომძიების ეტაპზე დაკითხვის ოქმის შინაარსსა

¹³¹ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 იანვრის განაჩენი საქმეზე N1/657-2014წ.;

და სასამართლო სხდომაზე მის მიერ მიცემული ჩვენების შინაარსს შორის სხვაობა არსებობს, რომლის მიხედვითაც, გამოძიების ეტაპზე ბრალდებულმა გამოძიებელს ნებაყოფლობით წარუდგინა იარაღის მსგავსი საგანი, ხოლო სასამართლო სხდომაზე აღნიშნული მან არ დაადასტურა. ის თუ რამდენად არსებითია ეს წინააღმდეგობა შეფასების საკითხია, თუმცა სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან პირველი ჩვენება ადასტურებს პირის მიერ იარაღის მსგავსი საგნის ფლობას, ხოლო მეორე ჩვენება - არა. ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც გაქრა მეორე ჩვენებაში, გავლენას ახდენს აღნიშნული პირის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის შესაბამისი შემაღვენილობის განხორციელებაზე და სამართლებრივი კუთხით შესაძლოა მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს.¹³²

დამნაშავედ ცნო რუსთავის საქალაქო სასამართლომ ბრალდებული ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემისათვის, მაშინ როცა ბრალდებულმა გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებებში მიუთითა, რომ 2013 წლის ნოემბერში, მარნეულის რაიონის ერთ-ერთი სოფლის სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან მასსა და მის თანხმლებ პირებზე შეირაღებული თავდასხმა განახორციელა შავი ფერის ავტომანქანიდან გადმოსულმა 4-5 ახალგაზრდამ, რომელთაგან ყველას ეჭირა ხელში იარაღი და დამიზნებით ესროდნენ მათი მიმართულებით, რის შემდეგაც იმავე ავტომანქანით მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან. 2014 წლის მაისს კი სასამართლოში მისცა არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება და აღნიშნა, რომ შავი ფერის ავტომანქანიდან გადმოსული პირებიდან იარაღი ხელში დაუნახა მხოლოდ ერთ პიროვნებას, ხოლო როგორ ისროდნენ მათი მიმართულებით დანარჩენები და როგორ მიიმალნენ თავდამსხვებელი იმავე ავტომანქანით, არ დაუნახავს. სასამართლომ განაჩენში მოწმის ჩვენების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ მოწმის ჩვენება, რომელიც შემთხვევის ადგილზე მომხდარი დანაშაულის ერთ-ერთი თვითმხილველია, უფრო მეტიც შემდგომში დაზარალებულად ცნობილი, ვინაიდან თავადაც შეიძლება ყოფილიყო ამ დანაშაულის მსხვერპლი, ერთ-ერთ გასათვალისწინებელ მტკიცებულებას წარმოადგენს შემდგომში საპროცესო მოქმედებების დასაგეგმად და შემთხვევის ადგილის სრული სურათის აღსადგენად. ამდენად, გამოძიებაში მიცემულ ჩვენებაზე მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული სხვა მტკიცებულებების მოპოვების ბედი და მათი თანმიმდევრობა.¹³³

¹³² ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 5 ნოემბრის განაჩენი საქმეზე N1/385-15;

¹³³ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 14 თებერვლის განაჩენი;

ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემად დააკვალიფიცირა ბათუმის საქალაქო სასამართლომ შემდეგი გარემოებები: ბრალდებულმა გამოძიებისას მოწმისა და დაზარალებულის სახით მიცემული ჩვენებისას აღნიშნა, რომ ტაქსის მძღოლთან მომსახურების საფასურთან დაკავშირებით მოუვიდა სიტყვიერი შეკამათება, რაც გადაიზარდა ფიზიკურ დაპირისპირებაში. ჩხუბის პროცესში ბრალდებულმა შენიშნა, რომ მის პირისპირ ფეხზე მდგომ ტაქსის მძღოლს ხელში ეჭირა დანა და რამდენჯერმე მოუქნია გულმკერდისა და ბარძაყის არეში. სასამართლო განხილვისას კი თქვა, რომ მან სხეულზე მიყენებული მძიმე დაზიანებები იგრძნო მხოლოდ მაშინ, როცა წაქცეულ მდგომარეობაში მყოფმა დანის გამოყენებით დაჭრა ფეხის არეში, ხოლო გულმკერდის არეში არსებული დაზიანებები როდის მიაყენა ტაქსის მძღოლმა მისთვის უცნობია და არც დანა დაუნახავს დაზიანებების მიყენების დროს.¹³⁴

ბოლნისის რაიონულ სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას პირმა დამნაშავედ ცნო თავი და აღიარა, რომ მოწმის სახით დაკითხვისას შეგნებულად შეუშალა ხელი მართლმსაჯულებას და სასამართლოში მისცა გამოძიებისგან არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება, კერძოდ, გამოძიებაში ჩვენების მიცემისას დააფიქსირა, რომ ე.წ. ქურდული „ობშიაკისათვის“ გადასცა 20 ლარი, ხოლო სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას აღნიშნული არ დაადასტურა და განმარტა, რომ აღნიშნული თანხა საჩუქრად გადასცა თავის მეგობარს.¹³⁵

გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემად მიიჩნია პირის ქმედება, რომელიც თითქოსდა უმნიშვნელო ფრაზას ეხება. კერძოდ, მოწმემ გამოძიების ეტაპზე მისცა ჩვენება, რომლითაც აღწერა ბებიანზე თავდასხმის ფაქტი: გ.ზ.-ლი მივიდა ბებიასთან და შეურაცხყოფას აყენებდა მას. ამის შემდგომ დ.ზ.-ლი ჩვენებაში აკონკრეტებს, რომ ბ. და მ. მიუახლოვდნენ გ.ს.-ს და ძალით გააგდეს, ამის შემდეგ კი იმის გამო, რომ დ.ი. და ბ.მ-მ მას წაქცეულზე მუცლის არეში ორჯერ გარტყა ფეხი და თან დაუყვირა ადექი და აქედან წადიო, ხოლო სასამართლო სხდომაზე მიცემულ ჩვენებაში ის ადასტურებს ყველა ფაქტს, გარდა „ორჯერ ფეხის გარტყმისა“, რომელიც სასამართლოს სხვა განაჩენით დადასტურებული ფაქტია და სწორედ ფეხის ამორტყმის შედეგად მიადგა გ.ზ.-ლის სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება.¹³⁶

შემდეგი განაჩენი გაუპატიურების საქმეზე ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემას ეხება, რომელიც ბრალდებულმა უძილობისა და ნასვამ მდგომარეობაში

¹³⁴ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 24 აპრილის განაჩენი საქმეზე N1-360/14;

¹³⁵ ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 25 აგვისტოს განაჩენი საქმეზე N1/94-14;

¹³⁶ გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 19 ნოემბრის განაჩენი საქმეზე N1/203-15;

ყოფნით ახსნა. ხსენებულ საქმეში აღწერილი გარემოებები შემდეგია: ბრალდებული მეგობართან და რამდენიმე გოგოსთან ერთად სახლში გაემართა, სადაც მათ ყველამ ერთად დალიეს. გამთენიისას გოგონების ყვირილმა გააღვიძა დ.-მ დაინახა როგორ აუპატიურებდა ერთი ბიჭი ერთ-ერთ გოგონას. სახლში შებრუნებისას დაინახა ატირებული გოგონა და მიხვდა რომ უსიამოვნება მოხდა. ისინი ერთად დაელოდნენ პოლიციის მოსვლას. მისივე განმარტებით, დ.-ს ხელში დანა არ დაუნახავს. რაც შეეხება სასამართლოში მისულ ჩვენებას, ბრალდებულმა განაცხადა, რომ გათენებისას 04:00 საათზე გაეღვიძათ გოგოს ხმაზე, რომელიც იძახდა „შემეშვიო“, რომლის ხმა იყო ვერ გაარკვია. ამავე დროს მ.-მ ატეხა კარზე ბრახუნი. ვერ გაერკვა რატომ აბრახუნებდა კარზე ან რატომ ამზობდა რომ დარეკავდა პოლიციაში.¹³⁷

ასევე ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემად დაკვალიფიცირდა ისიც, რომ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებისა და მასში აღნიშნული პირების თაობაზე სასამართლო დაკითხვისას მოწმემ განაცხადა, რომ ვერ იხსენებდა ბრალდებულებს და არაფერი ახსოვდა ბრალდებულების მიერ ყაჩაღობის მომზადების ფაქტთან ან პოლიციასთან თანამშრომლობასთან დაკავშირებით.¹³⁸

და ბოლოს, კიდევ ერთი საქმე შეეხება გაუპატიურების ფაქტზე მიცემულ ჩვენებას. ბრალდებულმა გამოძიებაში მიცემულ ჩვენებაში აღნიშნა, რომ 2013 წლის ივლისში დაინახა მომხდარი ფაქტის დროს როგორ გამოვა კონკრეტული პირი ატირებული, თუმცა მისთვის ტირილის მიზეზი უცნობია, ასევე უცნობი იყო მისთვის მომხდარი ფაქტის თაობაზე, რადგან არც ამის შესახებ უკითხავს რამე. არც ის იცის მომხდარის შემდეგ აღენიშნებოდა თუ არა დაზარალებულს რაიმე დაზიანებები, ვინაიდან არ დაკვირვებია. რაც შეეხება სასამართლო სხდომაზე მიცემულ ჩვენებას, გამოძიებაში მიცემული ჩვენების საწინააღმდეგოდ განმარტა ფაქტები. კერძოდ, რომ მეორე დილას კარგად დააკვირდა დაზარალებულს სხეულზე და მას არანაირი დაზიანების კვალი არ აღენიშნებოდა. ასევე, განსხვავება იყო იმაშიც, რომ გამოძიებაში არსებული ჩვენების მიხედვით, ხმამაღლა ესაუბრებოდა და სთხოვდა არ დაერეკა პოლიციაში, ხოლო ამის საპირისპიროდ სასამართლოში მისცა ჩვენება, რომ ხმამაღლა კი არა, ჩვეულებრივად ესაუბრებოდა.¹³⁹

რაც შეეხება საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე არსებულ განაჩენებს, ისევე როგორც სხვა დანაშაულებზე მიღწეული საპროცესო შეთანხმებების შემთხვევაში, ხშირ შემთხვევაში ქმედების ფაქტობრივი გარემოებებიც კი არ არის

¹³⁷ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 14 ივნისის განაჩენი.

¹³⁸ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 ნოემბრის განაჩენი;

¹³⁹ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 20 ივნისის განაჩენი;

ასახული. ხოლო ნაწილ მათგანში ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემად მიჩნეულია:

- ბრალდებულმა გამოძიების ეტაპზე ჩვენებაში განაცხადა, რომ დაზარალებულს მასთან სქესობრივი კავშირის გაუმყდვენებლობის სანაცვლოდ გამოძალა 100 ლარის ფულადი თანხა, ხოლო სასამართლოში მოწმედ დაკითხვისას კატეგორიულად უარყო ზემოაღნიშნული ჩვენება და აღნიშნა, რომ დაზარალებულს თანხის გამოძალის ფაქტს ადგილი არ ჰქონია და ეს თანხა დაზარალებულს სესხის სახით გამოართვა.¹⁴⁰
- ბრალდებულმა ორ სისხლის სამართლის საქმეზე ერთი და იგივე ფაქტთან დაკავშირებით სხვადასხვა ჩვენება მისცა. კერძოდ, მან ერთ შემთხვევაში განაცხადა, რომ ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო სამშენებლო ბეტონის ფილის საკიდის გაწყვეტის შედეგად, ხოლო მეორე შემთხვევაში თქვა, რომ საკიდი არ გაწყვეტილა და დაზიანება მიიღო დაუღვევრობით.¹⁴¹
- ზ.ზ.-ის სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულმა გამოძიებას მისცა ჩვენება, რომ მან დაინახა ქ. ბათუმში კონკრეტულ ტერიტორიაზე ურთიერთშელაპარაკებისას ზ.ზ.-ის მიერ დანის გამოყენებით ბ.ე.-ს ზურგის არეში დაზიანებების მიყენების ფაქტი, რაც სასამართლოში უარყო და განმარტა, რომ მას არ დაუნახავს ბ.ე.-ს ვინ მიაყენა დანით ჯანმრთელობის დაზიანებები.¹⁴²

გამამართლებელი განაჩენი დაადგინა ახალქალაქის რაიონულმა სასამართლომ საქმეზე, სადაც საქმის ფაქტობრივი გარემოებები ეხებოდა გამოძიების ეტაპზე ორი განსხვავებული და ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემას. აღნიშნული საქმის ირგვლივ დაიკითხნენ მოწმეებიც, რომლებიც ძირითადად პროკურატურის თანამშრომლები იყვნენ. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემობას, რომ მოცემულ საქმეზე არ გამოკვლეულა ბრალდებულის მიერ მოწმის სახით მიცემული ჩვენებები, რაც საშუალებას მისცემდა სასამართლოს შეედარებინა მათი შინაარსი და ემსჯელა მათ შორის არსებითი ხასიათის წინააღმდეგობის არსებობის თაობაზე. ამასთან ბრალდებული აღნიშნავდა, რომ პირველი დაკითხვის ოქმს ხელი მოაწერა ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად, იგი იკითხებოდა 7 საათის განმავლობაში და იძულებული გახდა ხელი მოეწერა დაკითხვის ოქმზე, ისე რომ არც კი წაუკითხავს მისი შინაარსი და რომ ოქმში მითითებული ჩვენება მას არ მიუცია. სასამართლომ

¹⁴⁰ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 23 სექტემბრის განაჩენი;

¹⁴¹ ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 4 ნოემბრის განაჩენი საქმეზე N1/204-15წ.;

¹⁴² ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 29 აგვისტოს განაჩენი საქმეზე N1-900/14;

ასევე გაითვალისწინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც¹⁴³, რომლის მიხედვითაც აღნიშნა, რომ მოწმეთა აბსოლუტური უმრავლესობა იმ პერიოდისთვისაც მუშაობდა პროკურატურაში, რაც სასამართლოს უმყარებს ეჭვს, რომ ისინი შესაძლოა არიან მიკერძოებულები და სუბიექტურები, რათა არ მოხდეს მათი დასჯა. მათი ჩვენებების გაზიარების შემთხვევაშიც კი მუდმივად იარსებებს ვარაუდი და გონივრულ დამკვირვებელს გაუჩნდება ეჭვი, იყო თუ არა ბრალდებულის მისამართით მათი მამხილებელი ჩვენებები სარწმუნო და უტყუარი.¹⁴⁴

საკმაოდ განსხვავებულად დაასაბუთა ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ თავისი გამამართლებელი განაჩენი. მოსამართლემ მიიჩნია, რომ „მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლა ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემით, შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში სასამართლო გამოძიების ეტაპზე, რაც პირდაპირ არის მითითებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლის დისპოზიციასში, რის გამოც ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო მხედველობაში ვერ მიიღებს 2014 წლის 15 აგვისტოს ე.დ.-ს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ეტაპზე მოწმის სახით დაკითხვისას ბრალდებულის მიერ მიცემულ ჩვენებას.¹⁴⁵ დაახლოებით იმავე პოზიციას იზიარებს ბოლნისის რაიონული სასამართლოც მის მიერ გამოტანილ განაჩენში და მიაჩნია, რომ, ვინაიდან განსახილველი ნორმის ერთ-ერთი შემადგენელი ნიშანი მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლაა, „მოწმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა უნდა მოხდეს მართლმსაჯულების განხორციელებისას, ანუ სასამართლო განხილვისას, რადგანაც მართლმსაჯულების განმახორციელებელი ერთადერთი ორგანოა სასამართლო. ბრალდებულის მიერ კი ჩვენებები მიცემულ იქნა გამოძიების ეტაპზე და აღნიშნულს სასამართლო ვერ შეაფასებს მისი მხრიდან მართლმსაჯულებისათვის შეგნებულად ხელის შეშლად.“¹⁴⁶

რაც შეეხება რუსთავის საქალაქო სასამართლოს, განაჩენის თანახმად: “ბრალდებულის მიერ 2013 წლის ივლისსა და მარტში მიცემულ ჩვენებებში აშკარაა მის მიერვე მითითებული საქმის ფაქტობრივ გარემოებებს შორის სხვაობა და წინააღმდეგობა, თუმცა ჩვენებების შინაარსის გარდა, სასამართლომ უნდა იმსჯელოს

¹⁴³ „მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“

¹⁴⁴ ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 12 თებერვლის განაჩენი; საქმეზე N1/83-13წ.;

¹⁴⁵ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 22 მაისის განაჩენი საქმეზე N1-66/14;

¹⁴⁶ ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 2 აპრილის განაჩენი საქმეზე N1/20-15;

და შეაფასოს არის თუ არა დაცული მოწმის დაკითხვის წესები ჩვენების მიცემის დროს” და ვინაიდან სასამართლომ დადასტურებულად ვერ მიიჩნია, რომ ბრალდებულმა სათანადოდ იცოდა ქართული ენა, მის მიერ 2013 წლის ივლისში მიცემული ჩვენება მიიჩნია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 და 53-ე მუხლების დარღვევით მოპოვებულად და ჩათვალა, რომ არსებობდა ამ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველი, შესაბამისად, სასამართლო არ გაიზიარა ბრალდებულის მიერ 2013 წლის ივლისში მიცემული ჩვენება, რის გამოც გაამართლა ბრალდებული.¹⁴⁷

როგორც უკვე აღნიშნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 372-ე მუხლი ითვალისწინებს ზემოქმედების განხორციელებას გამოსაკითხ პირზე, მოწმეზე, დაზარალებულზე, ექსპერტზე ან თარჯიმანზე. აღნიშნულ ნორმასთან დაკავშირებით კვლევის ფარგლებში მოძიებულია სულ 7 საქმე, საიდანაც 1 არის საპროცესო შეთანხმება, 2 გამამართლებელი განაჩენი, 3 - გამამტყუნებელი, ხოლო 1 საქმის შემთხვევაში ბრალდებულის ქმედება 372-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლზე. განვიხილოთ თითოეული საქმე.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, 2015 წლის 07 სექტემბერს ნ-მა, იმ მიზნით, რათა ზ-ეს, სისხლის სამართლის საქმეზე, როგორც დაზარალებულს ჩვენება არ მიეცა სასამართლოში, ქ. თბილისი, ზ-ეს მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა და დემუქრა სიცოცხლის მოსპობით.¹⁴⁸ ჩვენებათა ანალიზით სასამართლო დაუდასტურებლად მიიჩნევს ნ-ის მიერ საქართველოს სსკ 372-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას, ვინაიდან ნ-ის მიერ აღნიშნული დანაშაულის ჩადენაზე ერთადერთ პირდაპირ ჩვენებას იძლევა დაზარალებული ზ-ე. რაც შეეხება მოწმეებს ლ-სა და მი-ეს, ისინი არიან დაზარალებულის ახლო ნათესავები, რომელთა ჩვენებებიც ეფუძნება ზ-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას და საქართველოს სსკ 76-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მიიჩნევა ირიბ ჩვენებებად. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ მოწმეთა ჩვენებებით დასტურდებოდა დაზარალებულის ცემის ფაქტი, სასამართლომ მოახდინა ბრალის გადაკვალიფიცირება და ბრალდებული დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2015 წლის 29 იანვარს გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი მთლიანად ემყარება მტკიცებულებათა არარსებობას ამ

¹⁴⁷ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 დეკემბრის განაჩენი საქმეზე N1/269-14;

¹⁴⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 1 ივნისის განაჩენი საქმეზე N 1/4749-15;

კონკრეტული პირის მიმართ და ამავე განაჩენში სასამართლო არ საუბრობს დანაშაულის შემადგენლობის არსებობა-არარსებობას თაობაზე, უბრალოდ აღნიშნავს, რომ გამოკვლეული მტკიცებულებებით არ დგინდება ბრალდებულების მხრიდან დანაშაულის ჩადენის ფაქტი, რის გამოც მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. ანალოგიურ არგუმენტაციას ეყრდნობა სენაკის რაიონული სასამართლოც და პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენის მიღებას მტკიცებულებათა არარსებობით განმარტავს.¹⁴⁹

საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე განაჩენებში, როგორც წესი, არ არის ფაქტობრივი გარემოებები დეტალურად მიმოხილული, თუმცა მოსამართლეები მცირე ინფორმაციის სახით აღწერენ მომხდარ ფაქტს. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლომ 372-ე მუხლის შემადგენლობად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2013 წლის 24 სექტემბერს ბრალდებულმა დაიყოლია მეგობრები, რათა მათ მიეცათ მისთვის სასარგებლო და სხვა პირის დანაშაულის ჩადენაში მამხილებელი ჩვენება.¹⁵⁰

რაც შეეხება გამამტყუნებელ განაჩენთა დასაბუთებასა და განმარტებას, რუსთავის საქალაქო სასამართლომ მოწმეზე ზემოქმედებად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ც.ჯ.-ის, თ.ლ.-ისა და ი.ნ.-სთვის ცნობილი იყო, რომ რუსთავის საქალაქო სამმართველოს მესამე განყოფილებაში მიმდინარეობდა გამოძიება ნ.ყ.-ის კუთვნილი საცხოვრებელი ბინის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე. იმის გამო, რომ მათ თავიდან აეცილებინათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, 2013 წლის ივლისის თვეში ნ.ხ.-ის მიმართ ახორციელებდნენ იძულებას და მუქარას, რათა ამ უკანასკნელს ცრუ ჩვენება მიეცა სამართალდამცავი ორგანოსთვის და ასევე ცრუ ჩვენების მიცემის სანაცვლოდ პირდებოდნენ ვალის დაბრუნებას 1000 აშშ დოლარის ოდენობით. სამწუხაროდ განაჩენში არ არის მითითებული თუ რაში გამოიხატა იძულება და მუქარა, თუმცა სასამართლომ დამნაშავედ ცნო სამივე ბრალდებული აღნიშნულ ნაწილში და განმარტა, რომ მათი მხრიდან მოწმეზე ზემოქმედების ფაქტი დასტურდება როგორც თავად მათი ჩვენებებით, ასევე ფარული ვიდეო გადაღებებითა და სატელეფონო საუბრებით.¹⁵¹

გორის რაიონულმა სასამართლომ 372-ე მუხლის შემადგენლობად მიიჩნია შემდეგი ფაქტები: 2013 წლის 2 ივლისს გორის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მცხოვრებმა და.ა.-მა ვ.ხ.-თან დან რ.ს.-თან ერთად განიზრახა მისულიყო ამავე სოფელში მცხოვრებ

¹⁴⁹ სენაკის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 19 სექტემბრის განაჩენი საქმეზე N1/14-2016წ.;

¹⁵⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 თებერვლის განაჩენი.

¹⁵¹ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 25 აპრილის განაჩენი საქმეზე N1/566-13;

ლ.ჭ.-თან და მიემართა მისთვის, რათა ამ უკანასკნელს უარი ეთქვა ა.რ.-ის სისხლის სამართლის საქმეზე გორის რაიონულ სასამართლოში მოწმის სახით ჩვენების მიცემაზე. აღნიშნულის გამო, დ.ა.-მა ვ.ხ.-თან დან რ.ს.-თან ერთად შეხვდა ლ.ჭ.-ს და უთხრა, რომ უარი ეთქვა ა.ი.-ს სისხლის სამართლის საქმეზე გორის რაიონულ სასამართლოში მოწმის სახით ჩვენების მიცემაზე ან შეეცვალა გამოძიებაში მიცემული ჩვენება ა.ი.-ის სასარგებლოდ. აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებითა და ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომელიც დაცვის მხარეს სადაოდაც არ გაუხდია, სასამართლომ მიიღო გამამტყუნებელი განაჩენი.¹⁵²

ბოლნისის რაიონული სასამართლოს განაჩენით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 372-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ ბრალდებული 2014 წლის ოქტომბრის თვეში, ბოლნისის რაიონის სოფელ მამხუტში უშუალოდ შეხვდა და ესაუბრა ბოლნისის რაიონული სასამართლოს წარმოებაში არსებულ ბრალდების საქმეში ბრალდების მხარის მოწმის მეუღლეს, რომელსაც უთხრა, რომ მას ბოლნისის რაიონულ სასამართლოში მოწმის სახით დაკითხვის დროს უნდა შეეცვალათ ჩვენება, წინააღმდეგ შემთხვევაში ბ.ა. ციხიდან გამოსვლის შემდგომ აუცილებლად მოკლავდა მას. აღნიშნული გარემოებების სასამართლომ მიიჩნია, არა მოწმის მიმართ ზემოქმედების განხორციელების მიზნით მუქარად ან იძულებად, არამედ მოწმის დაყოლიებად. გაითვალისწინა რა წარგდენილი მტკიცებულებები და ბრალდებული პირი დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 372-ე მუხლის პირველი ნაწილით.¹⁵³

კვლევის ფარგლებში ასევე განხილულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი 41 განაჩენი, რომელთაგანაც 6 არის გამამტყუნებელი, ხოლო დანარჩენი არსებითი განხილვის გარეშე გამოტანილ განაჩენებს განეკუთვნება.

გამამტყუნებელი განაჩენების მიხედვით სასამართლოებმა ცრუ დასმენად მიიჩნიეს შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- ტ.მ.-მ თანხის მითვისების შემდეგ დანაშაულის დაფარვის მიზნით ჩაჯდა ავტომაქანაში და წავიდა ზ-ს მიმართულებით, სადაც გადააგდო მისი კუთვნილი მობილური ტელეფონი, შემდეგ წამოვიდა თ-ის მახლობლად არსებული სასაფლაოების მიმდებარე ტერიტორიაზე. იქ გააჩერა ავტომაქანა, მოტეხა უკანა ხედვის სარკე, ჩაირტყა შუბლის არეში ქვა და გავიდა იქვე

¹⁵² გორის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 25 ნოემბრის განაჩენი საქმეზე N1/384-13;

¹⁵³ ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 13 იანვრის განაჩენი საქმეზე N1/248-14;

მდებარე საავტომობილო გზაზე, სადაც ნახა მოქალაქე ნ., დაარეკინა 112-ში და გააკეთებინა შეტყობინება, რომ იგი ორმა უცნობმა მამაკაცმა დააყარა და წართვა 160 000 ლარი, რის საფუძველზეც დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.¹⁵⁴

- 2014 წლის 23 აგვისტოს, ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლების ზემო პლატოზე არსებულ საავტომობილო გზაზე ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ც.ჩ. მართავდა ავტომობილს "ნისან მარჩს", რა დროსაც უკანა მხრიდან შეეჯახა გ.დ.-ის მართვის ქვეშ მყოფ ავტომანქანა "მერსედეს ბენცს", რომელშიც გ.დ.-თან ერთად იმყოფებოდა მისი შვილი ვ.დ. ც.ჩ.-მ სთხოვა გ.დ.-ს და ვ.დ.-ს, რომ არ გამოეძახათ საპატრულო პოლიცია და შეაკეთებდა დაზიანებულ ავტომანქანას. ავტომანქანის შეკეთებასთან დაკავშირებით მოსალაპარაკებლად მათ გადაინაცვლეს ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლება, მე-3 მასივის მე-10 კვარტლის მე-3 კორპუსთან. მათ მოილაპარაკეს და შეთანხმდნენ, რომ ც.ჩ. მეორე დღეს შეაკეთებდა ავტომობილს. გ.დ. და ვ.დ.-მ ც.ჩ.-ს გამოართვეს პირადობის მოწმობა, რომელსაც შეთანხმებისამებრ დაუბრუნებდნენ ავტომანქანის შეკეთების შემდეგ. აღნიშნულის შემდეგ ც.ჩ.-მ დარეკა პოლიციაში და განაცხადა, რომ ვ.დ.-მა მას იარაღის მუქარით წართვა საფულე, საიდანაც მისი ნების საწინააღმდეგოდ ამოიღო პირადობის მოწმობა და ფულადი თანხა, რის შემდეგაც დაუბრუნა ცარიელი საფულე.¹⁵⁵
- ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ ცრუ დასმენად მიიჩნია პირის მიერ თვითდაზიანების მიყენების სხვისთვის გადაბრალება. კერძოდ: ი.პ.-ამ 2013 წლის 22 აგვისტოს, დაახლოებით 15:30 საათზე, მუცლის ზედაპირზე მჭრელი საგნით მიიყენა მსუბუქი ხარისხის თვითდაზიანება, რის შესახებაც იმავე სადამოს შსს ლანჩხუთის რაიონულ სამმართველოში მისი ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე დაწებულ სისხლის სამართლის საქმეზე მოწმედ დაკითხვისას მისცა არასწორი ჩვენება და ცრუდ დაასმინა ი.მ.-ა, რომ თითქოსდა ი.მ.-ამ მუცლის არეში დანით მიაყენა ჭრილობა.¹⁵⁶
- 2016 წლის 14 მარტს გ.ჩ. დაახლოებით 22:51 საათზე თავის საცხოვრებელ სახლში დაუკავშირდა 112-ის ოპერატორს და განზრახ გააკეთა ცრუ შეტყობინება ქურდობის შესახებ, თითქოსდა მას მოპარეს 200 კგ. თხილი.¹⁵⁷

¹⁵⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 4 აგვისტოს განაჩენი;

¹⁵⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 იანვრის განაჩენი.

¹⁵⁶ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 3 აპრილის განაჩენი;

¹⁵⁷ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის განაჩენი საქმეზე N 1/175-2016წ.;

თუმცა რა იყო რეალური ფაქტი ან რატომ გააკეთა ბრალდებულმა, ამის შესახებ არ ფიქსირდება სასამართლო განაჩენში.

- ბათუმის საქალაქო სასამართლომ ცრუ დასმენად დააკვალიფიცირა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2013 წლის 08 ივნისს მ.გ.-მ ქობულეთის რაიონულ სამმართველოში ჯგუფური ძარცვის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეზე დაკითხვისას განახორციელა დანაშაულის ჩადენის შესახებ ცრუ დასმენა, თითქოს თ.-მ, კ.-მ და მ.-მ ჯგუფურად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით გასტაცეს ფულადი თანხა 1000 ლარის ოდენობით და მობილური ტელეფონი.¹⁵⁸
- ბათუმის საქალაქო სასამართლომ ცრუ დასმენად მიიჩნია შემდეგი: დ.ტ.-მ იმ მოტივით, რომ დაემალა თ.დ.-თვის, ამ უკანასკნელის მიერ ბინის ქირის სანაცვლოდ მიცემული 200 ლარის, კაზინოში წაგების ფაქტი, 2013 წლის 23 ნოემბერს, დაახლოებით 01:30 საათზე, ქ. ბათუმში მძიმე დანაშაულის ჩადენის შესახებ ცრუ დასმენის მიზნით, საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის წევრებს შეატყობინა, რომ თითქოსდა ქ. ბათუმში კონკრეტულ ქუჩაზე გაძარცვეს. აღნიშნულის შესახებ დაიწყო გამოძიება დ.ტ.-ის ქონების ჯგუფურად ძარცვის გზით დაუფლების ფაქტზე. მან გამოძიებისას დაკითხვისას აღნიშნა, რომ თავს დაესხა 3 პირი, რომლებმაც წაართვეს საფულე, ფულადი თანხა 190 ლარის ოდენობით და ჩინური წარმოების „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი, თუმცა მანვე დამატებითი დაკითხვისას აღიარა, რომ მისი კუთვნილი ქონების ჯგუფურად ძარცვის გზით მისაკუთრების ფაქტს ადგილი არ ჰქონია და შეგნებულად გააკეთა მძიმე დანაშაულის შესახებ ცრუ დასმენა.¹⁵⁹

რაც შეეხება არსებითი განხილვის გარეშე გამოტანილ განაჩენებს, ისინიც, სხვა შემთხვევების მსგავსად, ხშირ შემთხვევაში მწირი ინფორმაციის მომცველია, მაგრამ მაინც შეიძლება დადგენა თუ რა ჩათვალა დანაშაულად სასამართლომ, კერძოდ:

- ბრალდებულმა შეატყობინა გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის N112-ის ოპერატორს, რომ თითქოს მისი ოჯახის კუთვნილ საცხოვრებელ სახლში ნივთები არეულია და მომხდარია ქურდობა.¹⁶⁰
- ერთ-ერთი შპს-ს კომერციული დეპარტამენტის დისტრიბუციის რეგიონული სამსახურის პრისეილერი გ.დ.-მე და დისტრიბუციის რეგიონული სამსახურის რეალიზატორი 2015 წლის ოქტომბრის თვის ბოლოს და ნოემბრის თვის დასაწყისის შუალედში წინასწარ შეთანხმდნენ, რომ გ.დ.-ზის თანხის

¹⁵⁸ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 19 სექტემბრის განაჩენი საქმეზე N1-637/13;

¹⁵⁹ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 6 თებერვლის განაჩენი საქმეზე N1-10/14;

¹⁶⁰ ასპინძის მაგისტრეტი სასამართლოს 2016 წლის 27 აპრილის განაჩენი, საქმეზე N1/004-16წ.;

დანაკლისის დაფარვისა და შპს-ს კუთვნილი ფულადი თანხის დაუფლების მიზნით მოეხდინათ მარცვის ინსცენირება, შემდეგ კი გ.დ.-მე შეატყობინებდა პოლიციას მისგან შპს-ს თანხის და ბილეთების დანაშაულებრივი გზით დაუფლების შესახებ და ამით არ გამჟღავნდებოდა მის მიერ 6740 ლარის ღირებულების ლატარიის ბილეთების დანაკლისი. მათ მართლაც შეასრულეს დათქმული პირობები - გ.დ.-მემ 3000 ლარი და ლატარიის ბილეთები მიითვისა, რომელიც საბოლოოდ მ.ბ.-ემ მიიღო და პირადი მიზნებისთვის გამოიყენა.¹⁶¹

- ბრალდებულმა გადამალა მისი კუთვნილი პირადი დოკუმენტაცია, ფულადი თანხა და ოჯახის კუთვნილი ოქროს ნივთები, რის შემდეგაც მობილური ტელეფონის საშუალებით შეატყობინა შსს-ს დეპარტამენტს თითქოს მისი ბინა გაქურდულია და მოპარულია ზემოხსენებული ნივთები.¹⁶²
- ე.ჩ.-მა ქ. ბათუმში, პოლიციაში მძიმე დანაშაულის ჩადენაში ცრუდ დაასმინა გ. და უ.ნ.-ი, რომ თითქოს მათ 2013 წლის 5 ივლისს მარცვის გზით მართლსაწინააღმდეგოდ გასტაცეს 1400 ლარი, 23 თურქული ლირა, მობილური ტელეფონი, პირადი ნივთები და დოკუმენტები.¹⁶³
- ბრალდებულმა, მას შემდეგ რაც შეეჯახა სხვის კუთვნილ ავტომობილს და უნდა შეეკეთებინა იგი, თავის არიდების მიზნით გადაწყვიტა დანაშაულის ჩადენაში ცრუდ დაესმინა დაზარალებული. იმავე დღეს მან პატრულის თანამშრომელს განუცხადა, თითქოს საგზაო სატრასპორტო შემთხვევის შემდგომ დაზარალებულმა მას მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, რითაც მან განიცადა ფიზიკური ტკივილი.¹⁶⁴
- 2015 წლის 11 აპრილს ბრალდებული ნ.ბ. დაახლოებით 12 საათზე შეხვდა მამას, დედინაცვალსა და ნახევარმამს. მათზე ადრე გაბრაზებულმა და მათთან კონფლიქტურ ურთიერთობაში ყოფნის გამო განზრახ ცრუდ დაასმინა აღნიშნული პირები, თითქოს სცემეს, სინამდვილეში კი სხეულის მსუბუქი დაზიანება სახის არეში ნაკაწრი-დაჟეჟილი ჭრილობები მიიღო დაცემის შემდეგ.¹⁶⁵
- სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ კ.ბ.-მ ჩაიდინა ცრუ დასმენა შემდეგი ქმედებით: 2015 წლის 27 მაისს 17:30 საათზე დისტრიბუტორად მომუშავე ბრალდებულმა შპს-ს დავალიანების გადაუხდელობის გამო, რათა

¹⁶¹ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 24 მაისის განაჩენი საქმეზე N1-59/16;

¹⁶² ახალციხის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის განაჩენი საქმეზე N1/396-13წ.;

¹⁶³ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 16 სექტემბრის განაჩენი.

¹⁶⁴ ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 31 ოქტომბრის განაჩენი საქმეზე N1/205-14;

¹⁶⁵ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 2 მაისის განაჩენი საქმეზე N1/285-15;

გემართლებინა თავისი გადახდისუნარობა, განზრახ მიმართა მის მეგობარს ცრუდ შეეტყობინებინა, თითქოს მას თავს დაესხნენ და სიცოცხლისთვის საშიში ძალადობით გასტაცეს ფულადი თანხა, რაც განახორციელა კიდეც.¹⁶⁶

- ბრალდებულმა, რომელსაც ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის ჩადენაში, მოსალოდნელი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით ცრუდ დაასმინა წალენჯიხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლები მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მიზნით, თითქოს მის მიმართ განხორციელდა ძალადობა.¹⁶⁷
- ბრალდებულმა, საატესტატო გამოცდებზე არასკმარისი ქულების აღების გამო, გადაწყვიტა თბილისში წასვლა მეგობართან. მან კუთვნილი ოქროს ნივთები ჩააბარა ლომბარდში 140 ლარად, აღნიშნულის შემდეგ კი, დანაშაულის დაფარვის მიზნით, მიმართა სამართალდამცველ ორგანოს ცრუ შეტყობინებით და დაასმინა, თითქოს მას გასტაცეს ოქროს ნივთები დაუდგენელმა პირებმა, რასაც ახლდა მისი მხრიდან მძიმე დანაშაულის ბრალდება.¹⁶⁸
- ბრალდებულმა, ლ.კ.-თან არსებული უთანხმოების გამო, სამეგრელოს ერთ-ერთი სოფლის ტყის მასივში დაყარა 1974 წლის ნიმუშის კალაშნიკოვის კონსტრუქციის ავტომატებისათვის განკუთვნილი 10 ცალი მასრა, რის შემდეგაც ცრუ შეტყობინებით მიმართა სამართალდამცვე ორგანოს და დაასმინა, რომ თითქოს იმ კონკრეტულ ადგილას ლ.კ. დაემუქრა ცეცხლსასროლი იარაღის ჰაერში გასროლით, რაც მის მიერ რეალურად იქნა აღქმული.¹⁶⁹
- სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლის ჩადენაში ბრალდებულმა 2014 წლის 27 მარტს წყალტუბოში ანგარებით, სადაზღვევო კომპანიისაგან დაზღვევის თანხის მიღების მიზნით ჩაიდინა მძიმე დანაშაულის შესახებ ცრუ დასმენა თავის მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალების ფარულად დაუფლების შესახებ.¹⁷⁰
- ა.ნ.-ემ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიითვისა აღნიშნული ორგანიზაციის კუთვნილი თანხა საერთო ჯამში 23036,50 ლარის ოდენობით. მითვისების ფაქტის დამალვის მიზნით, პირადი მოტივით გადაწყვიტა გაეკეთებინა ცრუ შეტყობინება - ჯგუფურად ყაჩაღობის თაობაზე,

¹⁶⁶ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის განაჩენი საქმეზე N1/631-15;

¹⁶⁷ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 18 დეკემბრის განაჩენი საქმეზე N1/813-2014წ.;

¹⁶⁸ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 30 მაისის განაჩენი საქმეზე N1/349-15;

¹⁶⁹ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 12 ივნისის განაჩენი საქმეზე N1/375-15;

¹⁷⁰ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 26 ივნისის განაჩენი საქმეზე N1/408-2014წ.;

რასაც თითქოს მოჰყვა დიდი ოდენობით თანხის დაუფლება. აღნიშნულის განხორციელების მიზნით დაუკავშირდა 112-ის ოპერატორს და შეატყობინა ვითომ და მომხდარის შესახებ.¹⁷¹

- ი.ნ.-ემ 2015 წლის 04 თებერვალს ლანჩხუთის რაიონული სამმართველოს წარმომგებში არსებულ სისხლის სამართლის სამეზო მოწმედ დაკითხვისას დამნაშავეისათვის წინასწარ შეცნობით ორსული ქალის გაუპატიურების ჩადენაში ცრუდ დაასმინა ბ.გ.-ე და აჩვენა, თითქოს ბ.გ.-ეს, რომელმაც იცოდა მისი ფეხმძიმობის შესახებ, ძალადობით ჰქონდა მასთან სქესობრივი კავშირი, როდესაც ბ.გ. ესტუმრა სახლში. რეალურად, დადგინდა, რომ ი.ნ.-ს გაუპატიურების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.¹⁷²
- ბრალდებულმა 112-ში განახორციელა დანაშაულის ჩადენის შესახებ ცრუ დასმენა და განაცხადა, რომ საცხოვრებელი სახლიდან მოპარეს თხილი. აღნიშნული დაადასტურა საგამომიებო ორგანოში წერილობითი ფორმით ჩვენების მიცემის დროსაც, თუმცა საცხოვრებელი სახლიდან თხილის ქურდობის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.¹⁷³
- გ.შ.-მ სისხლისსამართლებრივი პასუხისგებაში მიცემის მიზნით, მის მამართ ჯგუფურად ჩადენილი თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტზე, ცრუდ დაასმინა ორი პირი დანაშაულის ჩადენაში, რითაც მათ მიადგათ მორალური ზიანი.¹⁷⁴
- ლ.პ.-მ პირადი მოტივით, თავის ოჯახის წევრებთან შერიგების და დ.ზ.-ზე შურისძიების მიზნით ცრუდ დაასმინა ეს უკანასკნელი, რომ თითქოსდა კონკრეტულ დღეს, როდესაც იმყოფებოდა მეგობრების სახლში, მან ლ.პ.-ს ხელი რამდენჯერმე გაართყა სახეში. რამდენიმე ხნის შემდეგ კი აღუკვეთა თავისუფლება და არ მისცა სახლში წასვლის საშუალება. ასევე, მას შემდეგ, რაც მან მიიღო ალკოჰოლური სასმელი, ლ.პ.-ს უმწეობისა და ძალადობის გამოყენებით დაამყარა მასთან სხვაგვარი სქესობრივი კავშირი გაუკუღმართებული ფორმით.¹⁷⁵
- პირმა, რომელსაც სიდედრისთვის ვალი ჰქონდა მისაცემი, გადასახადისაგან დროებით თავის არიდების მიზნით, ცრუ დასმენისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის თაობაზე გაფრთხილების მიუხედავად, მოწმის სახით დაკითხვისას ცრუდ დაასმინა, თითქოს საკუთარი

¹⁷¹ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 15 ოქტომბრის განაჩენი;

¹⁷² ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 13 მარტის განაჩენი;

¹⁷³ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 1 დეკემბრის განაჩენი;

¹⁷⁴ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 ნოემბრის განაჩენი საქმეზე N1/646-13;

¹⁷⁵ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 2 მარტის განაჩენი საქმეზე N1/115-16;

ავტომობილით ტაქსაობისას სამმა ახალგაზრდამ სთხოვა წაყვანა ზოოვეტის დასახლებაში, სადაც ძალადობის მუქართ, რომელიც არ არის საშიში სიცოცხლისთვის, გასტაცეს ფულადი თანხა.¹⁷⁶

- ბრალდებულმა განაცხადა, რომ თავისი საცხოვრებელი ბინის კარი დახვდა ღია, საიდანაც მოპარული იყო ფულადი თანხა და ოქროს სამკაულები. საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგენილ იქნა, რომ ბინაში ქურდობის ფაქტს ადგილი არ ჰქონია, თავადვე მოახდინა შესაძლო დანაშაულის ჩადენის ინსცენირება და შეატყობინა სამართალდამცავ ორგანოებს.¹⁷⁷
- ბრალდებულმა, მას შემდეგ, რაც შემოსავლების სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ განახორციელა ინდ. მეწარმის შემოწმება და ბრალდებულს კონკრეტულ ვადებში უნდა წარედგინა კომისიისათვის “დანართი 21”, იმისთვის, რომ წარუდგენლობის საფუძველზე ინდ. მეწარმეს არ დაკისრებოდა კანონით გათვალისწინებული ჯარიმა, სამართალდამცავ ორგანოში გააკეთა დანაშაულის ჩადენის შესახებ ცრუ დასმენა, კერძოდ, რომ თითქოს მას გასტაცეს ძარცვის გზით მისი პირადი ნივთები და გამოძიებას მისცა ჩვენება, რომ სხვა ნივთებთან ერთად გასტაცეს მეხსიერების ბარათი, რომელშიც შენახული ჰქონდა შესაბამისი ინფორმაცია, რაც გამოძიების დაწყების მიზეზი გახდა. ამის შემდეგ კი მიმართა შემოსავლების სამსახურს და მოახსენა აღნიშნული საბაზი, რის გამოც ვერ ახერხებდა დანართის დროულად წარდგენას.¹⁷⁸
- ბრალდებულმა რუსთავის რაიონულ პროკურატურაში წარდგენილი განცხადებით და გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებით სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით, მის მიმართ განხორციელებული ჯგუფური თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტზე, უსაფუძვლოდ, ცრუდ დაასმინა 5 პირი. თავდაპირველად, აღნიშნული ფაქტი პროკურატურამ ცრუ ჩვენებად დააკვალიფიცირა, ხოლო შემდეგ, სასამართლოში წარდგენამდე 373-ე მუხლზე შეცვალა ბრალი, რაც სასამართლომ გაიზიარა კიდევ.¹⁷⁹
- ბრალდებულმა საგარეჯოს რაიონის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიიდან კუთვნილი ტელეფონით დარეკა 112-ის საინფორმაციო

¹⁷⁶ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 2 მარტის განაჩენი საქმეზე N1/114-16;

¹⁷⁷ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 სექტემბრის განაჩენი საქმე N1/443-15;

¹⁷⁸ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 2 სექტემბრის განაჩენი;

¹⁷⁹ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის განაჩენი საქმეზე N1-07-14;

„ქოლცენტრში“ და იგრუა, თითქოსდა სამმა პირმა აშკარად გასტაცა ფულადი თანხა.¹⁸⁰

- ბრალდებულმა კუთვნილი მობილური ტელეფონით დარეკა 112-ის სამსახურში და განზრახ მიაწოდა ცრუ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თითქოსდა თ.ფ. საკუთარ საცხოვრებელ სახლში უკანონოდ მოიხმარდა და ინახავდა ნარკოტიკულ საშუალებას რითაც ჩაიდინა ცრუ დასმენა.¹⁸¹
- ბრალდებულმა შ.დ-მ ჯერ გამოძიებაში მიცემული ჩვენებისას, ხოლო შემდეგ სასამართლოზე მოწმის სახით დაკითხვისას განახორციელა ცრუ დასმენა და უჩვენა, რომ თითქოსდა მისი საცხოვრებლიდან ადგილი ჰქონდა კუთვნილი 300 აშშ დოლარის ქურდობის ფაქტს და რომ შესაძლოა აღნიშნული ქურდობა ჩადენილი ჰქონოდა ზ.ზ-ს.¹⁸²
- პირმა განაცხადა, რომ თითქოს ოთხმა პირმა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით წაართვეს 303 ლარი, შეუბოჭეს ხელები, აუკრეს პირი, რითაც მას უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება და ამ უკანასკნელის ნების საწინააღმდეგოდ გადააგდეს სოფლის მდინარეში, რის შემდეგაც ის ზემოაღნიშნულ პირთა ნების დამოუკიდებლად გადაურჩა სიკვდილს.¹⁸³
- ბრალდებული დაუკავშირდა 112-ის სამსახურს და მიაწოდა ცრუ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თითქოსდა მის მიმართ ადგილი ჰქონდა თეთრი ფერის „ჰერბეციის“ მოდელის ავტომანქანის მგზავრების მხრიდან ჯგუფურად ოქროულობისა და პირადი ნივთების დაუფლების ფაქტს, რითაც ჩაიდინა მძიმე დანაშაულის შესახებ ცრუ დასმენა.¹⁸⁴
- ბრალდებულმა შსს-ში ზეპირი განცხადებით მიმართვისას და გამოძიების მიმდინარეობისას მოწმედ დაკითხვის დროს განახორციელა დანაშაულის ჩადენის შესახებ ცრუ დასმენა და უჩვენა, რომ თითქოს ი.ნ.-მ თავისსავე საცხოვრებელ სახლში ხელის კვრით დააგორა კიბეებიდან და მიაყენა ფიზიკური დაზიანება.¹⁸⁵
- ბრალდებულმა 2013 წლის 19 სექტემბერს, ქ.თბილისში, ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის მე-11 განყოფილების ადმინისტრაციულ შენობაში მის მიმართ განხორციელებული ჯგუფური ძარცვის ჩადენაში ცრუდ დაასმინა

¹⁸⁰ სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 5 დეკემბრის განაჩენი საქმეზე N1/217-14წ.;

¹⁸¹ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 1 აპრილის განაჩენი საქმეზე N1-1/71;

¹⁸² ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 15 ივლისის განაჩენი საქმეზე N1-195;

¹⁸³ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 8 სექტემბრის განაჩენი საქმეზე N1-147/14;

¹⁸⁴ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 31 აგვისტოს განაჩენი.

¹⁸⁵ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო; საქმე N1-49/2015; 03.03.2015 წელი.

სხვა პირები. აღნიშნული ფაქტი საქმეზე ჩატარებული გამოძიებით არ დადასტურდა, რაც დამატებით დაკითხვის დროს განმცხადებელმა თვითონვე აღიარა.¹⁸⁶

- 2015 წლის 12 ნოემბერს, ღამის საათებში, ბრალდებულმა სატელეფონო ზარის მეშვეობით, საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრში განახორციელა ცრუ შეტყობინება, რის საფუძველზეც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მესამე განყოფილებაში, 2015 წლის 12 ნოემბერს დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილით. მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე დაკითხვისას ვ.ბ.-მ განაცხადა, რომ თითქოსდა ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩის ერთ-ერთი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, მისთვის უცნობი პიროვნება, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, აშკარად დაეუფლა მის კუთნილ თანხას 65 ლარის ოდენობით, რაც გამოძიების შედეგად არ დადასტურდა.¹⁸⁷
- ბრალდებული მუშაობდა რა ერთ-ერთ შპს-ში სავაჭრო წარმომადგენლად, 2014 წლის ოქტომბერში მართლსაწინააღმდეგოდ მითვისა მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული, შპს-ს კუთვნილი ფულადი თანხა 8865.04 ლარის ოდენობით. აღნიშნული ქმედებით შპს-ს მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. აღნიშნულის შემდეგ, მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით, პირადი მოტივით ჩაიდინა ცრუ დასმენა მიმდებარე დანაშაულის შესახებ, კერძოდ, სამართალდამცავ ორგანოში განაცხადა, რომ 2014 წლის 28 ოქტომბერს მას ორმა პირმა სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის მუქარით გასტაცეს ფულადი თანხა ათი ათასი ლარის ოდენობით, რის გამოც დაიწყო გამოძიება.¹⁸⁸

ყოველივე ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ცრუ დასმენის შემთხვევებზე გამოტანილ განაჩენებში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ძირითადი ნაწილი ეხება პირის მიერ ინსცენირებული დანაშაულის სხვისთვის გადაბრალებას ან საერთოდ არარსებული დანაშაულის შექმნას კონკრეტული მიზნებით და სასამართლო პრაქტიკის ანალიზით დგინდება, რომ სასამართლო დანაშაულად მიიჩნევენ ცრუ დასმენას როგორც კონკრეტული პირისადმი დანაშაულის დაბრალებით, ასევე ზოგადად დანაშაულის თაობაზე

¹⁸⁶ თბილისის საქალაქო სასამართლო; საქმე N1-4277-13; 27 სექტემბერი, 2013 წელი.

¹⁸⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 21 ნოემბრის განაჩენი;

¹⁸⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 5 დეკემბრის განაჩენი;

შეტყობინებების შემთხვევებსაც, მაშინ როცა დადგენილია, რომ ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია და დანაშაულის ფაქტზე ცრუ შეტყობინების განხორციელება კონკრეტულ მიზანს ემსახურებოდა.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ საკვლევ მუხლებზე, 2013-2016 წლებში, გამოტანილი განაჩენებით სასამართლოს მიერ კონკრეტული ქმედებებისათვის მინიჭებული კვალიფიკაცია ძირითადად შესაბამისობაშია ამ დანაშაულებთან დაკავშირებულ აკადემიურ კომენტარებთან და იშვიათი გამონაკლისის გარდა არ შეიცავს სასამართლო პრაქტიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვან განმარტებას. გამამტყუნებელი განაჩენების გამოტანისას საქალაქო (რაიონული) სასამართლოები ძირითადად ბრალდების შესახებ დადგენილებაში მოცემულ და სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული ნორმის დისპოზიციის მითითებით შემოიფარგლებიან ხოლმე და იშვიათია შემთხვევები, როცა სასამართლო დეტალურად ხსნის ბრალდებულის მხრიდან განხორციელებული თუ რომელი ქმედება მიიჩნია დანაშაულად და კონკრეტულად რომელი მტკიცებულებით დასტურდება პირის მხრიდან ამ ქმედების განხორციელება.

ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ არსებითი განხილვის შედეგად გამოტანილი განაჩენების ანალიზმა გამოავლინა ერთი უცნაური თავისებურება. კერძოდ: მოსამართლეთა უმრავლესობა უფრო მეტი გულმოდგინებით და მონდომებით აფასებს საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს და პირის მიმართ ბრალად შერაცხულ ქმედებას, უფრო მეტ ყურადღებას უთმობს დანაშაულის შემადგენლობის განმარტებას და მისი სავალდებულო ნიშნების არსებობას, როცა ასაბუთებს გამამართლებელ განაჩენს, ვიდრე ეს გადმოცემულია გამამტყუნებელი განაჩენების შემთხვევაში. ვინაიდან ამ უკანასკნელის გამოტანის დროს, ძირითადად მსჯელობა ეყრდნობა ბრალდების შესახებ დადგენილებას და მოსამართლის მსჯელობას რომ მას სხდომაზე გამოკვლეულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, დადგენილად მიაჩნია კონკრეტული პირის მიერ ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა.

თავი 8. ჩაღრმავებული ინტერვიუების ანალიზი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე და მასთან

დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის ირგვლივ პროცესის მონაწილეთა დამოკიდებულების გარკვევის მიზნით დაიგეგმა და ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუები 5 პროკურორთან და 5 ადვოკატთან.

გამოკითხული პირებიდან 2 ადვოკატისა და 2 პროკურორის სამოქმედო არეალი თბილისია, ხოლო დარჩენილი 3 რეგიონი შერჩეული იქნა ამ კუთხით ყველაზე დატვირთული ისეთი რაიონებიდან, როგორცაა: ქუთაისი, ბათუმი და რუსთავი.

ჩაღრმავებული ინტერვიუს კითხვარი მომზადებული იქნა სისხლის სამართლის კოდექსის, მისი აკადემიური კომენტარების, სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშების, ასევე სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე და მასში შემავალი კითხვები შესაძლებლობის ფარგლებში მოიცავდა ყველა იმ საკითხს, რომელთან დაკავშირებითაც პროცესის მონაწილების აზრი გადაწყვეტი მნიშვნელობის მქონედ მივიჩნიეთ.

კითხვარის საფუძველზე ინტერვიუში მონაწილე პირებს უნდა შეეფასებინათ საქართველოს კანონმდებლობა მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან დაკავშირებით (ზოგადი ხასიათის შეკითხვები), ამ კუთხით არსებული სასამართლო პრაქტიკა, პროცესის მონაწილეთა ქმედებები (ძირითადი ნაწილი) და მიეცათ რეკომენდაციები როგორც პროცესის სხვა მონაწილეთათვის, ასევე კვლევის ჩამტარებელი ორგანიზაციისათვის ამ პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით (შემაჯამებელი ნაწილი).

ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ კვლევას დაქვემდებარებული დანაშაულების სიმცირისა და შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების არ ქონის გამო, ინტერვიუში მონაწილე პირები კითხვებზე პასუხს სცემდნენ ერთი ან ორი პრაქტიკული მაგალითის საფუძველზე და გაუჭირდათ თავიანთი მოსაზრება გამოეთქვათ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებისა და ნორმის პრაქტიკაში გამოყენებასთან დაკავშირებით. თუმცა, საქართველოს კანონმდებლობის შეფასებისას მაინც დაფიქსირდა რამდენიმე საინტერესო მოსაზრება. კერძოდ, გამოკითხვაში მონაწილეთა უმრავლესობა თანხმდება, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა და მით უმეტეს სასამართლო განხილვა ცრუ ჩვენების, დანაშაულის შეუტყობინებლობის ან დანაშაულის დაფარვის გამო არ შეიძლება დაიწყოს წინა სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, რაც მათი აზრით კანონმდებლობის ხარვეზია და აუცილებლად უნდა გასწორდეს. ზოგიერთმა მათგანმა (20%) გამოთქვა სურვილი, დანაშაულის დაფარვისთვის პირი ისევე თავისუფლდებოდა ახლო ნათესავის დანაშაულის დაფარვისგან, როგორც ეს გათვალისწინებულია დანაშაულის შეუტყობინებლობის შემთხვევაში, ხოლო გამოკითხულ პირთა 90%-ს

მიაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან 371¹-ე მუხლის ამოღებით ამ დანაშაულის დეკრიმინალიზაცია მოხდა, მიუხედავად თავდაპირველი მცდელობისა, სხვაგვარად განმარტებულიყო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილების შინაარსი.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს გამოკითხულ პირთა ერთსულოვანი დადებითი დამოკიდებულება ნორმის სასამართლოს მხრიდან განმარტების თაობაზე, სწორედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371¹-ე მუხლსა და გამოძიებაში მიცემულ ჩვენებასთან დაკავშირებით, ვინაიდან, მათი აზრით, სწორედ სასამართლო განმარტავს კანონს და ქმნის პრეცედენტებს.

ცრუ დასმენის ირგვლივ დასმულ შეკითხვებზე რესპოდენტთა უმრავლესობა (განსაკუთრებით ადვოკატები) ფიქრობენ, რომ ამ მუხლით იმ პირის დასჯა, რომელმაც უბრალოდ ცრუ შეტყობინება გააკეთა სამართალდამცავ ორგანოებში არასწორია, ვინაიდან თვითონ ნორმის დასახელება და მისი დისპოზიციის სწორედ კონკრეტული პირის ცრუ დასმენას გულისხმობს და არა, ზოგადად, არჩადენილი დანაშაულის თაობაზე შეტყობინების შემთხვევებს.

რესპოდენტთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ არასწორად ვითარდება სასამართლო პრაქტიკა ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შემთხვევებშიც, ვინაიდან არ შეიძლება მოწმის საგამოძიებო ორგანოში ან სასამართლოში გამოუცხადებლობა ჩვენების მიცემაზე უარის თქმად ჩაითვალოს.

შეკითხვაზე თუ რომელ ჩვენებაზე უარის თქმა შეიძლება ჩაითვალოს სისხლის სამართლის დანაშაულად, მით უმეტეს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გარდამავალი დებულებებით, გარკვეული კატეგორიის დანაშაულზე ჯერ კიდევ შენარჩუნებულია გამოძიებაში დაკითხვის წესი, პროკურორთა აბსოლიტურმა უმრავლესობამ განაცხადა, რომ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში გამოძიებაში ჩვენების მიცემაზე უარის თქმაც დანაშაულია, ხოლო ადვოკატებს მიაჩნიათ, რომ მხოლოდ სასამართლოში მიცემული ჩვენება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული “ჩვენება” და იმის გამო, რომ აღნიშნული დანაშაულის ობიექტი მართლმსაჯულებაა, მხოლოდ სასამართლოში მიცემული ჩვენებით შეიძლება მართლმსაჯულების წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენა.

სასამართლო სხდომაზე ბრალდებულის მოწმის სახით დაკითხვისა და მისი ცრუ ჩვენების თაობაზე გაფრთხილების შესახებ გამოკითხულ პირთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ უარყოფითი დამოკიდებულება დააფიქსირა და განაცხადა, რომ ბრალდებული ცრუ ჩვენების მიცემის გამო არც უნდა ფრთხილდებოდეს და არც

დევნის ობიექტი უნდა ხდებოდეს და, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ფაქტზე ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არასოდეს დაწყებულა, მაინც სასურველად მიიჩნიეს კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

აღსანიშნავია, რომ გამოვითხული პირები არ იცნობენ და არასოდეს დაინტერესებულან საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სააპელაციო ან პირველი ინსტანციის სასამართლოების პრაქტიკით და ეს იმ გარემოებით ახსნეს, რომ საქმეთა სიმცირისა და მათი აზრით ერთგვაროვანი პრაქტიკის გამო ამის საჭიროება არ დამდგარა. ამასთან, მათი პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, ისაუბრეს ამ დანაშაულთა გამოძიებისა და მტკიცებულების მოპოვებასთან დაკავშირებულ სირთულეებზე და რომ ყველა ზემოთ აღნიშნულ დანაშაულზე რთულია პირის ქმედებაში განზრახვის გამოკვეთა. შესაბამისად, პროკურორებმა დაცვის მხარეს ურჩიეს სწორედ ამ გარემოებებზე გაამახვილონ ყურადღება პირის დაცვის პროცესში, ხოლო ადვოკატებმა პროკურორებს მოუწოდეს უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ განზრახვის და პირის ნების გამოვლენის თაობაზე მტკიცებულებების მოპოვებას.

ინტერვიუს ბოლოს ყველა რესპოდენტს ეთხოვა გამოეთქვათ მოსაზრება თუ რა მიმართულების გაუმჯობესებას ისურვებდნენ კვლევისათვის საინტერესო მუხლების გამოძიებასა თუ სასამართლო განხილვასთან დაკავშირებით. საგულისხმოა, რომ პროკურორთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბება ისურვა, მათ შორის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371¹-ე მუხლთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განაჩენით გაკეთებული განმარტება მიიჩნია ამ ნაწილში პრობლემის გამოსწორების ერთ-ერთ საშუალებად, ხოლო ადვოკატთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ერთიანი პრაქტიკის კუთხით უარყოფითი დამოკიდებულება დააფიქსირა და სასამართლოს მხრიდან კანონის უფრო მეტ განმარტებასა და ინდივიდუალურ მიდგომაზე გაამახვილა ყურადღება. ამავე დროს თითოეულმა მათგანმა კვლევის ჩამტარებელ ორგანიზაციას სასამართლო პრაქტიკის განზოგადება და ამ ანალიზის პროცესის მონაწილეთათვის გაცნობა სთხოვა.

თავი 9. დასკვნები და რეკომენდაციები

როგორც შესავალში აღინიშნა, ხსენებული კვლევის მიზანს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ნაწილის გაანალიზება, მისი დახვეწის გზების შემოთავაზება და

ფართო საზოგადოებისათვის მიწოდება წარმოადგენდა. კვლევის შედეგების გაანალიზების შედეგად გამოტანილი დასკვნები და მის საფუძველზე მომზადებული რეკომენდაციები, ვფიქრობთ, დაეხმარება კვლევის შედეგებით დაინტერესებულ პირებს, კიდევ უფრო სრულყოფილი გახადონ თავიანთი საქმიანობა.

კვლევის ამ ნაწილში მიცემულია და თემატურად არის დალაგებული საკვლევი მასალის გაანალიზების შედეგად მიღებული დასკვნები და მათგან გამომდინარე რეკომენდაციები. კერძოდ:

1. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნორმები:

ა) სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლი - აღნიშნული ნორმის გამოყენებისას, ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს ბრალდებულის მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემული ცრუ ჩვენების დროს მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის თანახმად: „სასამართლოში ჩვენების მიცემისას მოწმის სტატუსით სარგებლობენ, მისი უფლებები ენიჭებათ და მისი მოვალეობები ეკისრებათ ასევე გამომძიებელს, პროკურორს, ბრალდებულს, დაზარალებულს, ექსპერტსა და თარჯიმანს“, ხოლო ამავე კოდექსის 115-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „დაკითხვის დაწყებამდე სასამართლო ადგენს მოწმის ვინაობას, სასამართლო ფიცის დადების შემდეგ მოწმეს განუმარტავს რა უფლება-მოვალეობები აქვს მას, რა საქმეზეა იგი გამოძახებული, რომ იგი ვალდებულია თქვას ყველაფერი, რაც იცის საქმესთან დაკავშირებით და აფრთხილებს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის და ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ“. სწორედ აღნიშნული ნორმების ანალიზი იწვევს გაურკვევლობას პრაქტიკაში და იძლევა ნორმის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას, რაც მომავალში, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებით გამოსწორებას საჭიროებს.

ასევე, სასამართლო პრაქტიკაში ჯერ კიდევ სადავოა გამოძიების დროს მიცემული ჩვენება (საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში) წარმოადგენს თუ არა ამ დანაშაულით დაცულ სიკეთეს, ვინაიდან მოსამართლეთა უმრავლესობის აზრით, მხოლოდ სასამართლო სხდომაზე მიცემული ცრუ ჩვენებისთვის აკებს პასუხს პირი სისხლის სამართლის წესით, მაშინ როცა, ამავე ჩვენების მიცემის წინ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სავალდებულოა, პირი გაფრთხილებულ იქნას ცრუ ჩვენების მიცემისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე.

შესაბამისად, **რეკომენდირებულია**, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ, პირველივე შესაძლებლობისთანავე, განიმარტოს გარდამავალ პერიოდში მიცემული ცრუ ჩვენების შემთხვევაში, ჩადის თუ არა პირი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, როგორც ეს მოხდა არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების შემთხვევაში.

ბ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 368 და 369¹ მუხლები - სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა პირი საკუთარი ბრალეულობის გამორიცხვის მიზნით, ანადგურებს მტკიცებულებებს ან ახდენს მათ ფალსიფიკაციას. გასათვალისწინებელია, რომ ამ კატეგორიის საქმეებზე, ორ შემთხვევაში დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, ხოლო ერთი განაჩენით მოსამართლემ გაამართლა პირი, ვინაიდან დადგენილად მიიჩნია, რომ მისი მხრიდან მტკიცებულებების განადგურების მიზანს მართმსაჯულებისთვის ხელის შეშლა არ წარმოადგენდა.

არსებული სასამართლო პრაქტიკის მიუხედავად, ჩვენი აზრით, სადავოა, არის თუ არა ამ დანაშაულის სუბიექტი ბრალდებული, რომელიც ანადგურებს ან სახეს უცვლის მის წინააღმდეგ არსებულ მტკიცებულებებს. თვით ნორმების შინაარსი და მასზე არსებული აკადემიური კომენტარი, შესაძლებელს ხდის, მტკიცებულებათა განადგურებისა და ფალსიფიკაციისათვის დანაშაულის ჩამდენი პირის დასჯადობას, თუმცა აქვე ძნელი წარმოსადგენია იმ პირის დასჯა, რომელმაც საკუთარი დანაშაულის დასაფარად გაანადგურა ან სახე შეუცვალა დანაშაულის ჩადენის იარაღს ან საშუალებას, რათა თავი დაეღწია მართმსაჯულებისათვის.

სწორედ ამ მიზეზით, **რეკომენდირებულია** მოხდეს სხვა ქვეყნების კანონმდებლობისა და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი და ამ ანალიზის საფუძველზე, მომზადდეს შესაბამისი რეკომენდაციები, რათა სრულად გამოირიცხოს ამ კუთხით არსებული გაურკვეველობა.

გ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371¹-ე მუხლის გაუქმება - სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებულმა ცვლილებამ, ხსენებული მუხლის ამოღებასთან დაკავშირებით, პრაქტიკაში რიგი გაუგებრობები გამოიწვია. თავდაპირველად, განიმარტა რომ, არ მომხდარა ქმედების დეკრიმინალიზაცია და შესაძლებელი იყო დევნის დაწყება იმ პირის მიმართ, რომელმაც ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება მისცა, შესაძლებელი იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით, თუმცა სასამართლოს (მათ შორის უზენაესი სასამართლოს) მიერ გამოტანილი არაერთი განაჩენით მიჩნეულია, რომ რეალურად, განხირციელდა აღნიშნული ქმედების დეკრიმინალიზაცია.

არსებული ვითარების ბუნდოვანებაზე მიუთითებს ინტერვიუების დროს პროკურორთა და ადვოკატთა თხოვნა, ამ საკითხზე უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მხრიდან განმარტების გაკეთების თაობაზე, რაც ჩვენის აზრითაც, ნათელს მოჰყენდა არსებულ ვითარებას და დაეხმარებოდა პროცესის მონაწილეებს ნაკლები რესურსი დაეხარჯათ ამ კატეგორიის საქმეების გამოძიებასა თუ სასამართლო განხილვაში.

დ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლი - როგორც თეორიაში, ასევე სასამართლო პრაქტიკაში, სადავოა, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენად შემთხვევა, როცა პირი თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას ჩვენების მისაცემად, მით უმეტეს, რომ ასეთ პირთა მიმართ რეაგირების მექანიზმი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით არის გათვალისწინებული - იძულებითი მიყვანის სახით.

აღნიშნულ ნორმაზე აკადემიური კომენტარის თანახმად, ჩვენების მიცემაზე უარის თქმა შეიძლება განხორციელდეს როცა პირი სპეციალურად თავს არიდებს ჩვენების მიცემას, დამალვის ან/და საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გზით, მაშინ როცა, სასამართლო პრაქტიკით და რესპოდენტთა გამოკითხვით, ასეთ შემთხვევებზე რეაგირების მექანიზმი საპროცესო კოდექსით ცალკე არის გათვალისწინებული და იმის დადასტურება, რომ პირმა სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედება ჩაიდინა, პრაქტიკულად შეუძლებელია.

შესაბამისად, **რეკომენდირებულია** კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების გზით, დაზუსტდეს, რომ ჩვენების მიცემაზე თავის არიდება გამოცხადებული და სისხლისსამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე სათანადო წესით გაფრთხილებული პირის მხრიდან, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კითხვებზე პასუხების გაცემაზე უარის თქმის გზით.

2. არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა - სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზმა ცხადყო, რომ სასამართლო პრაქტიკა, ძირითადად, შეესაბამება ამ დანაშაულებთან დაკავშირებულ აკადემიურ კომენტარებს და მოსამართლეები ცალკეული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ერთგვაროვან გადაწყვეტილებებს იღებენ, თუმცა შეინიშნება გარკვეული გამონაკლისებიც, კერძოდ:

ა) არ არსებობს ერთიანი სასამართლო პრაქტიკა როდის უნდა დაიწყოს დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე, 375-ე და 376-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთან დაკავშირებით, ვინაიდან ზოგიერთი მოსამართლე პირის დამნაშავედ ცნობს მაშინ, როდესაც არ არის გამოტანილი განაჩენი წინა სისხლის სამართლის საქმეზე, ანუ ჯერ არ დადგენილა ჩაიდინა თუ

არა პირმა ის დანაშაული, რომლის დაფარვისთვის ან შეუტყობინებლობისთვის მიმდინარეობს სასამართლო განხილვა ან ჯერ არ დადგენილა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რათა გარვეულიყო შეიცავს თუ არა მოწმის მიერ მიცემული ჩვენება ცრუ ინფორმაციას.

ამავე დროს, მოძიებულ იქნა 2 განაჩენი, რომლის თანახმადაც, მოსამართლემ მხოლოდ იმიტომ გაამართლა ბრალდებული საქართველოს სსკ-ის 376-ე და 375-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რომ წინა საქმეზე არ იყო გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი.

შესაბამისად, **რეკომენდირებულია**, რომ სასამართლო პრაქტიკა განვითარდეს ერთგვაროვნად და ბრალდებული პირის უფლებების დაცვისა და ზედმეტი რესურსის ხარჯვის თავიდან აცილების მიზნით, პროკურორებს მიეცეთ რეკომენდაცია არ დაიწყონ დევნა პირის მიმართ ძირითად საქმეზე განაჩენის გამოტანამდე, ხოლო სასამართლომ განსხვავებულ შემთხვევებში, უზრუნველყოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება;

ბ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით, სასამართლოს მხრიდან, ასევე სახეზეა, სხვადასხვაგვარი განმარტება. კერძოდ, მოსამართლეთა უმრავლესობა, დანაშაულად მიიჩნევს, პირის მიერ ცრუ დასმენის ჩადენას, როცა ეს პირი უბრალოდ განაცხადებს რომ მოხდა დანაშაული, მაშინ როცა, ცალკეული მოსამართლეების აზრით, ცრუ დასმენა თავის თავში გულისხმობს კონკრეტული პირის მხრიდან ვითომდა დანაშაულის დანაშაულის ჩადენის თაობაზე სამართალდამცავი ორგანოებისთვის შეტყობინებას, რაც ასევე ქმნის გარკვევლობას. აქაც სასურველი იქნებოდა სასამართლოს მხრიდან განმარტების გაკეთება და ერთიანი პრაქტიკის განვითარება;

3. პროცესის მონაწილეთა დაინტერესება და კომპეტენცია - გამოვითხული პირები (ადვოკატები და პროკურორები) არ იცნობენ და არასოდეს დაინტერესებულან საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სააპელაციო ან პირველი ინსტანციის სასამართლოების პრაქტიკით და ეს იმ გარემოებით ახსნეს, რომ საქმეთა სიმცირისა და მათი აზრით ერთგვაროვანი პრაქტიკის გამო, ამის საჭიროება არ დამდგარა. ამასთან, მათი პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, ისაუბრეს ამ დანაშაულთა გამოძიებისა და მტკიცებულების მოპოვებასთან დაკავშირებულ სირთულეებზე, კერძოდ ყველა ზემოაღნიშნულ დანაშაულზე, რთულია პირის ქმედებაში განზრახვის

გამოკვეთა. შესაბამისად, პროკურორებმა დაცვის მხარეს ურჩიეს სწორედ ამ გარემოებებზე გაამახვილონ ყურადღება პირის დაცვის პროცესში, ხოლო ადვოკატებმა პროკურორებს მოუწოდეს, უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ განზრახვის და პირის ნების გამოვლენის თაობაზე მტკიცებულებების მოპოვებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, **რეკომენდირებულია**, რომ როგორც პროკურორების, ასევე ადვოკატების მხრიდან, უფრო მეტად ყურადღება გაამახვილდეს სასამართლოების მიერ ამ დანაშაულებზე არსებითი განხილვით უკვე გამოტანილ განაჩენებზე და არსებული პრაქტიკისა და ამ კვლევაში ასახული ნაკლოვანებების გათვალისწინებით, მოხდეს პროკურორების მხრიდან გადაწყვეტილების მიღება, ხოლო ადვოკატთა მხრიდან - პოზიციის დასაბუთება.

4. პროკურორის დადგენილებების და სასამართლო განაჩენების დასაბუთება - გამამტყუნებელი განაჩენების გამოტანისას, საქალაქო (რაიონული) სასამართლოები ძირითად შემთხვევაში, მაინც ბრალდების შესახებ დადგენილებაში მოცემული და კანონში არსებული ჩანაწერით შემოიფარგლებიან. იშვიათია შემთხვევები, როდესაც, სასამართლო დეტალურად ხსნის ბრალდებულის მხრიდან განხორციელებული თუ რომელი ქმედება მიიჩნია დანაშაულად და რითი დასტურდება აღნიშნული გარემოებები.

რაც შეეხება გამამართლებელ განაჩენებს, აქ დასაბუთება უფრო ვრცელია და სასამართლო მეტ ყურადღებას უთმობს ბრალდების დადგენილებაში მოცემული ფაქტობრივი გარემოებების გაბათილებასა და არსებული მტკიცებულებების აღწერას, რაც გამოსწორებას საჭიროებს. იგივე შეიძლება ითქვას პროკურორის მიერ გამოტანილ დადგენილებებზე სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყების ან შეწყვეტის შესახებ, სადაც ზოგ შემთხვევაში, (განსაკუთრებით მაშინ როცა ერთდროულად ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენაზეა მასში საუბარი) ძნელია გარკვევა თუ კონკრეტულად რომელი ქმედებით, რომელი დანაშაული იქნა ჩადენილი ან რაში გამოიხატა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.

შესაბამისად, **რეკომენდირებულია**, რომ როგორც პროკურატურის, ასევე სასამართლოს მხრიდან, მიუხედავად იმისა, არსებითი განხილვით გამოაქვს მას გამამტყუნებელი განაჩენი თუ არსებითი განხილვის გარეშე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დანაშაულებრივი ქმედების აღწერას და ამ აღწერილი ქმედების

შესაბამისობას სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობასთან.

5. სასამართლოს დამოკიდებულება კვლევის პროცესის მიმართ - ცალკე აღნიშვნის ღირსია სასამართლოების მიერ გამოვლენილი დამოკიდებულება კვლევის პროცესის მიმართ. კერძოდ: კვლევის პროცესში ჩვენ მიერ მოთხოვნილი იქნა საჯარო ინფორმაცია როგორც პირველი, ასევე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებიდან. აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გარდა, ყველა სხვა სასამართლომ, კანონით დადგენილ ვადაში, სრული მოცულობით მოგვაწოდა მოთხოვნილი ინფორმაცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოდან მიღებული წერილით, თავდაპირველად უარი გვეთქვა ინფორმაციის მოწოდებაზე დროის უქონლობის მოტივით, ხოლო მოგვიანებით, როცა აღნიშნული უარი გასაჩივრდა ადმინისტრაციული წესით, მოგვეწოდა განაჩენების მხოლოდ ნაწილი და როგორც წერილში იქნა მითითებული - შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. კიდევ უფრო რთულ ვითარებაში აღმოვჩნდით ჩაღრმავებული ინტერვიუების ჩატარების თვალსაზრისით, ვინაიდან მიუხედავად არაერთი მიმართვისა, სასამართლოს წამომადგენლებმა არც მონაწილეობა მიიღეს ინტერვიუებში და არც უარის მიზეზები განგვიმარტეს.

შესაბამისად, **რეკომენდირებულია** სხვა უწყებებების (იგულისხმება პროკურატურა და იურიდიული დახმარების სამსახური) მსგავსად, სასამართლომ უფრო მეტი ინტერესი და ჩართულობა გამოიჩინოს მსგავსი კვლევების მიმართ, ვინაიდან ყოველი ასეთი კვლევა, სწორედ საკითხის თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით ანალიზს გულისხმობს და მართმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება.